საინსტრუქციო ნაშრომმა ფართო გამოზარება პოვა. იგი განიხილა სამტოთო კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა სამმართველოს საწარმოო განყოფილებამ და წინადადება დააყენა პოლიგრაფიულ წარმოებაში მისი დანერგვის შესახებ.

გურამი თბუთმეტოედ სამეცნიერო შრომის, რამდენიმე გამოკონებისა და ბევრი რაციონალიზატორული წინადადების ავტორია.

ერთ-ერთი გამოკონება, რომელზედაც სავტორი უფლება გასული წლის იანვარში მიიღო (ვერთე წოდებული რასტრული ნეგატივის დამზადების წესი), აუმჯობესებს გაზეთში ილუსტრაციის ხარისხს და აქვს დიდი ეკონომიური ეფექტი.

„სასიამოვნოა, როცა შენს გვერდით სერმოიულსა და შრომისმოყვარე ახალგაზრდას ხედავ. სურვილი გაქვს, რაც შეიძლება მეტი დაეხმარო, გადასცე შენი გამოცდილება, შეაყვარო არჩეული პროფესია.“

გურამი ახალგაზრდა ყმაწვილი მოვიდა ჩვენთან და სულ მალე მიიქცია ყურადღება, როგორც ბევრთა და დაკვირვებულმა. ყოველ სიახლეს ინტერესით ევიდებოდა და ყოველდღიურად იზრდებოდა როგორც სპეციალისტი. ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ იგი მიზანს მიაღწევდა.

დღეს გურამი ჩამოყალიბებული პოლიგრაფისტი, პოლიგრაფიული ტექნიკის კარგი, გამოცდილი სპეციალისტი, ახალგაზრდული ენერჯითა და კვლევის სურვილით სავსე გვევლინება. ეჭვი არ გვეპარება, რომ იგი კვლავაც ბევრ წარმატებას მიაღწევს.

ცხოვრების გზაზე კაცს ბევრი წინააღმდეგობა შეხვდება, ჩვენი სურ-

ვილია გურამს, ჩვეულებისამებრ, თამამად გადალახოს ყველა დაბრკოლება“. — ეს გულწრფელი და თბილი შეფასება ძველ პოლიგრაფისტს, შრომის წითელი დროშის ორდენისანი ნიკოლოზ სალიაშვილს ეკუთვნის.

1970 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ გამოსცა გურამ გორდუღაძის მონოგრაფია „სავაჭერთ ბეჭდვის პრობლემები“. წიგნში განხილულია გაზეთების ბეჭდვის თეორიული და პრაქტიკული საკითხები — თანამედროვე საბჭოთა და სახელგარბათეული სავაჭრო საწარმოების გამოცდილების, გამოკვლევათა შედეგებისა და ლიტერატურული წყაროების მიხედვით.

ახალგაზრდა მეცნიერი იხილავს გაზეთსა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს, ფერად გაზეთების ბეჭდვის პრობლემებს, გაზეთის გაფორმების საკითხებს, საგაზეთო წარმოების განვითარების პერსპექტივებს...

„ილუსტრაციის აღწარმოება გაზეთში“, — ასეთია გურამის მეორე მონოგრაფიის სათაური, რომელსაც გამომცემლობა „ქნიგა“ მიმდინარე წლის გეგმით გეგავაზობს და რომლის რედაქტორი არის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბენიამინ ლაბატუსიანი.

ასლა თვითონ გურამს მოვესმინოთ:

„დღეს ჩვენი ყოფაცხოვრება წარმოუდგენელია წიგნების, ჟურნალების, გაზეთებისა და სხვა პოლიგრაფიული პროდუქციის გარეშე. მათში მოთავსებული მასალების სწრაფად და ადვილად ასათვისებლად, და რომ ნაბეჭდმა პროდუქციამ დააკმაყოფილოს მითხველის ესთეტიკური მოთხოვნილებანი, საქმრთა გამოყენებით გაფორმებისა და პოლიგრაფიული შესრულების ეფექტური გზები. ამჟამად პოლიგრაფიული პროდუქციის ხარისხი ყოველთვის როდი აკმაყოფილებს მასზე წაყენებულ მოთხოვნებს...“

რაკი მოთხოვნები განუწყვეტილი იზრდება, პოლიგრაფისტებმა უნდა ვისურუებთ იმისათვის, რომ მივყვეთ ცხოვრების მაკისცემას... პოლიგრაფიული შესრულების თვალსაზრისით, შეიძლება ჩამოყალიბდეს მთელი რიგი მოთხოვნები, რომელთა განხორციელება პოლიგრაფიული ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონეზე უზრუნველყოფს ნაბეჭდვი პროდუქციის მაღალ ხარისხს...“


დღეს გურამი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის მთავარი ინჟინრის მონადგლია. „ივიდე მეტი უნდა ვიქმუშაო იმ მიმართებით, — გვეუბნება გურამი, — რომ, რაც შეიძლება იდენტური იყოს საილუსტრაციო ორიგინალი და მისი ასლი — პოლიგრაფიული ანაბეჭდი. უახლოეს დროში, ალბათ, დავასრულებ ჩემს ახალ წიგნს. სამუშაო სავამოდ ბეგრია, შედეგს მომავალი გვიჩვენებს.“

თუ შრომის სიყვარული ჩვევად გადაიქცა, იგი ბევრ კეთილსა და დიდს საქმეს განაპირობებს, — ასე თვლის გურამს და ამ რწმენით ზრდის თავის კახასა და პაატას.

კახა 7 წლისაა, პაატა — 4-ის. განა რა გასაკვირია, რომ მათაც მამის, საქმიანობისადმი ინტერესი გაუჩნდათ, სატავენ ბავშვური გატაცებით, აწვალენ ფოტოაპარატს... თავისუფალ დროს ჭიდაობაში ვარჯიშობენ. მამის სურვილია, ბიჭვიც თავისი სპეციალობით გაზრდოს, რატქმა უნდა, თუ მათაც მოისურვებს.

გურამის მაგიდაზე, მინის ქვეშ, ერთი პატარა ამონაბეჭერი დევს, რომელიც ბევრს მიგანინებთ ამ ახალგაზრდა კაცის პიროვნებაზე. „შრომის მაღალი კულტურა საფუძველია, ურბოლოდაც ბრწყინვალე ნიჭიც კი ვერაფერს შექმნის, ნიჭის საფუძველი შრომა და მხოლოდ შრომის შეუძლია ნიჭის წარმატებით დავიკრვენიება“ — აი, რა წერია ამ ამონაბეჭერზე.

ასე იყო და ასე იქნება მუდამ — კაცი შრომით ფასდება.



ნ. მაინი —
ბამაღვითი
სიტყვის
დღე

ლინოტიპისტი იპოლიტა კლარჯიშვილი

მზია ხოსიტაშვილი

„ნურც წარიშალოს, რაც შექმნილა წვითა და რქჳნით, ელაღდეს მუდამ რუსთველური ასოზართული, და ვით უკვდავი ანაბეჭდი ცხოვრების ჩევისნი ცოცხლობდეს ჭეჳანაჳ წიგნი ქართული.“
ზუტა ბერუჯავა.

„წიგნი ქართული“ — რამდენი გვარი ამშვენებს წიგნის თავფურცელს თუ ბოლო გვერდს — ავტორი, რედაქტორი, მხატვარი, კორექტორი... მაგრამ ვერსად ვერ ნახავთ იმ გვარს, რომელიც მკითხველისთვის ყოველთვის უჩინარი და უცნობი რჩება. ეს უცნობი კი, შეიძლება ითქვას, წიგნის მეორე მშობელი და სულსჩამგმველია. ეს ის არის, ვინც ამ წიგნის თითოეულ სტრიქონს ხელით შეხეზბია, თვალთ მიფერებია, მკითხველზე ადრე წაუკითხავს და ალბათ ბევრიც უფიქრია წიგნის არსზე, მის

გმირბრზე. ეს უცნობი ლინოტიპისტი, თვალგაფაციცებით რომ ჩასცქერის დედანს, დახელოვნებული ჰიანისტიკით ფაქიზად და სიყვარულით რომ ეხება ლინოტიპის კლავიშებს, არ აქედრებას, მაგრამ სულს უდგამს და ასე, დამბული შრომით, სასთებით აკვანს ურწევს ქართულ წიგნს. რამდენი შესანიშნავი ლინოტიპისტი ჰყავს ქომაგად და მზრუნველად ქართულ წიგნს. აი მათ შორის ერთ-ერთი — იპოლიტე კლარჯიშვილი, დაუღალავი და უპრეტენზიო, თავმდაბალი და თავდაუსუსიკავი, პრინციპული და შეუვალი -- ასე

იყნობენ მას ბეჭდვითი სიტყვის კომინატში, სადაც უკვე ორმოცი წელია მუშაობს.

თვრამეტი წლის იყო იპოლიტე, როდესაც მშობლიური სოფელი ჭაგანი დატოვა და სწავლის გასაგრძელებლად თბილისს მოაშურა. სოფლელი ბიჭისთვის წიგნის ბეჭდვის ხელოვნება საიდუმლოების ბურუსით იყო მოცული; მერედა, რა მიმზიდველი იყო ეს საიდუმლობა. ამიტომაც დაეუფლა ლინოტიპისტის პროფესიას და მუშაობა დაიწყო „სახელგამის“ № 1 სტამბაში, 1936 წლიდან კი, სტამბის გაერთიანებასთან დაკავშირებით, სამუშაოდ გადმოვიდა ბეჭდვითი სიტყვის კომინატში.

სამამულო ომში, სადაც 1942 წელს გაიწვიეს, ი. კლარჯიშვილი შესასწავლად მსახურობდა, მაგრამ არც იქ უღალატა თავის პროფესიას და მესახელოებას სამხედრო გავით „პაგრან ვოისკის“ ასოთამაშობისა და უთავსებდა. ამ დეაწლისთვის იგი დააჯილდოვეს მედლებით „დიდ სამამულო ომში ვერმანიაზე გამარჯვებისთვის“ და „კავკასიის დაცვისათვის“.

ომის დამთავრებისთანავე იპოლიტე თავის საყვარელ პროფესიას და ძველ კოლექტივს — ბეჭდვითი სიტყვის კომინატს დაუბრუნდა და დღესაც იქ მუშაობს. ვინ მოთვლის, რამდენი წიგნი (ორიგინალური თუ ნათარგმნი), სახელმძღვანელო აუწყვია მას. მას მუდამ განსაკუთრებით საპასუხისმგებლო წიგნებს ანდობენ. მისი აწყობილია კ. მარქსის, ფ. ენგელსის და ვ. ლენინის ტომები, გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა და მწერართა ნაშრომები და თხზულებანი, რომელთაც მუდამ ემჩნევათ ღვაწლმოსილი ლინოტიპისტის პროფესიული ისტატობა.

— არასოდეს წამომდენია საყვედური ლინოტიპისტის ძნელ ხვედრზე, რა თქმა უნდა, გველისსმობ ძველ დრის, რა იყო მაშინ კომინატში, — იგონებს იპო მია, როგორც მას სიყვარულით ეძახიან უმცროსი კოლეგები, — ფოლადის გამძნობ დანადგარებს ნაკით ვახურებდით, ტანსაცმელი და ხელები

სულ ნავთით გვექონდა დასერილი, გამურული, ჭვარტიანი საამქროებში ვმუშაობდით, დღეს კი მაღალი მარკის სამამულო თუ უცხოური მანქანები გვიდგას ელექტრონით გაჩირადნებულ საამქროებში.

სტასანოველი ლინოტიპისტი, კომუნისტური შრომის დამკვირველი, იპოლიტე კლარჯიევილი სიამაყით ატარებს „პროფესიის საუკეთესო მცოდნისა“ და „კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდებას, იგი ერთ-ერთი პირველი ლინოტიპისტი კომბინატში, რომელმაც ათ თვეში შეასრულა მთელი გასული წლის გეგმა. პრინციპული კომუნისტი, ახალგაზრდების უანგარო და თავდადებული მეგობარია, მისი რჩევა-დარიგება, საყვედურიც კი მსოლოდ სასარგებლოა მათთვის.

ბექდვითი სიტყვის კომბინატის კლუბში ტევა არ იყო. ღვაწლმოსილი პოლიგრაფისტის საპატიეცემულიოდ შეკრებილიყვნენ მწერლები, პოლიგრაფიულ საწარმოთა და გამომცემლობათა დირექტორები და თანამშრომლები, ბექდვითი სიტყვის კომბინატის მუშა-მოსამსახურეები. ისინი აქ იპოლიტე კლარჯიევილის დაბადების 60 და პოლიგრაფიაში მოღვაწეობის 40 წლისთავის აღსანიშნავად მოვიდნენ. მის დიდ ღვაწლსა და დამსახურებაზე გულწრფელად, სიყვარულით საუბრობდნენ მისი კოლეგები — პოლიგრაფისტები. მას მიესალმნენ: პოლიგრაფ-სამმართველოს უფროსი ჯ. გოგიჩაიშვილი, გამომცემლობების დირექტორები პოეტი ხუტა ბერულავა, ვახტანგ ჭელიძე, პარტიის ოქტომბრის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე რევაზ ლლონტი, ბექდვითი სიტყვის კომბინატის დირექტორი თ. თოფურაძე და სხვები.

ჩვენი პარტიისა და მთავრობისადმი მაღლიერება და სიყვარული იგრძნობოდა იუბილარის სამადლობელ სიტყვაში, რომელიც ასე დაამთავრა: „60 წელი საპენსიო ასაკია, მაგრამ მე უნდა შევისრულო სამოცი წლის სამუშაო სტაჟი, შემდეგ კი შეიძლება პენსიაზე ვიფიქრო“. გვეჯერა და გესურს ასე იყოს.

ვლ. ჩხეიძე.

ნიკო ნიკოლაძე.





ლისტიც. მათ ერთი მიზანი და ამოცანა აქვთ: კომუნისტური პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპებზე დაყრდნობით, რაც შეიძლება სრულად და ნათლად ასახონ ცხოვრება, იყვნენ ეპოქის მართალი შემადგინანნი. მაგრამ ყოველი მათგანი ამ ამოცანას სხვადასხვა საშუალებით წყვეტს; პრესის მუშაკი — ბეჭდვითი სიტყვით, რადიოს მუშაკი — ხმოვანი სიტყვით, კინოჟურნიკისა და ტელევიზიისა — ხმოვანი სიტყვითაც და გამოსახულებითაც.

ხელოვნება, ლიტერატურა, ჟურნალისტიკა, იმთავითვე მხატვრული თუ პუბლიცისტური სიტყვით ასახავდა ცხოვრებას. ბეჭდვით სიტყვას, პრესას, უკანასკნელი საუკუნის მიჯნაზე კინოც მიემატა. პირველად იგი მუნჯი გამოსახულებებით გვიჩვენებდა ადამიანთა ცხოვრებას. მერე ამ „დიდ მუნჯს“ ტექნიკურმა პროგრესმა „დიდი უჩინ-მაჩინი“ — რადიო მიუშატა, ოცი წლის შემდეგ კი, თითქოს რადიოსა და კინემატოგრაფის შეერთების გზით, წარმოიშვა ტელევიზია, რომელმაც თავი მოუყარა ლიტერატურის, თეატრის, კინოს, რადიოს, მუსიკას, მხატვრობის რიგ მნიშვნელოვან თვისებებს და გახდა ინფორმაციის, პროპაგანდისა და განათლების გავრცელების გაქსაკუთრებული, სპეციფიკური სახე. ამასთან მრავალსაუკუნოვანი გზა, რომელიც ბეჭდვითმა სიტყვამ გუტენბერგიდან ჩვენამდე გაიარა, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის თანამედროვე ეპოქაში ტელევიზიამ რაღაც ოცდაათიდე წლის განმავლობაში განვლო და თითქმის ყველა ქვეყანას დაუფლავა.

აი ზოგიერთი ციფრი. ამჟამად მსოფლიოში მრავალი მილიონი ტელევიზორია. ამერიკის შეერთებულ შტატებში მართკ პრეზიდენტის წინასაარჩევნო კამპანიაში რესპუბლიკელთა და დემოკრატთა მომხრე მონოპოლისტები 22-25 მილიონ დოლარს ხარჯავენ სატელევიზიო დროს საყიდლად. ტელევიზიის ერთ 20-წუთიან გამოსვლაში სენატორმა გოლდუოტერმა 500 ათასი დოლარი გადაიხადა. სულ უფრო ფართოდება ამერიკის შეერთებული შტატების ტელევიზიის კომპანიების პოლიტიკურ პროგრამათა გავრცელება სხვა, განსაკუთრებით ჩამორჩენილ, ქვეყნებში. ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტომ პოლიუელს გადააღებინა ანტიკომუნისტური მიმართულებას დოკუმენტური ტელეფილმების მთელი სერია, 30 ენაზე გამოსვლა და ჩაღის ფასად მიჰყიდა, უფრო სწორად, არქუა, აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის 100-ზე მეტი ქვეყნის ტელეცენტრებს, რომლებიც სწრაფად იზრდებიან და „პროგრამულ შიმშილს“ იკლავენ ამერიკული ტელეპროგრამებით — ამ „საღვთი რეჟიმი თვალათვის“, როგორც თვითონ ამერიკელები უწოდებენ თავიანთ ანტიკომუნისტურ ფილმებს!

ესადა, რომ ტელევიზია განათლების, კულტურის გავრცელების მძლავრ საშუალებასთან ერთად ჩვენს წინააღმდეგობრივ ეპოქაში პოლიტიკური ბრძოლის იარაღსა! წარმოადგენს. ამასთან საბჭოთა ტელევიზია უწინარეს ყოვლისა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის მძლავრი იდეოლოგიური საშუალებაა. კარლ მარქსი თავისუფალი ჟურნალისტიკის არსებობის გამართლებად და დანიშნულებად მიიჩნევდა იმას, რომ პრესას სახელმწიფოს სული შეაქვს „ყოველ საშუალო“¹. ეს კიდევ უფრო მეტად ითქმის ტელევიზიაზე, რომელიც სახელმწიფოს სახელათ თვითონვე შედის ყოველ სახლში. ამიტომაცაა, რომ სკაპ პროგრამაში ტელევიზიის მოხსენიებლმა ლიტერატურის, მუსიკის, ფერწერის, კინემატოგრაფიისა და აქტორის გეგრდით, რომელთა დანიშნულებად მიჩნეულია საბჭოთა იდეოლოგიის აღზრდა კომუნისტური სულაკვეთებით, უდიდესი როლის შესრულება ხალხის პოლიტიკურ, კულტურულ და ესთეტიკურ აღზრდაში.

ამიტომაც ზრუნავს საბჭოთა საზოგადოება ტელევიზი-

ტელეჟურნალისტიკის ზოგირთი საკითხი

მიხეილ გაფრინდაშვილი

ტელეჟურნალისტიკა ახალი საქმეა, ხოლო მისი პრაქტიკული გამოყენება სათანადოდ შეუსწავლელ-განუზრადებული. ამიტომ სასარგებლო იქნება ზოგადად მაინც შევეხებით ქართული ტელეჟურნალისტიკის არსებით პრობლემებს.

არის კი პრობლემური ტელეჟურნალისტიკის პრობლემა?

არსებობს წიგნი, რომელსაც ჰქვია „სატელევიზიო ჟურნალისტიკის საფუძვლები“, რომელშიც ტელეჟურნალისტიკა სულაც არაა პრობლემურად მიჩნეული, თუმცადა ტექსტში ვრცელი მსჯელობის რაობაზე და გამოკანონილია დასკვნა, რომ ტელევიზია ჟურნალისტიკაა, მაგრამ არა ჩვეულებრივი.

რა თქმა უნდა, გარკვეული აზრით, ტელევიზია ჟურნალისტიკაა, მაგრამ ამავე დროს ხელოვნებაც. უფრო ზუსტად, იგი სინთეტური ჟურნალისტიკაა და, ამდენად, განაწილა საკუთრივ ჟურნალისტიკისა და საკუთრივ ხელოვნებისაგან როგორც განსხვავებული, სპეციფიკური, ისე მსგავსი ნიშნებიც. ამაშია ტელეჟურნალისტიკის პრობლემის არსი.

ცხოვრების მოვლენათა და ფაქტთა მიმღ მრავალფეროვნებას ერთნაირად ხედავს გაუხეხის მუშაკიც, რადიორეპორტიორიც, კინოჟურნიკის მუშაკიც და ტელეჟურნალ-

ის განვითარებისათვის. ამჟამად საბჭოთა კავშირში 40 მილიონამდე, ხოლო საქართველოში 300 ათასამდე ტელევიზორია. კიდევ უფრო გაიზარდება მათი რიცხვი მცხერე ხუთწლიანი ბოლოს. ათივე წლის შემდეგ ეს საბჭოთა კავშირში დასრულდება „მშენებლობა ტელეცენტრებისა, რომლებიც მოემსახურება ყველა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო რაიონს“ და ტელევიზორთა რაოდენობა ჩვენს ქვეყანაში 90 მილიონს მიაღწევს.

სსრ კავშირის ცენტრალურ ტელევიზიას ასეა ითხი პროგრამა აქვს. მისი პირველი პროგრამა მცხერე არხით ყოველდღიურად 12 საათის მანძილზე მიიღება ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, მათ შორის, საქართველოშიც. საქართველოს ტელევიზიას 2 პროგრამა გააჩნია. პირველი პროგრამა ყოველდღიურად გადაიცემა 8, მეორე — 4 საათს; ამ 12 საათიდან 3 ეთმობა ცენტრალური ტელევიზიის გადაცემათა რეგრანსლაციას. საქართველოს ტელევიზიის გადაცემათა ყოველდღიური ხანგრძლივობა 27 საათია, აქედან 15 საათი ცენტრალური ტელევიზიასა. თუ იმასაც დაძინებ, რომ საქართველოს ტელევიზიაში მუშაობს 406 შემოქმედებითი მუშაკი (რედაქტორი, რეჟისორი და სხვა), რომლებიც გაერთიანებული არიან 11 მთავარ და 32 დარგობრივ რედაქციაში, ხოლო მისი წლიური ბიუჯეტი რამდენიმე მილიონ მანეთს შეადგენს, მაშინ ნათელი იქნება, რაოდენ დიდნი ყურადღება ეთმობა ტელევიზიას. აღარაფერს გახმობ იმაზე, თუ რა დიდი სახსრები დასჭირდა სარეგრანსლაციო სახსრების ამუშავებას, რის წყალობით საქართველოს ბარის ყველა რაიონი უკვე დღეობის ტელეგადაცემებს. ტელევიზია ჯერჯერობით ვერ აღწევს მხოლოდ საქართველოს მაღალ მთიანეთში, მაგალითად, შუმო სვანეთში, ქედამში, შუახედილში...

უკვე ასეა საბჭოთა ტელევიზიას შეიძლება მოუხმონ მისი 130 მილიონამდე ადამიანმა, ესე იგი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტმა. ეს ნიშნავს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან ტელევიზიას რადიოსთან ერთად ტოლი არა მკაჟას. საბჭოთა ტელევიზია იქცა თანამედროვე რეჟიმების მასობრივ საშუალებად, მშრომელთა პოლიტიკური და მსატკრებელი აღზრდის, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების, ადამიანთა შრომით და დასვენების ორგანიზაციის მნიშვნელოვან ფაქტორად.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას (და ამ ორი წლის წინათ კიდევაც თქვა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალურ დადგენილებაში ტელევიზიის შესახებ), რომ სატელევიზიო გადაცემების შინაარსი ყოველთვის ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მაღალ მოთხოვნებს, ჩვენი ადამიანების მზარდ კულტურულ და საგანმანათლებლო დიწეს. სატელევიზიო გადაცემათა ნაწილი მოკლებული იყო აქტუალობას, ჩამორჩებოდა ჩვენს ქვეყანასა და უცხოეთში მომხდარ მოვლენებს. ზოგიერთ სატელევიზიო სპექტაკლში, ფილმში, გადაცემაში ნათლად არ იყო გამოხატული კლასიკური პოეზია, დაშვებული იყო ანტირატკული პუნამისტური მიდგომა თანამედროვე ცხოვრების მოვლენებისადმი. ზოგ საესტრადო სატელევიზიო პროგრამაში შეიპარა მიუღიღელი უცხოური მიდა და მანერა. ხელგეობის მუშაობა ნაწილს ის აზრაც გაუჩნდა, რომ ტელევიზიაში ყველაფერი გასაღდება. მაგალითად, როცა ცენტრალურ ტელევიზიაში ჩამოყალიბდა შეიშობ პროგრამა, რომელიც უპირატესად ინტელიგენციისათვის იყო ნაწარაველი, პირველი პროგრამისათვის დაწყებული გადაცემებს მოითხოვ ან მეორე პროგრამებს ასველდნენ თავს. ბევრი რეჟისორი ჩიოდა, რომ ნიჭური მსახიობები თეატრებს ტოვებდნენ და ტელევიზიის რეჟისორები მდებოდნენ. ისეთი თავგანთიან და მომბინძური კაციც კი, როგორც იური ალექსანდრეს ძე

ზავადსკია, პირდაპირ ეუბნებოდა ერთი ჟურნალის კორესპონდენტს: „ასეა სატელევიზიო თეატრის მივლი უბედურება ისაა, რომ იგი ხალხურის კეთების ადგილი გახდება; რეჟისორებიც, აქტიორებიც იქ მიიდან საშოვარზე, მანძი, როდესაც ნამდვილი სასმატეო ხელმძღვანელობა მომთხოვნი უნდა იყოს“. ტელევიზიასთან კავშირის მქონე ბევრი სხვა მსახიობი, მწერალი, რეჟისორი, ჟურნალისტიც აღიარებდა, რომ ტელევიზიაში ხალხი ბევრია, წესიერება კი მცირეა.

დაახლოებით ასეთივე ვითარება იყო ადგილობრივ ტელესტუდებშიც 1970 წელს. უნდა ითქვას, რომ ვასუტო ორი წლის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა, სატელევიზიო გადაცემები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მაგრამ ბევრი რამ გასაცლებელი დარჩა. ვინ არ იცის, მაგალითად, რომ სულ ცოტა ხნის წინათ ზოგიერთი ყოფილი ხელმძღვანელი მუშაკი საქართველოს ტელევიზიაში სამუშაოდ ავანტიდა ისეთ პიროვნებებს, რომელთაგან ბევრს არც საზნაულო ცოდნა და უნარი გააჩნდა, არც რეპუტაცია. ტელევიზიის შტატების ირდებოდა, მომთხოვნილები კი მცირედნობდა. ამის გამო ტელევიზიის ზოგ რედაქციაში ასეავე არ გვეყავს მაღალკვალითებული და მაღალი დეურეი ჟურნალისტებისა და რეჟისორების საკმარისი რაოდენობა; მცირერიცხოვანი პარტიული ფუნა, რეჟისორთა უმნიშვნელო პროცენტზე გაჩნდა სპეციალური განათლება. შეიძლება ზოგი პარტიკულის კიდევაც სკოლთა ზოგ პროფესიონალს, მაგრამ აქედან სულაც არ გამომდინარეობს, რომ მნიშვნელობა არა აქვს პროფესიულ მომზადებას.

ტელევიზიას სჭირდება როგორც საინფორმაციო-პოლიტიკური, ისე სამეცნიერო-სამრეწველო და მსატკრებელი ეანხების პროფესიონალი ტელეჟურნალისტები. ესანხები კი ტელევიზიაში ისევე მრავალა, როგორც ჟურნალისტებიცა და ხელგეობებიც. აქ არც ადგილია და არც საჭიროება მათი დახასიათებისა, მაგრამ უნარულად მაინც მოივინთო ტელეჟანრები: საინფორმაციო შენიშვნა, რეპორტაჟი, ანგარიში, ინტერვიუ, კორესპონდენცია, ჩანახატი, ტელეგადაცემა, მიმოხილვა, ნარკვევი, ფილტვინი, ტელეკომენტარები, რეცენზია, ლექცია, ესკუსურსა, პორტრეტი, კონცერტი, ვიქტორინა, ტელესპექტაკლი, ტელეფილმი და სხვა. თითოეული ამ ესანხთაგან, თავის მხრივ, მრავალნაირ სახეს ღებულობს. მაგალითად, რეპორტაჟი შეიძლება იყოს კომენტარული, პრობლემური და სხვა. სპექტაკლი — დრამატული, საოპერო, მუსიკალური-კომედიური და სხვა. ასევეა ტელეფილმი და ყველა სხვა ესანხი.

ისიც უნდა ითქვას, რომ მრავალ სატელევიზიო ნაწარმებში ბევრი ამ ესანხთაგანი ერთადვე გვხვდება. ზოგჯერ შეიძლება ეს აუცილებლობით იყოს არც იყოს გამოწვეული, არამედ ტელეჟურნალისტის თუ რეჟისორის არასაკმარისი პროფესიონალიზმის შედეგად. ტელევიზიის, ისევე როგორც ჟურნალისტების და ხელგეობის, საერთოდ, შემოქმედების, მრავალნაირ ფორმას მხოლოდ მის გამოყენებას წარმატებით, ვინც ნიჭთან ერთად მაღალი პროფესიონალიზმის მქონე და დაუღალავი შრომისმოყვარეა.

ნათქვამიდან ნათელი უნდა იყოს, რომ თანამედროვე პირობებშიც ტელევიზიის ერთ-ერთი არსებითი პრობლემა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმის გაუმჯობესება. ამასთან, საქმე მოითხოვს ტელევიზიის შემოქმედებით მუშაობა არა მარტო პროფესიულ, არამედ თეორიულ-პოლიტიკურ ზრდასაც.

თეორიულ-პოლიტიკური თუ მეთოდლოგიური უცოდინანობითაც იყო განპირობებული მის სქოლასტიკური კამათი, რომელიც ერთ დროს გახუთ „სოველსტაკია კულტურას“ ფურცლებზე გაიმართა სიტყვისა და გამოსახუ-

ლებს მნიშვნელობის თაობაზე ტელევიზიაში.⁵ ერთნი აღიარებდნენ გამოსახულების პრიმატს, მეორენი — სიტყვისას. პირველი უმრავლესობას შეადგენდნენ, მეორენი — უმცირესობას. მაგრამ ვერც ერთი ვერ ამჩნევდა, რომ ტელევიზია ხშირად სიტყვისა და გამოსახულების ერთობაა, ხოლო მასში სიტყვისა და გამოსახულების დაპირისპირება უარობაა, თუნდაც იმიტომ, რომ ორივე სატელევიზიო ფორმის აუცილებელი, განუყოფელი ელემენტია.

არაფი უარყოფს, რომ არის სატელევიზიო გადაცემები, რომლებიც უსიტყვოდაც ვასაგებია. მუხჯი კინოც ხომ არსებობდა? ახლაც იქნებოდა ფილმები, რომლებშიც გამოსახულება და მუსიკა ამომწურავად გადმოსცემენ ავტორების ჩანაფიქრს. მაგრამ გაცილებით უფრო მეტი იქნებოდა ფილმები და გადაცემები, რომლებშიც თანაბრად აუცილებელია სიტყვაც და გამოსახულებაც. უპირობოდ, მაგალითად, წარმოდგენაც კი არ შეიძლება ინფორმაციის, პროპაგანდის, მეცნიერული ცოდნის პოპულარიზაციის, განათლებისა ამ სიტყვის ფართო გაგებით. ამიტომ შეუძლია ტელევიზიის ფორმის მთავარ ელემენტად გამოსახულების და არა სიტყვისა და გამოსახულების მიჩნევა და ამის გამართლება ტელევიზიის სპეციფიკაზე მითითებით.

ამ შეცდომის წყაროა არა ტელევიზიის სპეციფიკა, არამედ ბურჟუაზიული თეორეტიკოსთა პოლიტიკა, რომლებიც სიტყვის მეორეხარისხოვან და მიიჩნევენ ტელევიზიაში, რათა მსუბუქი გართობის საშუალებად აქციონ ტელევიზია და ამით ჩამოაშორონ მასთვის ყურადღება თანამედროვე ცხოვრების „მიმიქ“ ტირაფარამსაგან.

შეუძლია ისიც, რომ ტელევიზიის ზოგი თეორეტიკოსი უგულებელყოფს საბჭოური ჟურნალისტიკის, კერძოდ, ტელევიზიისტიკის საკმაოდ ფართო და ნაყოფიერ გამოცდილებას და იძლევა განცხებივლი, პრაპარტიული სოციოლოგიური კვლევის გზით მოიპოვებულ რეზიუმეციებს, რომელთა განხორციელება არსებითად ბურჟუაზიული დასავლეთის ტელევიზიის პრაქტიკული გამოცდილების უკრტიტოდ გადმონერგვას გამოიწვევდა. ეს შეცდომა კიდევ უფრო ღრმავდება, როცა ვინ დასაბუთებდა და გამართლებდა იმით ცილობებში, თითქოს „ჩვენი ტელევიზიის კონკრეტული პრაქტიკა არ იძლევა საკმაო სერიოზულ მასალას განზოგადებისა და დასკვნებისათვის“, მაგალითად, სატელევიზიო პროგრამების შემუშავების დარგში.⁶

შეუძლია, რომ ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის ტელევიზიის გამოცდილების კრიტიკული შესწავლა ჩვენთვის საჭიროა. ცოცხა არც ეს იქნება, რომ მთავარ ზოგი რამ გადმოვიღოთ. მაგრამ ამასთან, ჯერ ერთი, არ შეიძლება საკუთარი გამოცდილების უგულებელყოფა და, მეორეც, ყოველთვის უნდა ვგახსოვდეთ, რომ საბჭოურ და ბურჟუაზიული ტელევიზიათა ამოცანები და მიზნები ძირფუძვალად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

სამუშაოდ, ამას არ ითვალისწინებს საბჭოური ტელევიზიის ზოგი თეორეტიკოსი, როცა ერთმანეთს უპირისპირებს საბჭოურ პრესასა და ტელევიზიას და ამტკიცებს, თითქოს ჩვენს პრესა ერთგვარად ანონიმური, უსახელი, უპიროვნოა, ჩვენმა ტელევიზიამ კი „პიროვნების ქურჩის სიტყვა“ დაამკვიდრა. ამ მცდარი აზრად გამოიღონიანო ავტორი აყენებს ჩვენი ტელევიზიის „ვარსკვლავთა“, ესე იგი, პოლიტიკის ერთი რომ არა ტექვთა, პოპულარულ ტელევიზიისტიკა აღზრდის პრობლემას, აქაო და, „ამერიკის ხმას“ ან „ბი-ბი-სის“ „ვარსკვლავები“, „მოაზროვნე პროფესიონალები“ გამოიყენებს ვერანაუ და მიკროფონთან და არა ყველა ადამიანი, რომელიც ტელევიზიით გამოსვლა უჭირს, თუნდაც „სინი უბრალო“ მუშები და

გლეხები კი არ იყვნენ, არამედ გამოჩენილი მწერლები და მეცნიერებიო? ⁷

პოპულარულ ტელევიზიისტიკა, ტელევიზიისტიკათა პრობლემას შეიკრავს და საჭირო საბჭოთა ტელევიზიის ისინი უჭერს. მაგრამ ჩვენ ვერ განვიხილავთ ბურჟუაზიის დიფერენციალ მცდარ თვალსაზრის მოაზროვნე „პროფესიონალოთა“ ელტის ხელმძღვანელობის შესახებ „სოციალდობაში. საბჭოური საზოგადოების მეცნიერება სულ სხვა ძალებს მიიჩნევს საზოგადოების ხელმძღვანელ და მამოძღვრებელ ძალებად: მუშათა კლასს და მის კომუნისტურ პარტიას, გლეხობასა და მშრომელ ინტელექტუალს. ამიტომ ბურჟუაზიული ქვეყნების ტელევიზიის შემუშავება და მამოძღვრებელი პროფესიონალებითი“, საბჭოური ტელევიზიის, ისევე როგორც მთელი უერხალისტიკისათვის, კი ყოველთვის დამასასიათებელი იყო და იქნება არა მარტო „ვარსკვლავთა“, არამედ აგრეთვე უბრალო მუშათა, გლეხთა, ინტელექტუალოთა მეცნიერთა, პრატიკულ და საბჭოთა მუშათა გამოყენება ვერანაუ თუ პრესაში. ისინი არ არიან არა თუ პოპულარული, არამედ უბრალოდ უერხალისტიკებიც კი, მაგრამ პოპულარული არიან, როგორც მშრომლები, სოციალისტური საზოგადოების მამოძღვრებელი ძალები. ამიტომ მათ ყოველთვის ადვილობათ საბაბით და თვალსაჩინო ადგილი ჩვენს ტელევიზიაზე.

ესეც რომ არ იყოს, ტელევიზია მარტო ვარსკვლავებით ვერ იარსებებს, თუნდაც იმიტომ, რომ თითონ ტელევიზიისტიკისტიკებიც ყველა როდია ვარსკვლავი. ტელევიზიას, როგორც ყველა სხვა საქმეს, მკაცრ და ყოველთვის ეყოლება უერხალისტიკები, რომლებიც, შესაძლოა, საქვეყნოდ განტყმუნდნენ არ არიან, მაგრამ თავიანთი გულმოდგინე შრომით სასარგებლო საზოგადოებრივ საქმეს აკეთებენ.

ტელევიზიის სპეციფიკის არსებითი ნიშნებია — სინტიტიკობა, ერთდროულობა, ყველაწამყოფობა. მრავალფეროვნანია მისი ვარსები, ადამიანის, მოვლენის, ფაქტების თუ სატვის წყისი“, „სასთვის ტაბი“. მაგრამ ყოველი სატელევიზიო ნაწარმოების უპირველესი სასუფრელოა ლიტერატურული სენსორი ან სასენსორი გეგმა, ტექსტი. ტექსტის პრობლემა ერთ-ერთი ძირითადია ტელევიზიაშიც და სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებშიც, მაგალითად, უნივერსიტეტში. სტუდენტები ხშირად კითხულობენ, როგორ ვისწავლოთ, კონსპექტი შევადგინოთ თუ ზეპირად ვისაუბროთ.

როგორც ვხედავთ, აქ ერთმანეთს უპირისპირდება ორი სხვადასხვა რამ, ტექსტის დაწერა და ზეპირი საუბარი ერთსა და იმავე საკითხზე. მაგრამ განსა ეს ორი რამ პირინკიულად უწინააღმდეგებია ერთმანეთს? განსა შეუძლებელია, რომ ტექსტი დაწერილ და დაწერილობის მიხედვით ზეპირად ისაუბრო, საჭირო შემთხვევაში კი ჩაიხედო მასში. ამის მაგივრად, რომ ზეპირად ისაუბრო და ზუსტად განსაზღვრულ დროში ვერ ჩაეთქო? ჩვენი ბოქსის ადამიანის დრო კი ხომ ყოველთვის განსაზღვრულია.

უდავოა, რომ საერთოდ და განსაკუთრებით ტელევიზიაზე ზეპირი საუბარი სუბოთა ვარსკვლავობა. მაგრამ აქედან სულაც არ გამოიღონიანო, რომ ტელევიზიით გამოცდილებული მარტო თავისი საკუთარი იმპროვიზაციის უნარს დაწინდოს, გადაცემისათვის არ უნდა მოეშვალოს და ის ილაპარაკოს, რაც ენაზე მოადგება. ზეპირი მეტყველება განსხვავდება წერილისაგან, მაგალითად, ლოგიკური წყობით, სტილისტიკით. ცოცხალი მეტყველება გულისხმობს დაუქმებულ ფრანგებს, უსრფრფრისათვის საჭირო საუბრებს, საჭირო სიტყვის თუ აზრის ძიებას, ხმის ტემბრს, საუბრის გასაგებად, მისაწვდომ ტემპსა თუ რიტმს. მაგრამ ეს ძალზე ცოცხალ შეძობა მთუშადადებულად ბევრ, საკმაოდ უნართან ადამიანსაც კი ამისათვის მომზადება საჭირო



საქართველოს
წიგნების კავშირი

დება და ეს მომზადება ყველაზე უკეთ ხდება სწორედ გადაცემის ტექსტის დაწერისას. ამიტომ წესად ის კი არ უნდა მივიღოთ, რომ ტელევიზიით „გამომავლის არ მივსცემო ტექსტი“;⁵ არ დაწერილი ლიტერატურული სცენარი ან სასცენარო გეგმა, არამედ ის, რომ ტექსტი სავსებით ტელევიზიის შესაფერისად, ხეშირად სასაუბროდ, ისე რომ ტექსტის კითხვის დროსაც იგი არ ჩანდეს ტექსტზე მიჯაჭვული, იცოდეს რა დაწერა; ხოლო დაწერილი მისი ნაწილაკ-ნაზარევი, მისი რწმენის ნაწილი იყოს. ამრიგად, პრობლემა ის კი არ არის, ვეროთ თუ არა სატელევიზიო ლიტერატურული ტექსტები, არამედ ის, რომ ვეროთ ენობრივად და აზრობრივად გამართული, სალაპარაკოდ, სასაუბროდ, და არა წასაკითხად ნაგარუდები ტექსტები, რომლებიც კი არ დაიმიწიბეს, არამედ დაეხმარება გამოხვედლოს.

ის აზრი კი, რომ რაკი სხვის და თანაც წინასწარ დაწერილ ტექსტებს კითხულობენ, დიქტორები ვერანაზე ტელეჟურნალისტებმა უნდა შევცვალოთ, განუზოცილებელიცა და შეუფერებელიც თანამედროვე ტელევიზიისათვის, თუმცა კარგ სატელევიზიო ნაწარმოებს დიქტორიც კარგად სჭირდება. ასევე განუზოცილებელი და მცდარია მოთხოვნა იმისა, რომ ტელეგერანში ვაჩვენებლეთ მარტო სატელევიზიო ნაწარმოებებს და არაი ვთქვათ კინოფილმისა და სპექტაკლის ჩვენებისა. საბჭოური ტელევიზია მთლიან საბჭოური ლიტერატურისა და ხელოვნების პოპულარიზატორია. გარდა ამისა, ახლა, რა დასამალია, ტელევიზიას ჯერ კიდევ არ გააჩნია საკამო რაოდენობით მაღალკალიბრიანი შემოქმედებითი კადრები, რომლებიც შექმნიდნენ იმდენ მაღალმასშტაბულ და მაღალიფორმულ სატელევიზიო ნაწარმოებს, რამდენსაც ჩვენი ცისფერი გერანი მოითხოვს. ტელევიზიამ უნდა განხიფთაროს თავისი როგორც ჟურნალისტიკის და როგორც ხელოვნების სპეციფიკური შესაძლებლობანი, შეიქმნას ტელეგერანსატურულიც, ტელეგერანებიც, ტელეგერანებიც, მაგრამ ამასთან ერთად მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ყველაფერი საუკეთესო, რაც შეუქმნია თეატრს, კინოს, მუსიკას, ლიტერატურას...

ზემოხსენებულ მეთოდოლოგიურ შეცდომებზე შეიძლება არც შევეჩერებულეყავით, ისინი რომ უარყოფითად არ მოქმედებდნენ ჩვენი ტელევიზიის რამქტივაციაზე. მაგალითად, იქნებ „სიტყვათაშინ შედარებით გამოსასულების უპირველესობის“ რწმენის ბრალიც იყო, რომ ბოლო დრომდე საქართველოს ტელევიზიის ზოგი მუკაკი საქმეს უკულმა აკეთებდა: ჯერ თეატრატორი გადაიღებდა გარკვეულ ფაქტს თუ მოვლენას, მერე რეჟისორი გააკეთებდა მონტაჟს, ბოლოს კი რედაქტორი დაწერდა სადიქტორო ტექსტს.

ამას გარდა, თუ სიტყვათაშინ შედარებით მთავარია გამოსასულება, თითქოს აღარცაა აუცილებელი ტექსტზე დიდი მუშაობა და ამის გამო ხდება ხოლმე, რომ ვერანაზე მოჩანს მანქანების, ადამიანების, ისე მანქანების დაუსრუ-

ლებელი ქაისი, მაგრამ არ ისმის შინაარსიანი თხრობა. ადამიანთა შრომაზე, ცხოვრებასა და სულისკვთებაზე. ისიც ხომ ფაქტია; რომ ბევრი ჩვენი ტელეჟურნალისტი ჯერაც ვერ განადა რეპორტაჟის ისტატი, ვერ ახერხებს ინტერვიუს კარგად წყაყაბას, ხოლო ზოგ კორესპონდენტსა და დიქტორს კი ემაჯარვება არა მარტო საუბარი, არამედ მისაუბრის მოსმენა.

ზემოხსენებული მცდარი თეორია ამცირებს სიტყვის, რედაქტორის როლს ტელევიზიაში, ადარბებს ტელევიზიის პროპაგანდისტულ, ამზრდელიებით, საინფორმაციო შესაძლებლობას. ამით იმის თქმა კი არ გვიდა, რომ სათანადოდ არ შეეფასათ ტელევიზიის რეჟისორულ-შეხარატორული ნაწილი, მისი მსატვრული სპეციფიკა. ლაპარაკია იმაზე, რომ ყოველი ტელეგადცემა იყოს მაღალმსატვრულიც და მაღალიფორმულიც, გამსჭვალული შეცნერული, მარქსისტულ-ლენინური მოვლემბედილობით, აღსაესე მოქალაქეობრივი, პარტული პაითოსი.

ტელევიზიის სპეციფიკაა სინამდვილის ასახვა არა მარტო გამოსასულებით, არამედ სიტყვითაც.

კიდევ უნდა გავიხიროთ, რომ ტელეჟურნალისტთა მაღალიმეორი და დოსიტგებელი კადრები ჯერ კიდევ ცოტაა. ჟურნალ-გასუთებიდან ისინი ტელევიზიაში არ გადალტოვან; როგორც ჩანს, პრესაში მუშაობა უფრო ვადლებათ. ჩვენი უნივერსიტეტი ტელეჟურნალისტებს არ ამზადებს. სხვა სპეციკობის ახალგაზრდა ჟურნალისტები კი მღიერ იმეითად თუ აკმაყოფილებენ ტელეჟურნალისტიკათვის წყაყენულ მოთხოვნებს.

ამას წინათ მთელი ჩვენი ჟურნალ-გასუთების რედაქციები შემოვიარეთ, რათა საქართველოს ტელევიზიის პროპაგანდის რედაქციის რედაქტორის თუ უფროსი რედაქტორის თანამდებობაზე გამოსადგი ტელეჟურნალისტი მოგვეძებნა. შემთავსებელი კანდიდატურა საკმარის ბევრი ეხატება, კვლიფიციური, ნიჭიერი ტელეჟურნალისტი კი მაინც ვერ ამოფაინებთ. ეს იმის მარეებელია, რომ მნიშვნელოვან პრობლემადაა ქვეყლი ტელეჟურნალისტთა მომზადებისა და გადამზადების საქმე. ამასთან ტელეჟურნალისტებს უნდა ვამზადებდეთ არა მარტო ჰუმანიტარული, არამედ საბუნებისმეტყველო განათლების მქონე პირთავახვც. ამისათვის, უწინარეს ყოვლისა საჭიროა, რომ ქართული ენის ცოდნა საქართველოში მარტო ფილოლოგებს, ქართული ენისა და ლიტერატურის გასყოფლების სტუდენტებს ან მასწავლებლებს არ მოეთხოვებოდეთ. მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, რომ ქართულმა ტელევიზიამ მისთვის შესაფერისი როლი შესარულოს ქართული ენის სიწმინდის დაცვაში, რომ ქართული სატელევიზიო გერანიდან ისომღეს არა მარტო დამაჯერებელი, მართალი, გულწრფელი, გულსტეილივი აღმცხერები, ცხოვრებისა და აზროვნების ურდველი ლოგიკით შეუდგებელი მალალი ზრები, არამედ საქართველოს ბუნებასაით და ქართველი ხალხივით მრავალფეროვანი, ძარღვიანი, ტკბილი, ანვარა ქართული ენაც.

შ ე ნ ი შ ე ნ ა ბ ი :

¹ А. Юровский, Р. Борейский, Основы телевизионной журналистики, 1966, стр. 7-14.
² К. Маркс, Дебаты о свободе печати (К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. I, 1956, стр. 66).
³ Программа Коммунистической партии Советского Союза, 1961, стр. 131.

⁴ Постановление ЦК КПСС от 1 сентября 1970 г. о преобразовании Комитета по телевидению и радиовещанию.
⁵ См. «Советская культура», 1970.
⁶ См. Фирсов, Телевидение, 1970.
⁷ Р. Борейский, Телевизионные программы, 1968 г.
⁸ А. Юровский, Р. Борейский, Основы телевизионной журналистики, стр. 195, 235, 251, 256.

კომპოზიტორის დაბადების
100 წლისთავი



რახმანინოვის მესამე სიმფონია

გულბათ ტორაძე

სირბი რახმანინოვი, რომლის დაბადების 100 წლის-
თავი ზეიმით აღინშნა მთელმა კულტურულმა კაცობრი-
ობამ, განსაკუთრებული მოვლენაა მუსიკის ისტორიანი.
მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა გვაოცებს არაჩვეულებ-
რით მრავალმხრივობითა და უაღრესად ფართო დიაპაზო-
ნით; იგი იყო დიდი კომპოზიტორი, გენიალური პიანის-
ტი, მრწამსიანი დირიჟორი. მუსიკალური კულტურის ის-
ტორიაში არის მხოლოდ ერთი სახელი — ფ. ლისტის.
რომელიც ამ მხრივ შეიძლება რახმანინოვს შევადაროთ.

მრავალფეროვანი და მდიდარი რახმანინოვის მუსიკა-
ლური მემკვიდრეობის მხატვრული შინაარსი და ჟანრობ-
რითი დიაპაზონი. თქმა არ უნდა, კომპოზიტორის შემოქ-
მედების უძვირფასესი ნაწილია მისი საფორტეპიანო მუ-
სიკა, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა ამ ჟანრის ისტო-
რიაში, მაგრამ მაღალი შთაგონების დაღი აზის რახმანი-
ნოვის უპოპულარულეს რომანსებს, ოპერა „ალეკოს“, კო-
კალურ-სიმფონიურ და საორკესტრო ნაწარმოებებს.

წინამდებარე ნარკვევი მიძღვნილია რახმანინოვის მე-
სამე სიმფონიასადმი, რომელიც დიდი რუსი კომპოზიტო-
რის ერთ-ერთი ღრმა ქმნილებაა და რუსული კლასიკური
სიმფონიზმის უკანასკნელი შედეგია.

1936 წელს შექმნილი მესამე სიმფონია კომპოზიტორის

უკანასკნელის წინა ნაწარმოებია, ფაქტიურად კი — მისი
გედის სიმღერა, რომელშიც განზოგადება და ნამდვილი
მხატვრული სინთეზი ჰპოვა რახმანინოვ-სიმფონისტის
(ფართო გაგებით) მდიდარმა შემოქმედებითმა გზამ.

უკანასკნელ მის ნაწარმოებს — „სიმფონიურ ცვეკვებს“
(1940 წ.) მიუხედავად უცილობელი მხატვრული ღირსე-
ბებისა, არ შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია კომპოზიტორის
შემოქმედებითი გზის დამაგვირგვინებელი ქმნილები.

ბ. ასაფიევი, რომელსაც მესამე სიმფონიის პირველმა
შესრულებამ მოსკოვში (1943 წ.) შთააგონა ბრწყინვალე
ნარკვევის შექმნა („ს. ვ. რახმანინოვი“, 1945 წ., რეჟუ-
ლი ნაწერები, ტ. II), აღნიშნავდა: „მესამე სიმფონიაში
განზოგადებულია რახმანინოვის მუსიკის საუკეთესო თეი-
სებები“. დრომ დაადასტურა ეს მაღალი შეფასება. მაგრამ
ამისდა მიუხედავად მესამე სიმფონია, ისევე როგორც სა-
ზოგადოდ რახმანინოვის მთელი გვიანდელი შემოქმედება,
ჯერ კიდევ არ გამზდარა ღრმა და მრავალმხრივი მეცნიე-
რული კვლევის საგანი (აღსანიშნავია ვ. პრორტოპოპოვის
კვლევითი ხასიათის ნარკვევი „ს. ვ. რახმანინოვის გვიან-
დელი სიმფონიური შემოქმედება“ (1947 წ.) და ო. სო-
კოლოვას ბროშურა რახმანინოვის სიმფონიურ ნაწარმო-
ებებზე).

რახმანინოვის „ამერიკული“ პერიოდის შემოქმედებითი კატალოგი ერთობ მცირეა. აქ ჩვეულებრივ, გამოყოფენ ხოლმე 20-იან წლებს, რომლებიც აღინიშნება კომპოზიტორის თითქმის სრული შემოქმედებითი სიჩქმით (მეოთხე საფორტეპიანო კონცერტის აღინიშნული ჩინაფორტის სიჩქმესმა და „სამი რუსული სიმღერა“ ორკესტრისათვის) და 30-იანი წლების ახალ შემოქმედებით აღმავლობას, რასაც თანაკა კომპოზიტორის ორი გვიანდელი შემდეგერი — „რაფსოდია პაგანინის თემაზე“ და მესამე სიმფონია (ვასაბეგლებ შხოლოდ საყვანძო სიმღერებებს).

20-იანი წლების შემოქმედებითი აპატიის მიხედვით ძალზე მჭიდროდ აქვს ფორმულირებული თვით კომპოზიტორის 1934 წელს მიცემულ ინტერვიუში.

„რუსეთიდან წამოსვლის შემდეგ გაიქირა სურვილი მუსიკის წერისა. სამშობლოს დაკარგვით საკუთარი თავიც დაკვარებე. გადახიზნულ ადამიანს, რომელიც მოწყვლად მუსიკალურ ფესვებს, ტრადიციებსა და მშობლიურ ნიადაგს, აღარ რჩება მუსიკის წერის სურვილი, აღარაფერი აქვს სანუგეშოდ, გარდა წმინდათაწმიდა მოგონებების ურდელი მღვდარებისა“.

ეს ანალოგიებილი აღსარება გასაღებს იძლევა ორი წლის შემდეგ დაწერილი მესამე სიმფონიის გასაგებად, რომელსაც მ. ასაფიევმა მისწრებულად უწოდა „მოგონებათა მუსიკა“.

ამერიკული პერიოდის პირველი ნაწარმოები — მეოთხე საფორტეპიანო კონცერტი ნაკლებ მასალას იძლევა გვიანდელი რახმანინოვის იდეურ-სტილისტური ტემდენების გასაშუებლად, რამდენადაც იგი მიფიქრებული და დაწყებული იყო გაცილებით „აღზე (რუსეთში).

1928 წელს დაწერილი „სამი რუსული სიმღერა“ ორკესტრისათვის, რომლითაც დაიწყო კომპოზიტორის შემოქმედებითი გამოცოცხლება, საინტერესოა, პირველ რიგში, თავისი თემატიკით. შორეული სამშობლოს სილიანის სახეების მოგონება და ამ მოგონებით გამოწვეული მტანჯველი რეფლექსია — ასეთია ნაწარმოების ემოციური შინაარსი. საერთო კოლორტი პირქვესა. დამახასიათებელია თვით თემატიკის მასალის ტრაგიკული შინაარსის ხალხური სიმღერების შერწყმაც. ჩვენივე ეს ნაწარმოები განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან თავისი ნოსტალგიური თემით იგი უშუალოდ ეხმარება და ამზადებს რახმანინოვის მესამე სიმფონიას. შედარებით ნაკლებად შეივარება ამ ნაწარმოება ინსტრუმენტული-სტილისტური ნათესაობა.

„სამი რუსული სიმღერა“ სხვაგვარივაც საყურადღებოა. კომპოზიტორის ხანგრძლივი დუმილის შემდეგ დაწერილი ეს ნაწარმოები ატარებს კვალს (მართლაც, ჯერ კიდევ ნაკლები სიკვეთით) იმ შინაგანი ვოლუტისა, რომელიც ამ პერიოდში განიცდიდა რახმანინოვის მხატვრული აზროვნება.

ცნობილია, რომ რახმანინოვი, როგორც კომპოზიტორი და პიანისტი მთელი სიცოცხლის მანძილზე ბოლომდე ერთ-ერთ პირველ კლასიკური კულტურის ტრადიციისა. მასში აქტიურ როლს იჭრებდა იქვედა „ახალი“ მუსიკის წარმოამდგენელითა ექსპერიმენტატორული მიხედვით, რომლითაც იგი „ნაწავლებს, ბუტაფორულსა და აბაბუნებისა“ უწოდებდა.

1936 წელს, რახმანინოვი ერთ-ერთ წერილში გამანადგურებელი ორთხით წერდა: „მოდერნისტებს არ ვერაფერ ავმადლდი მათ ღინემდე“.

ამვე დროს იგიც ცხადია, განიზიდა საკუთარ გამოსახვეულ ხარის „არსენალის“ განახლების აუცილებლობას ეპოქის საუკეთესო მხატვრულ მიღწევათა კვლადკვალ („მუსიკა, რომლის წერის სურვილიც მე მაქვს, დღეს მიუ-

ღებელია“) და, ბუნებრივია, როდესაც იგი კვლავ დაუბრუნდა შემოქმედებას, ამ ტენდენციამაც იჩინა თავი. სოციალად იგი გამოისახტა პარმონიული ენის გამოწვევასა და გამამარებაში, კილო-ფუნქციონალური კავშირების შესუსტებაში, ორტიმული სტრუქტურის გართულებაში, ორკესტრისი ახალი ხერხების გამოყენებაში და, თუ გნებავთ, თვით მხატვრულ სახეთა სისტემებშიც. თუმცა, „სამ რუსულ სიმღერებში“ ყოველივე ეს ჯერ კიდევ შედარებით ნაკლები სიმკვეთრითაა გამოფენილი.

ამ შორეუ გაცილებით უფრო ტიპური საფორტეპიანო „ვარიაციები კორელის თემაზე“ (1931 წ.) რომელიც უშუალო ტრამპლინის წარმოადგენდა 3 წლის შემდეგ შექმნილი „რაფსოდისათვის“.

მიუხედავად დიდი გარკვეული განსხვავებისა, რახმანინოვის ყველა გვიანდელ ნაწარმოებს ბევრი რამ აქვს საერთო.

საერთოა, ჯერ ერთი, მათი ემოციური კოლორიტი, რომელიც საგრძობლად მკაცრი, პირქვე და ტრაგიკული ხდება. ამ პერიოდის ცენტრალური პრობლემა სიკვდილ-სიცოცხლის ანტითეზა, დამახასიათებელია, რომ სამივე უკანასკნელ ნაწარმოებში — „რაფსოდიაში“, მესამე სიმფონიაში, „სიმფონიურ ცეკვებში“ კომპოზიტორის შეაქვს საწვდოთიარო სვეკენცია „დღეს არე“, რომლის ანრადილც მის აღრინდელ ქმნილებებშიც გვევლინება („მიცელებულთა კუნძული“, „ზარბიხა“). ექვს გარეშეა, რომ გვიანდელი ოპუსების ტრაგიკული კონცეფცია უშუალოდაა დაკავშირებული რახმანინოვის პირადულ დრამატთან. სიმომტარება მკვლავარების მიერ შეწინებული გარემოება, რომ ამ ნაწარმოებათა ნათელი ლირიკული სახეები მუდამ მკვეთრად გამოხატულ რუსულ ეროვნულ იერს ატარებენ. რაც შეეხება წინადა სტილისტური ნივთიანებს, ოთხივე სიტყვით ეს ტენდენცია უტოლება ფორმულირებულ იქნეს, როგორც ევოლუცია სტილის მეტი სიმაკაცის, ასკეტურიზმ და დერმონანტიზაციისავე; თუმცა რახმანინოვის ხორცსავე ბაროკოს „რეციტატივი“ თავს იჩენენ „რაფსოდიაში“ და მესამე სიმფონიაშიც.

ამერიკისა და აღნიშნულა ლიტერატურაში რახმანინოვის მუსიკის მიმკვიდრეობითი კავშირი რუსული მუსიკალური კლასიკის ორ მაკისტრატთან (ქ. ვ. პეტერბურგისა და მოსკოვის საკომპოზიტორი სკოლებთან) და მხელად თუ მოიძინებ ეს მის შემოქმედებაში მეორე ნაწარმოები, რომელშიც ენობდ ორგანულად გამოხატულიყო ეს კავშირი.

მესამე სიმფონიის მუსიკაში მხატვრულ მინათებას მიყვანილი რუსული კლასიკური მუსიკის, კერძოდ, კლასიკური სიმფონიზმის მდიდარი ტრადიციები (ერთი მხრივ, გლინკა-პორტინისა, მეორე მხრივ, ჩაიკოვსკისა).

რაც შეეხება მესამე სიმფონიის კავშირს მე-20 საუკუნის მუსიკალურ მიმდინარეობებთან, აქ უფრო ძირის კონკრეტული ასოციაციების დამკარება, ერთი გამონაკლისის გარდა; ესაა მოსკოვიური სიმფონიური სტილი. ცხადია, რამივე გავლენაზე ლაპარაკი აქ საკვებით უსაფუძვლო იქნებოდა (რახმანინოვის სიმფონია დაწერილია მოსკოვიკის მიხედვით და მხუთვი სიმფონიებამდე. ამავე დროს, საბჭოთა კავშირში იგი მხოლოდ ორმოციან წლებში განხტობილი). მართებულად შეზინნავს ქ. პროტოპოვი, რომ ამ აქ ვინდებდა თანამედროვე სტილისათვის საზოგადოდ დამახასიათებელი ინჰენი.

შეუძლებელია, რახმანინოვის მესამე სიმფონიის სტილისტური ძირების კვლევისას, მხედველობაში არ მივიღოთ აგრეთვე ძველრუსული მუსიკალური კულტურა და კერძოდ, ხალხური განმუხტი სიმღერა და საკულტო ქ. წინშეხერხი გალობა, რომლის წიაღიდანაცაა სიმფონიის ლაიტმოტივი — მისი უმთავრესი ინტონაციური წარმო-



ნაქმნი. ცხადია, ამ შემთხვევაში ლაპარაკია მხოლოდ არაქული ინტონაციური პლასტის გამოყენებაზე სასაქმით თანამედროვე და აქტუალური მხატვრული კონცეფციის რეალიზაციისას.

სიმფონიის ყველა ეს მრავალფეროვანი სტილისტური კომპონენტები ორგანოდ, ჭეშმარიტად კლასიკურ მხატვრულ მითითებებშია შერწყმული.

სუვე ითქვამს, თუ რა ადვილი უჭირავს სიმფონიას რას-მანირიანი შემოქმედებაში. ახლა დადავლიანი გენეტიკური კავშირები კომპოზიტორის ადრინდელ სიმფონიებთან. უნდა ითქვას, რომ ეს კავშირები არც თუ გამჭვირვალე და ხელშეახლება და ამის მიხედვით მგაბონაროვის, როგორც ხანგრძლივ დროით ინტერვალში, რომელიც აშორებს ერთმანეთისაგან მეორე და მესამე სიმფონიებს (30 წელი), ახე დროს ნაწარმოებების მხატვრული შინაარსის სხვადასხვაობაში.

პირველ სიმფონიასთან მესამეს აახლოვებს საერთო ემოციური კოლორიტის სიმკაცრე, ლატიმტვრეულ-მონოთემამატური პრინციპი, საწყისი ინტონაციური ბირთვების (ლაიტმოტივების) სტილისტური და ფსიქოლოგიური ნათესაობა.

რაც შეეხება მეორე სიმფონიას, აქ საერთო შეიძლება შევინიშნოთ ლირიკულ-დრამატული და სურათოვან-ეპიკური სიმფონიზმის ელემენტების შერწყმაში.

ანალიზის დროს მივუთითებ იმ ცალკეულ მომენტებზე, რომლებიც მესამე სიმფონიას აკავშირებს რასმანიონის მეორე და მესამე საფორტპიანო კონცერტებთან, „რაფ. სიდიასთან“, „მიცალებულთა კუნძულთან“.

ადვილი საქმე არ არის მესამე სიმფონიის ჟანრობრივი ხასის უზუსტო დადგენა. ეს ნაწარმოები ტრაგიკული კონცეფციის შემცველია (ფეიქრობ, სწორი იქნება ვუწოდოთ მას „ნოსტალგიის ტრაგედია“) და ვცდილობთ ამის დასაბუთებას თვით მისი მესამე ნაწილის მაგალითობაზე, რომელიც, ერთი შეხედვით, არაფრით განსხვავდება ტრადიციულ მაკროლ-ოპტიმისტური ფინალისაგან. ბუნებრივია, რომ სიმფონიის ტრაგიკული შინაარსი ყველაზე ორგანულად დრამატული სიმფონიზმის ფარგლებში „თავსდება“ და, ფეიქრობ, არ შეეცდებით, თუკი ნაწარმოის დრამატული სიმფონიზმის სფეროს მივავსებთ. უთუოდ აჭარბებს ზოგიერთი მკვლევარი, როდესაც დადებენ იმდენ უსავსეს ხასს სიმფონიის უშუალო მიმკვიდრებობით კავშირს „მძლავრი ჯუჯფის“ სურათოვან-ეპიკური სიმფონიზმის ტრადიციებთან. ა. საფიფიე პირდაპირ წერს სიმფონიზმს „იგი უფრო ახლოსა ბორლინისეულ ლირიკულ-ეპიკურ კონცეფციებთან, ვიდრე ჩაიკოვსკის რეალისტურ დრამატურეობასთან“.

კავშირი ბორლინის ეპიკურ სიმფონიზმთან მართლაც დუსტ გაჩვენა, მაგრამ სიმფონიის მოსმენის თუ ანალიზის დროს პირველ რიგში „პათეტური სიმფონიის“ ავტორი გავსუნდება.

მას ასე, მესამე სიმფონია წარმოვივლივება, როგორც დრამატული სიმფონიზმის ნიმუში, რომელშიც, დრამატულთან ერთად, „თანაბრებობენ“ ლირიკული და ეპიკური საწყისები. დრამატისმის ფაქტორებად ნაწარმოებში გვევლინება ერთი მხრივ, ლირიკული და გროტესკულ-„დემონურა“ საწყისების ანტითეზა და, მეორე მხრივ, თვით ლირიკულის ფსიქოლოგიაზაცია და დრამატისაცია, მესამე სიმფონიის ფორმა (სანაწილიანობა) საგაბად უჩვეულოა კლასიკური და რომანტიკული სიმფონიზმის ტრადიციების თვალსაზრისით: 1. ალვერო, 2. ადაგიო, 3. ფინალი. სიმფონიური ციკლის „გამაწონასწორებელ“ ფაქტორად აქ გვევლინება ვრცელი აკვირვებელი ეპიზონიდი ადაგიოში¹.

სიმფონიის პირველი ნაწილი ლმტო, ალვერო-მოდერატო სრული სახით წარმოვივლივებს ნაწარმოების მხატვრულ და იდეურ კონცეფციას. სიმფონიის ძირითადი ანტი-თეზ-ნოსტალგიური ლირიკისა და კომპარულ-ტრაგიკულ ზმანებათა შეპირისპირება მკვეთრად რეალისტური ალვეროს მუსიკაში. გარდა ამისა, პირველი ნაწილის მუსიკაში კონცენტრირებულია სიმფონიის მუსიკალური აქტის ყველა ძირითადი კომპონენტი. მისი შესავლის თემა სიმფონიის ლაიტმოტივად იქცევა. ესაა თვისებური ინტონაციური მესტრატე, რომელიც დასაბამს აძლევს მრავალ თემაურ წარმართებს და, ამდენად, მონოთემამატრისმის წინამძღვრებს ქმნის.

ჩაიკოვსკის მიუქვეყნ სიმფონიის შემდეგ რუსულ მუსიკაში არ შექმნილა ასეთი დიდი და გულწრფელი ეგსპრესივისა და დრამატული გამოხასხვებლობის ალვერო, რომელსაც და უნდვის აპატრა შესავალი — ლენტო. იგი ორი კონტრასტული მუსიკალური სახის შემცველია. პირველი მათგანი, რომლითაც იწყება ნაწარმოები — ჭეშმუნვარე, ნალე-ლიანი, აჩუკული სიმკაცრით მოსილი მოტივი, მთელი სიმფონიის ერთ-ერთი მთავარი მხატვრული სახეა. ფაქტიურად, იგი ლაიტმოტივის ფუნქციას ასრულებს აზრობნივადაც და თემატურადაც. იგი თითქოს „მდუმარებიდან, მორიდან, ჩაფიქრიდან აღმოცენდება“ (ბ. ასაფიფიე). ძნელი არ არის მისი მხატვრულ-ფსიქოლოგიური ფუნქციის „გაშიფრება“. ესაა შორეული, სამუდამოდ დაკარგული სამშობლოს მოგონებათა ბინდში განხვეული სახე. თემა დრამად რუსულია თავისი ბუნებით, კილო-ინტონაციური და რიტმული აღნაგობით (მკვეთრად გამოხატული ფრიფიკულიზა, დიატონურობა, სეკვენციური მოძრაობა, გეოლოდის ტერციული დიაპაზონი, მძიმე რიტმი). იგი ინშენბრივი გალობის ნიმუშებს მოგავლენებს. აქ ალვერო ძველად რუსულ ხალხურ სიმღერებს უკავშირდება, მისი უშუალო პროტოტიპია ძველი რუსული მელოდია «Светлица тихая». თემას დიდი შინაგანი გამოხასხვებლობა, ფსიქოლოგიური სიღრმე აქვს. არც თუ აჭარბებს ეს პროტოტიპი, როდესაც წერს, რომ „თავისი გამოხასხვებულ ძალით იგი შეიძლება შევადაროთ განთქმულ კათოლიკურ სეკვენციას — დიუს ირუს“. იგი ჟღერს როგორც გამბეული, ნალვლიანი სიმღერა და იმთავითვე შეჰყავს მსმენელი ნაწარმოების საერთო ემოციურ აჭმოსფეროში. თემის დაბნეულ-ელემენტური კოლორიტის შექმნას ხელს უწყობს მისა ტემპირული „გაფორმება“, რითაც მიღწეულია ერთგვარი იდუმალობის, მორეულობის, თითქმის ილუზორულობის ეფექტი.

ეს უსაკონიური (თხზატქტიანი) მოტივი ნაწარმოების თავისებური ეპიგრაფია. მაგრამ სიმფონიის შესავალს აქვს მეორე შემადგენელი ნაკვეთი. ესაა მშასვარე კონტრასტუ-

1 მესამე სიმფონიის წერა რასმანიონმა 1935 წლის ზაფხულში დაიწყო, მაგრამ, მოახლოებულ სავსტრალი მოგზაურობის გამო, იძულებული გახდა დიდი ხნით გადაეღო მასზე შეშობა. სიმფონია დათმავდა 1936 წლის ივლისში, ხოლო ნოემბერში პირველად შესრულდა (ფილადელფის ორკესტრი, ლირიკური ლ. სტოკოუსი). სიმფონიას თავდაპირველი არ ხვდა წარმატება, რამაც ძალიან დასწყვიტა ვუი კომპოზიტორს.

საკუთია კავშირი სიმფონია პირველად შესრულდა 1945 წელს ნ. კოლონაოვის ლირიკობობით და მამინევე საერთო მოწოდებად დამთავრდა.

2 თ. სოკოლოვ თავის ნაშრომში „რასმანიონის სიმფონიური ნაწარმოებები“ (მოსკოვი, 1957 წ.) მას ბედისწერის თემის უწოდებს, რაც გაუმართლებლად მივანინა.



ლი სახე. ხის ჩასაბრუნად და სიმებიანთა ქარტეცილითი ავარდნილი ფრანგ-პასაკი (ლითონის მჭახე ჰელალის ფონქ) მუყელი, სასოწარკვეთილი გრანობით, დიდი ექსპრესიით არის აღსაკესე.

აღნიშნული ემოციური „ტონალობა“ იქმნება მძაფრი დისონანსური კარბონითი (სინაკორდები არაკორდული ბგერებით და სხვ.), ხანგასტული ქრომატულობით, სათანადო ტემბრული კოლორიტით.

ამ ნაეულის ფსიქოლოგიური ფუნქციაც საკმაოდ ნათელია. თუ საწყისი ლაიტმოტივი მოვლილი სამშობლოს მოგონება — მისი გავრცელება — ამ მოგონებით გამოწვეული მწველი, მტანჯველი გრანობის გამოხატულებაა. სიმფონიის ამ ლაიონიურ შესაგალობ (მას სულ 10 ტაქტი უჭირავს) კომპოზიტორი ძალანა ბეგრის თქმას ახერხებს და თავისივე მხატვრულ განაცხადს აკეთებს ნაწარმოების შესაგალობი და ფსიქოლოგიური შინაარსის შემდგომ განვითარებაზე.

I ნაწილის მთავარი თემა მინიმალური შემზადების შემდეგ გამოჩნდება. ესაა გამბული, „უნაპირო“, ოდნავ ნაღვლიანი მელოდია.

მის პროტოტიპად რუსული გლეხური სიმღერა უნდა მივიჩნიოთ ამის საფუძველს გავამტებს საერთო მელანქოლიური კოლორიტი, ფართო მელოდირი სუბთქვა, თანბგერითი ელემენტები, ეფერიული აღნაგობა. (მსმენელში იგი ბუნებრივად აღძრავს ჩაიკოვსკის პირველი სიმფონიის ნაღვლიან-მელანქოლიური ელემენტების ასოციაციებს).

არაერთგზის და სამართლიანად აღინიშნა, რომ რახმანინოვისათვის, ისევე როგორც მისი სასულიერანი შემოქმედებითი წინაპრის — ჩაიკოვსკისთვის, არ არის დამახასიათებელი მუსიკის მკვეთრად გამოხატული ფოლკლორული ეთნოგრაფიული ინტონაციური ელემენტები. ერთნაირი სტილი მათ ნაწარმოებებში გაცილებით უფრო განზოგადებულია, „გაუთლებლად“ გამოხატული. ამავე დროს, რახმანინოვის (ესადაა, ჩაიკოვსკისა) შემოქმედებაში გამოყოფა კვველი ნაწარმოებებისა, რომელშიაც რუსული ერთნაირ-სტილისტური ელემენტები მკაფიოდან გამოვლინები. ამისავებ თქმა შეიძლება III სიმფონიის მთავარ პარტიაზეც. მისი რუსული ბუნება ხანგასტულია კილოტრინალური ცვალებადობით, საკმაოდ მკაფიოდ გამოხატული ფრიგიული ელემენტებით, ძალიან არა უფენი ნით მთავარი პარტიის ინტონაციური ნათესაობა შესავალის თემატთან.

დამაკვირვებელ პარტას მთავარ თემატურ მასალასთან ინტონაციური ნათესაობის მიუხედავად, მკვეთრი კონტრასტული ნაკადი შეაქვს მუსიკის განვითარებაში. ჩნდება ტემპი, იცვლება ფაქტორი, რომელიც სტატაკორობით იმსპელება, მოძრაობა ტრიოლურ ფიგურებად ლკვდება, ინტონაციური კაჟშირები მძაფრდება, რიტმი მახვილდება, ძლიერდება მილდაციური ტენდენცია. ყოველივე ეს ქმნის საგანგაშო კოლორიტს, მშფოთარვ განწყობილებას (ჯერ მხოლოდ ნახასიათებანი სახით). როგორც შემდეგ ვაირკვევა, მეორე თემა (დამხმარ პარტია) არ ქმნის მკაფიო კონტრასტს მთავარი პარტიის მიმართ. ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელი ნაღვლიანი ლირიკული განწყობილება იცვლება ნათელი, მაგრამ, არსებითად, კვლავ ლირიკული მღერადობით. ამგვარად, დამაკვირვებელი პარტიის ფუნქცია — ამ შემთხვევაში ბეგრით სქილდება ფორმალურ-კონსტრუქციულ ფარგლებს და იგი აქტიურ დრამატურულ მნიშვნელობას იძენს, როგორც კონტრასტული ემოციურ-ფსიქოლოგიური საწყისის მხატვრული. აქ მოცემულია დამუშავების პირველ-ტრაგიკული

სამყაროს პირველი წინასწარი რემინისცენცია. დამხმარ პარტიის ენერგია მალე კარგავს თავის ქმედობას და ბოლოს, თითქმის ქანცმყოფელი, სრულ სიმშვიდმდ დადის. I ეპოლინითან, ხოლო შემდეგ პობობისა, უკანასკნელად ზაზად გაისის მთავარი თემის ნაცნობი ინტონაცია.

დამხმარე პარტია, რომელსაც ჩელოები წამოიწყებენ — დღემდე ციტატული სიმფონიის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი, პარმინიული მელოდიაა.

ამ თემის ინტონაციური ბუნებაც მეტად რუსულია. ძნელი არაა, კერძოდ, მსაგებების შენიშვნა რუსულ ხალხურ რიტმულურ საჭირწინო სიმღერებში. ხოლო თემის განვითარების ერთ-ერთი მოტივი სამდილო ციტატასავით ჟღერს თავისი ტიპური რუსული კვარტულ-ტრიოლური ტრიქორითი (იგი უნებუნად აღადგენს მსმენელის მსგებობებში, რუსულ ცეკვას“ სტრაინისკის „პეტრუშკადას“).

პირველი გატარებისას იგი გულითადად, ინტიმურად ჟღერს, შემდგომ წარმოადგება ეპიკური სიღრმეისათა და ზემინიერითი აღსაკესე სიმღერად, მაგრამ დიდი ხნით არც ეს განწყობილება მკვიდრდება; განვითარების პროცესში იგი საგრანობლად იცვლის იერს, უფრო დაღმპიული, თითქმის დრამატული ხდება.

იმპულსი ამგვარი მეტამორფოზისათვის თვითონ თემატა ჩაქსოვილი. მსდველობაში მაქვს მკენსარე ინტონაცია, რომელიც თითქმის მთავარი პარტიიდან არის ამოღებული, ე. ი. უჭილის, ჩივილის ინტონაცია მსჭვალავს თვით ამ ლად და ნათელ მელოდისა, აცლის მას შინაგან სიმშვიდეს. ეს განსაკუთრებით ნათელი ხდება თემის უკანასკნელ გატარებისას, როდესაც ლითონის მეჭურავ სმოგანებაში იგი მკავრ, მარმისებურ ხასიათს იძენს. მანამდე ეს თემა საგრანობ ინტონაციურ სახეობას ატენდის, იმსჭვალავს ქრომატისმებით, კარგავს სიმყარეს, პლასტიკურობას. ექსპოზიცია მოძრაობისა და ხმოვანების სრული მიწყნარებით მავრდება. მსმენლის წინაშე კიდევ ერთხელ აღდება ნაცნობი სახეები (ექსპოზიცია ორმაგია), რის შემდეგ იწყება პირველი ნაწილის შუა განკვეთი, მისი დრამატული ცენტრი — დამუშავება.

სხვათა შორის, ეს მსახიობები გაექცნენ შინამოსამსახურეთა წარმოდგენის ტრადიციულ ნიღბებს და რაღურა ადამიანები ვეაჩვენეს. ადამიანები თავიანთი ნამდვილი, ხალასი გრობობით. რეჟისორმა ქართული ვოდევილისათვის ვეზომ საყვარელი დამირისპირების (ქართულ-კახული შინამოსამსახურე გორიან — იმერული შინამოსამსახურე), ზერულე ხერხს არ მიმართა, რაც გულმოსობის გარეგნული ნიშნების ხაზგასმას, რადაც აბსტრაქტულად გაგებული რიტმის დაპირისპირებას (მაგათ: იმერული ცქათა, მარჯვე), არამედ მან ერთ-მანეთს დაუპირისპირა ორი გულწრფელი, კომიკური ხასიათი, რაც მსახიობებმა სწორედ ასე წარმოადგინეს.

„კინოტოში“ ყველა — ილია, სამსონი, დომანასანი, გეო წარმოდგენილია ვოდევილისათვის დამახასიათებელი კონტრუტებით, რაც ქმნის ვოდევილის მოქმედების განვითარების ერთგვარ ჩარჩოს. ყოველი მათი გამოჩენა საჭიროა ან ვოდევილურ სიტუაციაში გმირის ჩასართავად, ან ამ სიტუაციის გასამაფრებლად. გამოკვეთილი როლი, რომელსაც პირობითად მიიღვ შეიძლება ვუღოდს ხასიათი, მინც კინტა, რომლის როლს თამაშობს მ. თუშიშვილი. აკაკი წერეთლის მიერ შექმნილი მრავალი კომიკური მდგომარეობა, მსახიობს სასებით ორგანულად აქვს შეგრძნობილი. როლის განვითარების მინიშლზე უკლებილ ხდება მთელი მსახიობური მოქმედების კომპლექსის გამოყენება გადასახვერება (ვოდევილს არ მოუხდება სიტყვა „გარდასახვა“), წარმოდგენა, პლასტიკისა და რიტმის გრანძობა, ვეაჩიარებანი სიტუაციისთვის ალღის აღება, სილაღე, თავშესაქცევი ამბის ასველ მსუბუქად გათამაშება.

დავიწყით იქიდან, რომ მ. თუშიშვილი ახერხებს მოწყვეტილი, უსაქტურობისაგან და ეჭვისი შემოტრფისაგან დაწესებულები ქალბატონის პორტრეტის ხატებას. ქმრის ალღრის მონატრებულნი „გრანდ დამა“, რომელიც თავისი ზვიად პაბტუსით პირდაპირ გარგანტუსს სიყვარულის ღირსია, ჩვენს თვალწინ გარდაიქმნება ცოცხალ, ტემპერამენტთან კინტოდ, რომელსაც მისტიფიკაცია ისევე ეხერხება, როგორც ენამოსწრებული რეალიკის ჩართვა საუბარში.

კინტოებისა თუ მოქმედეთა საზოგადოებაში მისი თავისუფლად უჭირავს თავი, თითქოს ცოცხალით ვაჭრობისა და ყანით სმის გარდა ცხოვრების არავფიკეთების. შთაბეჭდილება ისეთია, რომ ეს ვოდევილური დამოკიდებულება უფრო მისი სტიქიაა, ვიდრე მდინდარ და თეიკამყაფილ მოქალაქეთა (ამთ კატეგორიას გუთუნის მისი ქმარი) წრეში თავდაპირილი საუბარი ზოგად თემებზე.

შესაძლებელია მაყურებელს გაუჩინეს ეჭვი — ნუთუ შესაძლებელია ეს სერიოზული, დამბინებული ქალი ასე უკვე გადაიქცეს ცინტუტებით სწრაფ ბიჭად, მაგრამ აქ უნდა გვივლიოსხმით ერთგვარი ვოდევილური კონტრასტები, რომელიც გრადაციასთან შედარებით მკვეთრ გადასვლებს აძლევს უპირატესობას. წინააღმდეგ შემთხვევაში მ. თუშიშვილს თავისი ახალგაზრდა დიასახლისი უნდა ექნეებინა უფრო ცოცხალი ფერები, რათა გარდაქმნა დამაჯერებელი ყოფილიყო და კომიზშიც შენარჩუნებულს. ეს ცხადია, საქტუალის გაცილებით ნაკიფ ხელოვნებას მითხოს, მაგრამ ვოდევილური ტემპორიტმის დროს, ამ

სცენა სპექტაკლიდან „დევიწყებული ამბავი“. ეკა — ლ. თევზაძე, რეზო — ო. რეხვიაშვილი.



ტაკლი. მისი ფორმა მახვილია, რიტმი დაკვირვებული, ატმოსფერო დაღვწერილი. ძალზე ხშირად გხმარობს სიტყვებს — „მეგავე“, „დაძაბული“, „მდაფრა“ — რამდენად შეესაბამება ესები თ. ჭილაძის ამ პიესას, სადაც სჭარბობს ფაქიზი პოეტური ნიუანსირება, ქვეტექსტები, სადაც ადამიანის შინაგანი ცხოვრების თრთოლვა, მისი წინააღმდეგობები საყვე მუნება ნაჩვენებია? ხომ არ არის აქ წინააღმდეგობა პიესისა და სპექტაკლის დრამატურგიას შორის? არაფიქრობა! პიესის სასიათების, მათი კონფლიქტის სიღრმეში ძეგს მეორე პლასტი, მოცემული არა უშუალოდ, არამედ ქვეტექსტის მეშვეობით (ვევლისხმობთ მოველი პიესის ქვეტექსტს და არა, ვთქვათ, ცალკეული დიალოგების მეორე პლანს) ამ ჩვეულებრივ ადამიანური ურთიერთობის, სიყვარულის, დაღატკის, კონფორმისმის, პატარისების, კარიერისმის ანუ პიესის ჩვეულებრივი ადამიანური ცხოვრების მიღმა მოისმის ავტორის ხმა გაუმწიდილი ყაბობი პათოსისაგან, მე ვედავ თვით ავტორის, თამაშ ჭილაძეს, თავისუფალს პათეტიკით ქესტისაგან. და ამ ჩვეულებრივ ხმასა და პოზაში ფიზიკურად განცდილი ტკივილია — ადამიანის დაცემით გამოწვეული. იგი შეიძლება იყოს იმ ოსტატობით, რითაც ეს ადამიანები სათნოებისა და კეთილშეშობის ნიღბებს ატარებენ.

ადამიანურ ნაკლათა შორის ავტორისთვის ყველაზე მძიმეა შეგუების ტენდენცია, სულიერი კომპრომისი, იზოლირება, ავტოსული ზრუნვა საკუთარი კეთილდღეობისათვის.

რასაკვირველია, ამ პიესის დადგმა შეიძლება ისე, რომ მცირე სპექტაკლის ქსოვილის ქვეშ ვიგრძნოთ ავტორის იდეები და მისი განწყობილება. ეს, იმ შემთხვევაში, თუ რეჟისორი უფრო ფსიქოლოგიური პორტრეტების სატყის მისცემდა უპირატესობას. ნ. დემეტრაშვილმა სხვა გზა ირჩია — მისი სპექტაკლი პუბლიცისტურია, მგზნებარე, შეურიგებელი (პუბლიცისტურია თავისი პათოსით, არამით და არა პლაკატობით, რაც საერთოდ შეუთავსებელი რამაა თ. ჭილაძის ამ პიესისათვის). მან ავტორის ფაქიზად შენიღბული ტენდენცია წამოსწია, ქვეტექსტი აქცია ძირითად ტექსტად, მეორე პლანი პირველ პლანად, და ამავე დროს შეინარჩუნა პიესის არა მხოლოდ არტიტიკონიკა, არამედ მისი სულიერი ატმოსფერო.

მოქმედება ერთი ოთახის ფარგლებს არ სცილდება.

მაგრამ სპექტაკლის მხატვარი ა. გოგოლაძე და რეჟისორი ნ. დემეტრაშვილი ამ ოთახს გვაწვდიან როგორც ერთგვარ საპაექრო ადგილს, სადაც არა მხოლოდ ცხოვრობენ ჩვენი გმირები, არამედ ებრძვიან, ეყავათეუიან ერთმანეთს.

სცენის სიღრმეში დგას გრძელი მაგიდა, მაგიდის შუაში, ზის მოხუცი მათე, რომელიც თბილისში თვალების სა-მკურნალოდ ჩამოსულა. სპექტაკლის მოქმედება, რომლის დროს მათე (პ. ჭადაგიშვილი) თითქმის არ ირხევა, ამ, თითქმის ბრმა, მოხუცის წინ ვითარდება. იგი უმცნს ამ ადამიანებს, და შინაგანი მზერით ზედაც კიდევ მათი სახეების გამომეტყველებას. პიესის ეს გმირები თითქმის უნებელივე სულიერ აღსარებას წარმოსთქვამენ ამ კაცის წინაშე. სცენის ორივე მხარეს რიკულებიანი მოაჯირით შემოსილული ამალუბული ადგილია. ყველაზე მძაფრ მომენტებში აქ, ამ შემაღლებულ ადგილზე ადიან ხოლმე მეგობრები — ნოდარი (ი. ბაკურაძე) და რეზო (ო. რეხვიაშვილი), რათა რიგრიგობით ჩამოხსნან ერთმანეთს კაი-კაცების, მეგობრობისათვის მარტვილი კაცის ნიღაბი (მათ მეგობრობას ადუღაბებს — რა პარადოქსია! — სიძულვილი!).

ამგვარად იქმნება შთაბეჭდილება, რომ ნოდარი და რეზო გამოდიან სასოვადობრივი სამსჯავროს წინაშე, რათა ორივემ ამ სასოვადობების წინაშე (პირველ რიგში კი საკუთარ თავთან) თავი იმართლოს. სამსჯავროს ასოციაციას იწვევს მთელი ინტერიერის დეკორაციული გააზრებაც და პერსონაჟების მოქმედებაც. მაშინაც კი, როცა მოქმედება მიმდინარეობს არა ამ ამაღლებულ ადგილებზე, არამედ „ჩვეულებრივ დანაშაუ“ და ჩვენი ყურადღება მასზეა მიჯაჭვული, მაშინაც კი ქვეცნობიერად გვასოსებს ამ „სამსჯავროს“ არსებობა.

პირველსავე სცენებში რეჟისორი და მსახიობები გ. პატარიძე (ანა), ლ. თევზაძე (ეკა) ქმნიან დაძაბულ, ნერვიულ ატმოსფეროს. პირველივე დიალოგიდან ვგრძნობთ გარდატეხას, ბზარს ლ. თევზაძე-ეკას ხმაში, მის ფარულ ირონიას ანას მიმართ. ანა-გ. პატარიძეც როგორღაც ნაწყამებია, მას რაღაც ღრმა ტკივილი, მოუცილებელი ფიქრი აწუხებს. თითქმის ეს ორი ქალი — რძალ-მშული, ერთმანეთს ებრძვიან სცენის მიღმა არსებულსთვის. მათი დიალოგი ასევე სიყვარულითა და წყენით, მისალოდნელი მამფრი გარდატეხის ბუნდობიანი შეგრძნებით. მათ ერთმა-



ნეთი უყვართ, მაგრამ ეს არ უშლით ხელს გაღიზიანებულებმა ერთმანეთს გულისმომკვეთლი სიტყვა უთხრან, რათა შემდეგ სიყვარულით მოხუცონ ერთმანეთს. ამას კვლავ სკვლის ამ ქალების ფარული ბრძოლა.

რისთვის იბრძვიან ისინი, ან რა გარდატეხის შემგრძნება აწუხებდა მათ? რა ან ვინ ქმნის ამ ატმოსფეროს, ამ უშიდად რაკოს, ფსიქოლოგიურ ზღუდეს, რომლის გარდატეხის ცილობები ეს ქალები. ამ პირველი სტევის მიღმა ჩვენ ვგრძნობთ სხვა, პიესის ამ არასებულ სცენებს. დაახ, ამკარად ვგრძნობთ, რომ ეს ქალები მივყავართ არაინ ამ საზღვართან (უფსახურლო ჯერ ან ჩანს), რომლის შემდეგ ან სასოწარკვეთია უნდა დაიწყოს, ან ამბობებია.

ამ სულიერ ატმოსფეროს ქმნის ოჯახის თავი ნოდარი — ი. ბაკურაძე — ანას მეუღლე და ეკას ძმა და ოჯახის მეგობარი რეზო — ო. რეხვიაშვილი. ი. ბაკურაძე ხატავს ჩვეულებრივ, სიმბათიურ, საკმაოდ ინტელიგენტურ კაცს, რომელიც ყოველთვის ლოგიკურად მსჯელობს და აძიბობ სიმართლე მის მხარესზე. მასხაობი იმ ცილობის ერთბაშად საცნაური გახადოს ამ ხასიათის მთელ სიროთელე. ო. რეხვიაშვილის რეზო რბილი, დახვეწილი ინტელიგენტი, სერიოზული კაცი, რომელიც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქმის რაფინირებული სულიერი ინტერესებით ცხოვრობს.

აი, ორი ადამიანი, რომლებიც ატარებდნენ კეთილ-შენობის ნიღბებს და რომლებიც იძულებული გახდნენ ერთმანეთს დაპირისპირებოდნენ. ერთმანეთი ამოესყარათ ტალახში, მოეწყობთ ერთგვარი სულიერი სტრიატივი გაორგნებული ანას და ეკას წინაშე, რათა შემდეგ, კვლავ ჯენტილმენური გამომეტყველება მიეღოთ და მიგრეთ თავიანთი ძველი ნიღბები. ამ ნიღბებით ისინი უფრო თამამად გრძნობენ თავს, უფრო ენდობიან ერთმანეთს და საზოგადოებაშიც შესაფერი ადგილი უჭირათ.

მიიღო ეს სცენა, სადაც ნოდარი და რეზო ერთმანეთს უპირისპირდებიან, კლდინაყურთა სპექტაკლი. აქ ი. ბაკურაძე და ო. რეხვიაშვილი ტემპერამენტით, გუნჯებით, აღუფრთხილებ (ორივე მასხაობი გვაგრძნობინებს, რომ ეს აღუფრთხილება ყალბია და წამოერი ალაღბა მოჩვენებითი პატიონებისა) ებრძვიან ერთმანეთს. მაგრამ ეს არის ბრძოლა შემდეგში კავშირისათვის. ფაქტურად ერთი უხეშობა მეორეს ებრძვის; მაგრამ რაკი ორივე მხარე თავისი არსებობისათვის საკმაო საფუძველი აქვს, ისინი ხანას კავშირში ხედავენ. აი, საშინელი ფოლოსოფია უხეშობისა, რომელსაც ასე ებრძვის თ. ჭილაძე და რომელიც ასე მშავადვე გაეჩვენეს ნ. დემეტრაშვილმა და ჩვენმა მსახიობებმა.

ეს სცენა შემზარავ შთაბეჭდილებას ახდენს თავისი შინაგანი აზრით, მნიშვნელოვანი ქვეტექსტით: რაც უფრო აღუფრთხილები არიან ნოდარი და რეზო ერთმანეთის უხეშობითა და სულიერი კომპრომისებით, ინტრიგებითა და უწინდელი გრძობების შეუღობით, მით უფრო ამკარა, რომ ამ უხეშობის კატეგორიებს ისინი არაფერი მნიშვნელობას არ ანიჭებენ. ეს მნიშვნელოვანი, არსებობის აზრის გამო გამართული კამათი მათთვის სრულიად უმნიშვნელო გამდარა. აი, აქამდე მივყავს ადამიანები ერთხელ დაშვებულ კომპრომის საზოგადოებრივი და პიროვნული ნუბობის სფეროში.

მაგრამ, რაც უფრო უმნიშვნელო, ფორმალურია ეს კამათი ამ მამაკაცებისთვის, მით უფრო სულსიმძებრელო, უმნიშვნელოვანესია, არსებობითა ანას და ეკასთვის. ამ დადაბულ, ბროლაში აღუჩნებულ სცენას ანა უსმენს სკაუმზე გაქცეულები მჯდარი. მისი სახის ნახევარს კურდღლის ნიჯბან ფარავს (რეჟისორის შეხვედრის მიგნება). ენით თუქმელი გრძობა, გრძობა სიბრაულისა, გულისმომკვეთი სევდა ყოველგვამ ამ ქალის შემხედ-

ვარეს. იგი გატყდა, მას მიაცენეს უღრმესი სულიერი ტკიპი ამ მამაკაცებმა, რომელთაც ერთი მისი ქმარია, ხოლო მეორე თავდაწყებით უყვარდა. ეკა კი, ეს ჯერ ბავშვი, სულიერ წინაპრობას მოკვლავლი, საუნებო გაიგნებულა, მაგრამ ძალას მანიც პოულობს დატოვოს ეს ოჯახი და მათეს გააყვეს სკოლაში მასწავლებლად.

მაგრამ, სანამ ამ კულმინაციურ სცენამდე მივადიდეს საქმე, ჩვენ ამ ქალების სულიერი სიჭრატობა, პირდაპირ ხელშეხსებად ვიგრძნობთ. ორივესთვის კატასტროფა იყო ამ მამაკაცების სულიერი სიდატეხი ხილვა. ეკას ენებელი სიყვარულის მთელი პოეტურობით, დანებულობით, გაურვევლობით უყვარს რეზო. ანას არსებობაც კვლავ ციცილობს ძველი სიყვარული რეზოსადმი. ეს ქალები საგნებს, ქალური ტაქტისა თუ სულიერი სიდატეხის გამო, თავიანთ სახელებს ვერ უწოდებენ. მთელი მათი გაღიზიანების საფუძველია გაუმხელელი ამბავი, რომელიც ორივემ იცის. ანას სულს კი ამ დროს მეთოდურად, ღობინით, რუღუნებით, საკუთარი სამართლიანობის ღრმა შეგნებით გამოწვეული ღირსებით კლავს ნოდარი. იბრძვის ანა, აქეთ-გამო აწყდება და აი, ბოლოს, კურდღლის ნიღბაფარებული ხედავს თავისი ქმრისა და რეზოს სრულ სულიერ კრასს. თუ ნოდარმა, თავისდაუნებურად, „ფსიქოლოგიურად მოამაზა“ მეუღლეს ანა, ეკასათვის ეს იყო საშინელი მიულოველობა, პირველი ხილვა ცხოვრების კულისებისა, სადაც ფარხი გაუმართაობა და სადაც მაღალი გრძობები მხოლოდ ირონიულ ღიმილს იწვევს. ახლა გასაცხება, ის სულიერი შემფთობა, ის წინასწარი გრძობა მახლობლებული დრამატუზისა, რასაც თ. ივეზაძე გვაგრძნობინებდა პირველ სცენებში. იგი ინტელიციტი გრძნობდა თავისი ძმისა და გამხრდლობა — ნოდარის დაცემას და მისი სიყვარული, მისი ღლოლვა რეზოსადმი ეს იყო ამავე დროს ღლოლვა ახალი სამყაროსაკენ, სუფთა, წმინდა, ამაღლებული სამყაროსადმი. ეს იყო ნოდარის მიერ ასეთის შეუპოვრობით, მეთოდურობით აგებული ქვეყნიდან გაქცევა უშუალო, ლამაზი ქვეყნისაკენ, რომელიც ახლოს ხილვისას უფრო საშინელი და ბნელი აღიბინდა.


გაქცევა ერთი სამყაროდან მეორისაკენ არ შეედა. დარჩა ერთი გზა: სასოწარკვეთა (აი, უსყარულიც მოახლოვდა, რომელსაც შესანიშნავად გრძობს მათე), თავის მოვლა — ყველა იდეალი დანარცხებულია, პოეზია ტალახში ამოხრული, გრძობის მუვარცხეფილი. აქ თ. ჭილაძე აკლავს ერთადერთ სწორ გზას. მთელი პიესის (და სპექტაკლისაც) მანილზე ეკას ხელა, დიდის სიფრთხილით, ისე რომ არ იგრძობს ეს გოგონამ და არ შეგუთეს, არ შეშინებს — უახლოვდება მათე — უბრალო ქართული მასწავლებელი, ცხოვრებაწანანი, ჭირჯამოვლილი, ყოვლისშემწმინდი (ყოველგვ ამას ჩვენ ვიგებთ ატორისგან და, ამ შემთხვევაში, მასხაობისაკენ რამეე მაღალტანების რაგმე). უახლოვდება ფაქტურად სულ სხვა სამყარო, რომელსაც ეკამ ადრე ერთხელ თუ ერთხელ ზერეგლდ შეხუდა. და აი, ამ მოახლოებული კატასტროფის ეპსი, მან იგრძნო მათეს ხელი (ამ შემთხვევაში ჩვენ მას აღვივებთ, როგორც ნათელი სამყაროს ხელის შეხებას) და გაქცევა მას.

ასე გაგრძებული ეს სპექტაკლი მესხების თეატრში და მე. არც ადრე და არც ახლა, ამ თეატრის სხვა სპექტაკლები რომ არ მენახა, მხოლოდ ეს ერთი დღამც კი მომიგმადა საუფუძელს მეთავს: სამხრეთ საქართველოში, უძველესა და უმწვენიერეს მესხეთში მუშაობს ქართული თეატრი, შექმნილი სიყვარულით, გატაცებით, ერთუხისაშით.



ქალმოსილი ქაქუღიძეილი

თამაზ სანიციძე



აკადემიკოსი გ. ჩუბინაშვილი.

ბრძან ადამიანები, რომელთაც არა მარტო მეცნიერების, არამედ ერის ისტორიაშიც განსაკუთრებული როლის შესრულება უწევიათ. ასეთი რამ მხოლოდ რჩეულთა ხედვრია. მათ შორის იყო აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი, რომელიც ქართველმა ხალხმა სულ ცოტა ხნის წინ ღრმა მწუხარებით დაიჭირა და სამარადისო სასუფეველი დაუშკიდრა ქართული კულტურის უპირველესი კერის — უნივერსიტეტის ეზოში.

გიორგი ჩუბინაშვილის ღვაწლი ერის წინაშე ფასდაუდებელია. იგი ვეუფთონდა ჩვენი საუკუნის დასაწყისის სწავლულთა იმ დიდ პლადას, რომელთაც ქართული მეცნიერული აზროვნება მაღალ, თანამედროვე დონეზე აიყვანეს და ქართველი ხალხის დიდებული წარსულის შესწავლის საქმეს გაუძღვნენ. გიორგი ჩუბინაშვილმა საფუძველი ჩაუყარა იმ დროისათვის სრულიად ახალ მეცნიერულ დარგს — ქართული ხელოვნების ისტორიას, გადადგა პირველი ნაბიჯები ქართველი ერის მატერიალური საგანძურის მეცნიერულ შესწავლაში და შემდეგ მთელი ეჭვის ათეული წლის მანძილზე დაუღალავად და გასაოცარი ნაყოფიერებით ემსახურებოდა ამ დიდ ეროვნულ საქმეს.

გიორგი ჩუბინაშვილი დაიბადა 1885 წლის 21 ნოემბერს პეტერბურგში. იქვე დაამთავრა საშუალო სასწავლებელი. შემდეგ გერმანიაში — ლაიპციგისა და ჰალეს უნივერსიტეტებში — სწავლობდა. ნიჭიერი ახალგაზრდის, როგორც პიროვნებისა და მეცნიერის ჩამოყალიბების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ოქაჰსურ ტრადიციებს. უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე ჩუბინაშვილების გვარის არა ერთმა წარმომად-

გენელმა ისახელა თავი ქართული ერის, კულტურის, საქართველოს ისტორიის კვლევის საქმეში. გიორგი იყო შვილიშვილი ცნობილი ლექსიკოგრაფის, დავით ჩუბინაშვილისა.

გერმანიაში გიორგი ჩუბინაშვილი ძირითადად ხალხთა ფსიქოლოგიას სწავლობდა. დისერტაციაც ამ დარგში დაიცვა, რისთვისაც ფილოსოფიის დოქტორისა და თავისუფალ ხელოვნებათა მაგისტრის წოდება მიიღო. პარალელურად ისმენდა გამორჩეულ მეცნიერთა ლექციებს ხელოვნების ისტორიაში. მოიარა თითქმის მთელი ევროპა, საფუძვლიანად გაეცნო იქაურ მუზეუმებსა და კულტურის ძეგლებს. როგორც ჩანს, მას იქვე გაუჩნდა სურვილი კვლევის საგნად ხელოვნების ისტორია აერჩია. დიდი ერუდიციისა და ფართო განათლების მქონე ახალგაზრდა მეცნიერს ევროპული ხელოვნების კვლევის საქმეშიც შეეძლო სათანადო წვლილის შეტანა, მაგრამ მას სხვა, უფრო მნიშვნელოვანი სფერო იზიდავდა, რაც აშკარად გამოვლავდა პეტერბურგში დაბრუნებისთანავე. მიუხედავად ამისა, ევროპული ხელოვნებისადმი ინტერესი მას მთელი სიცოცხლის მანძილზე არ განელებია. მოგვიანებით არა ერთი საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა დასავლეთის ქვეყნების ძველი და ახალი ხელოვნების საკითხებს. ამასთანავე, თავის მოწაფეებს დიდი მონდომებით უზიარებდა კოლოსალურ ცოდნას ამ დარგში. სწამდა, რომ ხელოვნების ზოგადი ისტორიის საფუძვლიანი ცოდნის, უპირველეს ყოვლისა, ევროპული ხელოვნების ცოდნის გარეშე, ქართული ხელოვნების მკვლევარი შორს ვერ წაივლიდა.

პეტერბურგში დაბრუნებული გიორგი ჩუბინაშვილი

აქტიურად შეუდგა აღმოსავლური ენების, საქართველოს და სომხეთის ისტორიის შესწავლას. მას ამ საქმეში დახმარებას უწევდნენ ნიკო მარი და ივანე ჯავახიშვილი. მალე იგი ნიკო მარმა თავის თანაშემწედ მიიწვია სომხეთის ძველი დედაქალაქის — ანისის არქეოლოგიურ გახსრებზე. 1916 წელს გიორგი ჩუბინაშვილი თვითონ ხელმძღვანელობდა ანისის არქეოლოგიურ გამპანაის. დაწერა რამდენიმე საინტერესო ნაშრომი ანისის სიძველეთა შესახებ.

გიორგი ჩუბინაშვილი საქართველოში პირველად 1901 წელს ჩამოვიდა სამხედრო გზით. სამშობლოზე გაგონილისა და წაიხსნულის ცოცხალ სურათებად გარდასახვამ ჭაბუკზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. იგი ილიაობას დაესწრო საგურამოში. „ჩემთვის ეს მოგზაურობა და დღეობა შეუდარებელი აღფრთოვანების წყაროდ იქცა“ — იგონებდა მკვლევარი.

მომდევნო წლებში საქართველოში ჩამოსვლისას იგი უკვე გარკვეულ მიზნებს ისახავდა. უპირველეს ყოვლისა, მას სურდა პრაქტიკულად დაუფლებოდა ქართულ ენას. შემდეგ კი მშობლიური ქვეყნის წარსულისადმი ინტერესის თანდათანობით გაღვივებასთან ერთად, ფართოვდებოდა მისი მოგზაურობის მარშრუტებიც. მან საქართველოს მრავალი კუთხე მოიარა, ადვილზე გაეცნო ქართული კულტურის ძეგლებს და პირველი ნაშრომებიც გამოაქვეყნა მათ შესახებ.

გიორგი ჩუბინაშვილის უზარმაზარი სამეცნიერო მემკვიდრეობის განხილვისას განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ერთი ნიშანდობლივი გარემოება. მას თავისი მოღვაწეობის პირველ წლებშივე მკაფიოდ ჰქონდა განსაზღვრული არა მარტო კვლევის უმთავრესი ამოცანები და პრობლემები, არამედ ამ პრობლემათა თანმიმდევრობაც. მხოლოდ ასეთი სისტემური, წინასწარ დასახული გეგმის მიხედვით შეიძლებოდა ერის მრავალსაუკუნოვანი სულიერი და მატერიალური მემკვიდრეობის სათანადოდ შესწავლა, მისი მეცნიერული გააზრება.

გიორგი ჩუბინაშვილს ამ საქმეში წინამორბედი არ ჰყავდა. მართალია, XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ ათეულ წლებში ქართველი, რუსი და უცხოელი მეცნიერების მიერ — დიდალი მასალა იყო დაგროვილი ქართული მატერიალური კულტურის შესახებ, მაგრამ ამ მასალის განზოგადება არავის უცდია. გიორგი ჩუბინაშვილის დამოუკიდებლად უნდა გაეკვალა გზა ქართული ხელოვნების მეცნიერული ისტორიისათვის.

ამ მისიის შესასრულებლად აუცილებელი იყო მუდმივი სიახლოვე საკვლევ მასალასთან. 1917 წლის ბოლოს გიორგი ჩუბინაშვილი საქართველოში გადმოვიდა საცხოვრებლად, ზოლო მომდევნო წელს იგი თბილისის ახლად დაარსებული უნივერსიტეტის პროფესორად აირჩიეს. ამ დროიდან მას საშუალება მიეცა ფართოდ გაეშალა მრავალმხრივი მოღვაწეობა. უნივერსიტეტში ლექ-



გ. ჩუბინაშვილი.

ციების კითხვასთან ერთად, აქ მან ხელოვნების ისტორიის კათედრა და კაბინეტი ჩამოაყალიბა. უნივერსიტეტის „ხელოვნებათა მეცნიერების კაბინეტი“ ფაქტიურად გადაიქცა ქართული ხელოვნების შესწავლის პირველ კურორად, სადაც თავი მოეყარა მრავალრიცხოვან სამუშეო საგნებს, ხუროთმოძღვრული ძეგლების ანაზოზებს, ფოტომასალებს. გიორგი ჩუბინაშვილის თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით სპეციალური ექსპლექციები წყალობით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში უმარავი ახალი მასალა იქნა მოპოვებული.

გიორგი ჩუბინაშვილის პრაქტიკული საქმიანობა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლებოდა. მან დიდი წვლილი შეიტანა საბჭოთა საქართველოში სამუშეო საქმის ორგანიზაციაში. იგი აწყობდა ქართული ხელოვნების გამოფენებს ჩვენში და უცხოეთში. კითხულობდა ლექციებს, მოხსენებებს და ამით ფართო საზოგადოებას აცნობდა ქართულ კულტურას.

1922 წელს მისი უშუალო მონაწილეობით თბილისში დაარსდა სამხატვრო აკადემია, რომლის პირველი რექტორი თვითონვე იყო. სამხატვრო აკადემიაში იმ დროს შემუშავებულ, რეალისტურ პრინციპებზე ქართველი მხატვართა, მოქანდაკეთა, ხუროთმოძღვართა მრავალი თაობა აღიზარდა.

ურთულესი ამოცანა იდგა გიორგი ჩუბინაშვილის როგორც მეცნიერის წინაშე. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ძველი ქართული ხელოვნების რაობაზე მეცნიერულად დასაბუთებული აზრის შემუშავება. შემდგომი კვლევა-ძიება ასეთ მყარ საფუძველს მოითხოვდა. ამასთანავე, გიორგი ჩუბინაშვილი იძულებული იყო პასუხი გაეცა იმ მეცნიერთათვის, რომელთა ზერეფი დაუსაბუთებელი და ხშირად აშკარად მცდარი შესხედვლები სახელს უტეხდა მთელს ქართულ კულტურას. საქმე ისაა, რომ ზოგი ვეროპოლი მკვლევარის თვალსაზრისით, ძველ ქართულ ხელოვნებას ინდივიდუალური სუფი არ გააჩნია, მთლიანად დამოკიდებული იყო მესობელი ქვეყნების კულტურაზე და ბიზანტიური ხელოვნების პრივილეგიულ განსტობას წარმოადგენდა. ამასთან დაკავშირებით გიორგი ჩუბინაშვილის რამდენიმე წარწერა მოუხდა, რომლებშიც ნათლად იყო გარკვეული ქართული ხელოვნების ეროვნული თვითმყოფადობა და ორიგინალობა, მისი ჭეშმარიტი დირსება და ადგილი მსოფლიო ხალხთა ხელოვნების ისტორიაში.

ამას მოჰყვა განმარტებული ნაშრომები. ვრცელი მონოგრაფიები, მრავალრიცხოვანი სტატიები ძველი და თანამედროვე ქართული ხელოვნების საკითხებზე, რომლებშიც ნათლად გამოჩნდა ავტორის დიდი ეროდიცია. საკვლეპ საკითხებში ღრმად ჩაწვდომის უნარი და ინტენსივების ფართი დიაპაზონი. არ დარჩენილა ქართული ხელოვნების არც ერთი დარგი, არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც მკვლევარს თავის დაკვირვების საგნად არ ექცია.

მეცნიერის განსაკუთრებული ყურადღება იმითადავს მიიქცია ქართულმა ხუროთმოძღვრებამ. ეს ბუნებრივიც იყო, რადგანაც სამშენებლო ხელოვნება საქართველოში ყოველთვის მაღალ დონეზე იდგა. ამ დარგში გამოვლინდა ერის შექოქმედებით შესაძლებლობათა მაქსიმუმი. გიორგი ჩუბინაშვილმა დაადგინა ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ეტაპები, გამოიკვლია ცალკეული ნაგებობები, წარმოაჩინა მათი ადგილი და მნიშვნელობა განვითარების ზოგად ისტორიაში. ძველი ხალხური სცენოგრაფიული ნაგებობები, საკულტო შენობები, სახალხეები, ციხე-სიმაგრეები, ერის მატანის ეს ცალკეული ფურცლები გიორგი ჩუბინაშვილმა ერთიანი ძალით აამტყვევლა და



გ. ჩუბინაშვილი ახალგაზრდობაში.

ამით ყველა თვალსაზრისით დაანახა, რომ ქართველმა ხალხმა თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მხატვრული აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშები შექმნა, რომ ქართული ხელოვნება არა მარტო დამოუკიდებელი და თვითმყოფადი ფენომენია, არამედ თვითონაც დიდი წვლილი უდევს მსოფლიო კულტურის საერთო სავანტურში.

პირველი ძეგლები, რომლებიც გიორგი ჩუბინაშვილმა მონოგრაფიულად გამოიკვლია, იყო ქართული ბაზილიკები. ნაშრომში ბოლნისის სიონის შესახებ მან ვრცლად დაანახათა ამ საგნებო ძეგლის მხატვრული და ისტორიული მნიშვნელობა, ნაგებობის სტრუქტურული ანალიზის შედეგად დაადგინა მისი ქრონოლოგიური ადგილი. მხოლოდ შემდეგ აღმოჩნდა ძეგლის დამატარებელი წარწერა, რითაც დადასტურდა ავტორის დასკვნები და ზოგიერთი სპეკტიკოსისთვისაც ნათელი გახდა გიორგი ჩუბინაშვილის კვლევის შეთოდის უტყუარობა. ამავე ნაშრომში ავტორმა განსაზღვრა ქართული ბაზილიკების განვითარების გზა IV-X საუკუნეებში გარკვევა მათი ურთიერთობის საკითხები წინა აზრისა და ვეროპის მსგავს ნაგებობებთან.

გიორგი ჩუბინაშვილმა გამოავლინა უგუმათო ნაგებობათა ორიგინალური ჯგუფი, ე. წ. სამეციქოსიანი ბაზილიკები, რომლებსაც საქართველოს გარეთ პირდაპირი პარალელები არსად მოეძებნება.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების განვითარების საერთო სურათის დადგენას. მცხეთის ჯვარი და მისი ტიპის ძეგლები, წრომის ტაძარ-

რი, კუმურდო და ნიკორწმინდა, მეთერთმეტე საუკუნის გრანდიოზული კათედრალი — სვეტიცხოველი, ბაგრატიანა და ალექსანდრის ტაძრები საგანგებო გამოკვლევის საგნად იქნებიან. ამ ნაგებობებთან იყო დაკავშირებული ძველი ქართული ხელოვნების საკვანძო საკითხები. გიორგი ჩუბინაშვილმა გაარკვია, რომ ძველების თითოეული ეს ჯგუფი ერთობლივ ბურთთმომძვრების ხანგრძლივ განხვრატების შედეგად წარმოიშვა. მან ამ ნაგებობათა ისტორია ორგანულად დაუკავშირა მათი შემქმნელი საზოგადოების განვითარების ეტაპებს.

მეცნიერის ამ თავდადებულ და მრავალწლოვან შრომას სათანადო აღიარებაც მოჰყვა. 1941 წელს საქართველოში დაარსებული მეცნიერებათა აკადემიის პირველ წევრთა შორის გიორგი ჩუბინაშვილიც იყო. იმავე წელს იგი აირჩიეს საბჭოთა კავშირის არქიტექტურის აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში იმ დროსაც ჩამოყალიბდა ქართული ხელოვნების ისტორიის სექტორი, რომელიც მალე ინსტიტუტად გარდაიქმნა. გიორგი ჩუბინაშვილი სათავეში ჩაუდგა ამ ინსტიტუტს და ოცდაათრამეტი წლის მანძილზე უცვლელად ხელმძღვანელობდა. ღვაწლისილო მეცნიერს მხარში ამოუდგნენ მისი აღზრდილები. ჩამოყალიბდა ქართული ხელოვნებისამცოდნეობის სკოლა, რომელიც წარმატებით განაგრძობს თავისი მოძღვრის მიერ დასასული ამოცანების განხორციელებას.

გიორგი ჩუბინაშვილი არასდროს და არაფრის გამო არ აჩქარებულა. იგი თითქოს გრძნობდა, რომ დრო დააცდიდა, სრულად განქორციელებინა მთელი თავისი ჩანაფიქრი. საკუთარი ხელნაწერები წლების მანძილზე ელო მაგიდაზე, ასწორებდა და ხვეწდა მათ, უმატებდა ახალ-ახალ მასალებს; ამდიდრებდა სამეცნიერო აპარატს. უკურადღებოდ არ ტოვებდა არც ერთ ავტორს, რომელსაც სადმე და ოდესმე მისთვის საინტერესო საკითხზე რაიმე უთქვამს. იგი თვითონ იყო თავისი ნაშრომების ყველაზე ობიექტური და პირუთენელი კრიტიკოსი. ამიტომაც არის, რომ მისი ყოველი დებულება ყოველმხრივ გააზრებული, ეჭმუხუტანელი და დანაჯერებელია.

თავისი ნაშრომების მეტი ნაწილი გიორგი ჩუბინაშვილმა ხანდაზმულობის ეპოქა გამოაქვეყნა. ესენია ფუნდამენტური გამოკვლევები ქართული და სომხური არქიტექტურის ისტორიიდან, შუასაუკუნეების ქართული ოქროშაველობისა და ფერწერის შესახებ, ხარკვევების კრებულის პირველი ტომი, უამრავი წერილი ხელოვნების სხვადასხვა საკითხზე.

არქიტექტურის შესახებ მის მიერ ბოლო წლებში გამოქვეყნებული ნაშრომებთან განსაკუთრებით საინტერესოა ორტომიანი — „კახეთის ბურთთმომძვრება“. მკვლევარი აღწევს დანატრებულ კახეთის ძეგლებში. ეს ინტერესი გამოწვეული იყო იმ სპეციფიკური თავისებურებებით, რომლებიც საქართველოს ამ კუთხის ძველ ბურთთმომძვრებას ახასიათებს. კახეთთან არის დაკავშირებული აგრეთვე მისი მორთვ მონოგრაფია დავით-გარეჯის გამოქვაბული მონასტრების შესახებ. აქ ბურთთმომძვ-

რულ პრობლემებთან ერთად დასმული და გადაწყვეტილია შუასაუკუნეების კედლის მხატვრობის მრავალი არსებითი საკითხი.

ამ ბოლო წლებში გამოვიდა აგრეთვე გიორგი ჩუბინაშვილის მიერ შედგენილი ალბომი — „ქართული ოქროშაველობა“. შესავალი ტექსტით, რომელსაც მალე ორტომიანი გამოკვლევა მოჰყვა. ნაშრომი მოიცავს ძველი ქართული ოქროშაველობის მანერძოვ ისტორიის მერვედმეტე მუცამეტე საუკუნემდე. მასში განხილულია ოქროშაველობის არაერთი ბრწყინვალე ნიმუში; ამოშვრავი მხატვრულ-ისტორიული ანალოზის შედგენა დადგენილია მათი უდიდესი შინაგნელობის არა მარტო ქართული, არამედ მთლიანი ხელოვნების ისტორიაშიც. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მისმა შრომებმა ოქროშაველობაზე ბიძგი მისცეს ჩვენში ხელოვნების ამ უმნიშვნელოვანესი დარგის ტრადიციების აღორძინებას, რომლის მიღწევები დღეს ფართოდან ცნობილია.

გიორგი ჩუბინაშვილს თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის მეცნიერული ქართველოლოგიის სხვა დარგების განვითარებაშიც. იგი იყო მურზუგული და მოამაგე ქართული კულტურის ძეგლებისა, რომელთა დაცვის საქმეშიც უდიდესი როლი შეასრულა. მეცნიერი ყოველთვის დიდი ინტერესით გაკედებდა ქართველ მხატვართა და ხუროთმოძღვართა შემოქმედებას. იგი არას ორმოცდაათამდე გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორია. ბევრი მათგანი გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ, იტალიურ ენებზეა ადაბეჭდილი. ამ შრომებმა მათ ავტორს საერთაშორისო ავტორიტეტი მოუპოვეს.

გიორგი ჩუბინაშვილის ღვაწლი ღირსეულად დაფასდა. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდა და შრომის წითელი დროშის ორდენით, მინიჭებული ჰქონდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, იყო ლიანცივის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი.

ვისაც ამ დიდ ადამიანთან ურთიერთობის ბედნიერება ხვდა წილად, არასოდეს დაავწყდებოდა მისი განსაკუთრებული პიროვნული თვისებები. სამქმნი დაულალავი, პრინციპული და შემშრატებელი, საცარიე ნებისყოფის მქონე, მკაცრი, მოთმთონე საკუთარი თავისა და სხვების მიმართ, ამასთანავე თავმდაბალი და მოკრძალებული, გულისმობერი მასწავლებელი და აღზრდელი, პირუთენელი, სათნო და სპეტაკი ადამიანი — ასეთად დარჩა გიორგი ჩუბინაშვილი ჩვენს მესხობრებაში.

გიორგი ჩუბინაშვილი გარდაიცვალა 14 იანვარს, 87 წლისა. წავიდა ჩვენთან ნათელი გონების კაცია, ვალმობილი მამულისმფილი, რომელმაც საქვეყნოდ გაუთქვა სახელი ქართულ ხელოვნებას და მეცნიერებს. მისი ცხოვრების ეს მოკლე მიმოხილვა გვინდა დავაშავროთ იმ სიტყვებით, რომლებიც დიდი მეცნიერის ცხედართან ითქვა: „გიორგი ჩუბინაშვილისთან ადამიანებს უპყრიათ ხელთ ერის ღირსება, ისინი ერის სრულფულებიანი წარმომადგენლები არიან საქვეყნო ასპარეზზე და რა მღვნიერებაა, რომ ჩვენ ასეთი კაცი გვყავდა, კაცია, რომელიც ამშვენებდა თავის ქვეყანასა და ხალხს“.



ბორჯომის „ლიზაბის მუზეუმი“

ელენე მერაბიშვილი

ბორჯომის ხეობის თვალწარმატებული ბუნებით ბევრი მოხბოლულა. მას მუღამ მრავალი სტუმარი ჰყავდა. სხვადასხვა დროს ბორჯომში ყოფილან მ. გორკი, ი. სტალინი, ს. ორჯონიკიძე, მ. კალინინი, ს. კიროვი, გ. დიმიტროვი, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ა. ლუნარსკი და სხვები.

ბორჯომის მიდამოებში უკვარდათ დასვენება ილიასა და აკაკის, ი. გოგებაშვილს, კ. მარჯანიშვილს, ზ. ფალიაშვილს, დ. არაყიშვილს, გ. ტაბიძეს, გ. ლეონიძეს, ი. გრიშაშვილსა და სხვებს.

1899 წლის ზაფხულში ბორჯომი ინახულა დიდმა რუსმა მხატვარმა ვ. სურიკოვმა, სადაც შექმნა ბრწყინვალე ნამუშევრები: „სუფოთის გადავლელ ალპებში“ და „ბორჯომის ხედი“. 1898 წელს, ბორჯომში დასასვენებლად იმყოფებოდა ილია რეპინი. ბორჯომით აღტაცებული მ. ჩაიკოვსკი წერდა: „უკმაღრე კვირრაა, რაც ბორჯომში ვარ, უნდა ითქვას, რომ ეს ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია, რომელიც ოდესმე მინახავს“.

ა. ლუნარსკის უთქვამს: „თუკი არსებობს სამთხვე, იგი ლიკანის მსგავსი იქნება“.

თქვენი ახალბედა მუზეუმიც და დიდად მადლოენი დაგრჩით. ამ ექსპოზიციის საფუძვლის ჩამყარების გარჯისათვის, ქალაქის თავაკციების საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, ადამიანისა და ბუნების სილამაზის შენახვისათვის, ყოველივე ინისათვის, რაც თითოეული ჩვენგანისათვის მოვალეობაც არის და მოწოდებაც“.

ამასთან, მუზეუმის დათვალიერებისას საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ოთარ თაქაიშვილმა შენიშვნები გამოთქვა. მან საკითხი დააყენა ზოგიერთი ექსპონატის (ფოტოგრაფორუქციის) შეცვლისა და ქართული ხელოვნების მუშაკების უფრო ფართოდ წარმოდგენის შესახებ.

ბორჯომის დიდების მუზეუმი, რომელიც შექმნილია საზოგადოებრივ საწყისებზე, გაიხსნა 1970 წლის 22 აპრილს, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით.

მუზეუმის გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო მიტინგზე დიდად იხალისე დაესწრო. მისი საკამოფუნო ფართობი 1.249 კვადრატულ მეტრს მოიცავს. მუზეუმის თერთმეტ დარბაზში გამოფენილია 2.500-მდე ექსპონატი, რომელიც თემატიკის მიხედვით შეიღ განყოფილებად იყოფა: I. ბრძოლა მარქსისტული პარტიის შექმნისათვის რუსეთში, II. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, III. ბორჯომის რაიონის სახალხო მეურნეობის განვითარება 1921-1941 წლებში. IV. 1941-1945 წლების დიდი

სამამულო ომი, V. ქვეყნის ელექტრიფიკაცია, VI. სახალხო მეურნეობის განვითარება 1945-1975 წლებში, VII. ბორჯომი მომავალში.

ეზოში, ღია ცის ქვეშ, მოწყობილია არქეოლოგიური მოედანი, სადაც 23 ექსპონატია გამოფენილი (XV საუკუნის ქვევრები ბორჯომის რაიონიდან, ქვაჯვარი, ზეთისხდელი გელაზები და სხვ.).

გამოფენის გვერდების შედგენაზე, ექსპერიმენტების შეგროვებასა და შერჩევაზე გულმოდგინედ იმუშავებს გ. მაისურაძემ, გ. ხუჯაძემ და ვ. აბულაძემ. ძირითადი ტექნიკური სამუშაოები შეასრულეს ო. ციციშვილმა, ნ. ჰუსეინოვმა და ა. კვაშილაძემ.

მუზეუმის მოწყობის ინიციატივები და აქტიური მონაწილეები იყვნენ ბორჯომის პარტიის რაიონისა და რაიადმსკომის ხელმძღვანელი მუშაკები.

მუზეუმის პირველ დარბაზში გამოფენილია ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები. პირველ სტენდზე მოთავსებულია რუკა, რომელზედაც აღნიშნულია მსოფლიოს ყველა ის ადგილი, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა პროლეტარიატის დიდი ბელადი. მათ შორისაა: პეტერბურგი, მოსკოვი, პრალა, ლონდონი, სტოკჰოლმი, მიუნხენი, ვენეცია, პარიზი, ბრესლავი და სხვა. ამავე სტენდზე ნაჩვენებია ლენინის მშობლიური ქალაქის — ულიანოვსკის ხედიც, რევოლუციური შტაბის კერა — სმოლნი, ჭობი რაზლივში, სადაც ოქტომბრის წინა დღეებში არალეგალურად ცხოვრობდა ლენინი და ხელმძღვანელობდა შეიარაღებული აჯანყების მზადებას. გამოფენილია სოფ. მუშენსკოის ხედი, სადაც გადასახლებული იყო ლენინი თვითმპყრობე ლური მთავრობის მიერ. ორ ვიტრინაში მოთავსებულია ლენინის ცალკეული შრომები და გამოჩენილ ადამიანთა მოგონებანი ლენინზე (ქართულ და რუსულ ენებზე). დარბაზში აღმართულია ვ. ი. ლენინის მონუმენტები, აქვეა ი. სტალინის, ს. ორჯონიკიძის, მ. კალინინისა და გ. დიმიტროვის ბიუსტები.

განყოფილებაში „ბრძოლა მარქსისტული პარტიის შექმნისათვის რუსეთში“ — ასახულია მარქსიზმის მოძღვრების წყვეალებას დასავლეთ ევროპის 70-იანი წლების მუშათა მოძრაობაზე.

საინტერესო მასალა ეძლეება 1902 წლის ბათუმის მუშათა დემონსტრაციას სტალინის ხელმძღვანელობით, 1905 წლის რევოლუციის



გამოძახის თბილისში, ნაძალადეგში, სადაც მოხდა შვიარაღებული აჯანყება. 18 დეკემბერს მეფის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ აჯანყებულთა წინააღმდეგ. უთანასწორო ბრძოლაში ბევრი მუშა-რევოლუციონერი დაღუპა. მათ შორის იყო ქობინიველი თვარაძე, ბორჯომის რაიონის მკვიდრი. იგი თანამებრძოლებში არალეგალურად ჩამოსაყენეს და მშობლიურ სოფელში დაკრძალეს. სტენდზე გამოფენილი ფოტოსურათები მხახველებს აცნობს ამ ღირსსახსრებზე ამბებს.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბორჯომის განყოფილების და ადგილობრივი თეატრალური დასი მოღვაწეობს XIX საუკუნის ბოლოს. დამთავლიერებელი იყნობა სტენდებზე ექსპონირებული ფოტოსურათებით, დიაგნამებითა და ფოტომონტაჟებით.

გულისყურითა და საქმის ცოდნითა შერჩეული ექსპონატები, რომლებიც ასანავენ ბორჯომში რუსეთის სოციალ-დემოკრატების მუშათა პარტიების ორგანიზაციის საქმიანობას, რსდმპ ბორჯომის ორგანიზაციის წევრების მ. კანდაურთის, გ. ლევაშვილის, გ. ჩაჩანიძის, გ. ხმალასისა და სხვათა მოღვაწეობას კულტურის სახელში, სადაც ინტეგრირდება პროვლამაციები თვითმპყრობელური მთავრობის წინააღმდეგ. სტენდებზე ასახულია აგრეთვე 1907 წელს მ. კანდაურთის ხელმძღვანელობით მოწყობილი ბორჯომის მუშათა საპირველობის გაფიცვა.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ლენინის მითითების საფუძველზე, შეიქმნა წითელი არმია. საქართველოში მის მეთაურად დაინიშნა შ. ელიავა. ერთ-ერთი ქართული დივიზიის მეთაური იყო ბორჯომელი პ. კველიძე. სტენდზე წარჩენილია ქართული დივიზიის ნაწილის ყოფილი ბორჯომელი მეფეთრთმეცე არმიაში მყოფი მეომრები. სურათზე ვხედავთ წითელი არმიის ნაწილების შემოსვლას ბორჯომში, აქვეა ფერწერული ტილო — „საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება ბორჯომში“.

1918 წელს რევოლუციის მტრებმა მძიმედ დაჭრეს ვ. ი. ლენინი. 1922 წელს ექიმებმა ლენინს ურჩიეს საეკურნალოდ და დასასვენებლად ბორჯომში წასვლა. ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინმა ს. ორჯონიკიძეს შედეგი შეინარჩუნა წერილ გამოვლენაზე: „ამხ. სერგო! გიგზავნით ეს დიდ რამდენიმე პატარა ცნობას. ეს ცნობები მიმართა ექიმმა, რომელიც თვითონ იყო ადგილობრივი და სრული ნდობის ღირსია. ამასთუშანი სრულიად შეუფერებელია... ნერვული სისტემის არ გამოდგება, ბორჯომში ფრიად გამოსადგვია, რადგან აქ არის ვაკე ადგილი სასერიზოდ... გარდა ამისა, ბორჯომში იმდროის მხრავც შესაფერისია, ხოლო ამასთუშანი მაღალია“. ვ. ი. ლენინი, 1922 წლის აპრილი.

ბორჯომში ლენინის შესახვედრად შეიქმნა საორგანიზაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით: ს. ორჯონიკიძე, ნ. სემაშო, გ. კუჭაი-


ძე, ი. ფრანგულიანი. კომისიის შემადგენლობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა კამო (ტერ-ვერთხიანი). ვ. ი. ლენინის მისაღებად მომზადდა ლიკანის სანატორიუმის № 2 აგარანი (ამჟამად, ე. წ. მეოთხე სამმართველოს სანატორიუმი), მაგრამ ჯანმრთელობის გაუარესების გამო ლენინმა ბორჯომში ჩამოსვლა ვერ შეძლო. 1924 წლის 21 იანვარს ლენინი გარდაიცვალა. სტენდებზე ექსპონირებულია ფოტოსაღი რუსეთის კპ (ბ), ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პარტიისა და ხალხისადმი ლენინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა ყველა პირობა სახალხო მეურნეობის აღდგენა-განვითარებისათვის. ამ დროიდან იწყება ბორჯომის რაიონის მთავარი სამრეწველო ობიექტების — მუშისა და ჩამოსხმეული ქარხნების — უახლესი ტექნიკით აღჭურვა და წარმატების ზრდა. სტენდებზე წარჩენილია მუშის ქარხნის გარე და შიდა ხედები, ბოთლეების დამზადება პრიმიტიული წესით, ვეტრანი მუშები, აქვეა გამოშვეებული პროდუქციის მარჩენილი დიაგნამები. თუ 1921 წელს იგი 400.000 ბოთლს უშვებდა, 1940 წელს ამ მაჩვენებელმა 11.211.000 ცალს მიაღწია. მომდევნო სტენდზე წარჩენილია ჩამოსხმული ქარხნის შიდა ხედები, წყლის ჩამოსხმის პროცესები, ვეტრანი მუშები და დიარამები სათანადო მარჩენილებით.

აქვე წარმოდგენილია, აგრეთვე, სოფლის მეურნეობის განვითარების პროცესი — 1929 წელს კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო რაიონის გლეხობის მხოლოდ 4,9 პროცენტი, ხოლო 1937 წელს — 93,15 პროცენტი. სტენდზე გამოფენილია რუკა, რომელზედაც წარჩენილია რაიონის სოფლებში კოლმეურნეობების შექმნის თარიღები.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება ბორჯომის კურორტების კეთილმოწყობა და გაფართოება, რაც სტენდზე სათანადოდ ასახულია. ასე მაგალითად, თუ 1922 წელს ბორჯომის კურორტების კეთილმოწყობაზე დაიხარჯა 16.300 მანეთი, 1940 წლისათვის დაიხარჯა 2.257.600 მანეთს მიადღია. 1934 წელს ბულგარელი ხალხის ბელადი გიორგი დიმიტროვი სამეკურნალოდ და დასასვენებლად ბორჯომს ეწვია. ეს მოვლენა ასახულია ფოტოზე — „დიმიტროვი ბორჯომში“, და ფერწერულ ტილო-

ბორჯომის „ღიდების მუზეუმის“ შენობა.



ბორჯომის „ღიდების მუზეუმის“ ექსპოზიცია.



ზე „ღიდებორჯომის“ და ფ. მასარაძე ბორჯომში“.

მუზეუმის სტენდებზე თვალსაჩინოდაა ნაჩვენები ბორჯომის რაიონის წარმატებები სახალხო განათლების დარგში.

სამამულო ომში საბჭოთა ადამიანების უმაღლესი გმირობასა და ბოროტმულთა წველის ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებაში ასახავს ფოტოსურათები და მხატვრული ნამუშევრები.

მუზეუმში ექსპონირებულია აგრეთვე ფერწერული სურათები „ომის გამოცხადება“ (მხატვარი დ. გაბიტაშვილი) და „ბრძოლის შემდეგ“ (მხატვარი ნეპრინცევი).

დიდ სამამულო ომში ბორჯომის რაიონიდან 8.000-მდე კაცი მონაწილეობდა, მათგან 2.000 გმირული სიკვდილით დაეცა ბრძოლის ველზე, 4.000 კაცი ორდენებითა და მედლებით იქნა დაჯილდოებული.

ბოროტმულთა საბჭოთა კავშირის გმირი მფრინავი ინსარაძე, მტერთან უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპნენ მფრინავები: ანრამიშვილი და ტბაბაძე, ერონის ინაური, შუბითიძე, ნინოშვილი, წვერიანაშვილი, მებეი ზუმბაძეები, ფერაძე და სხვ. მრავალი ბოროტმული აქტიურად იბრძოდა პარტიზანულ რაზმში, მათ შორის: ვ. აბულაძე მეთაურობდა განსაკუთრებული დანიშნულების ოპერატიულ ჯგუფს, რომელიც იბრძოდა პოლიციასა და ჩენოსტოლუკაიანი; აბულაძე აქტიური მონაწილეა სლოვაკიის ეროვნული აჯანყებისა, იგი დაჯილდოებულია ჩეხოსლოვაკიის მთავრობის მიერ.

პოლანდიაში, კუნძულ ტექსელზე, გერმანელების წინააღმდეგ ქარ-

თველ ტყვეთა აჯანყებაში გმირულად იბრძოდა თურქმენი ბოროტმული, მათგან აჯანყების დროს დაიღუპა შვიდი, ხოლო ოთხი სამშობლოში დაბრუნდა. აჯანყების მეთაურლოლადის მოადგილე იყო ბოროტმული ნოე გონგლაძე, რომელმაც ლოლადის სიკვდილის შემდეგ აჯანყების მეთაურთა იესირა (ამჟამად გონგლაძე მუშაობს სანატორიუმ „ფიროზას“ დირექტორის მოადგილედ).

ბოროტმულ ქალთაგან სამამულო ომში მონაწილეობდნენ: როგავა, იმნაშვილი, სალალაშვილი, ბრუსემოვა და სხვები. ახალდაბული აკაკი ბარბაქაძე კი თურქმენტ პარტიზანტ ქართველებს ერთად ფაშისტებმა დახვრიტეს 1942 წლის ზაფხულში.

დიდი სამამულო ომის წლებში ბორჯომის სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები პოსიტლებად გადაკეთდა. აქ განიკურნა 500.000-ზე მეტი დაჭრილი მეთომის, სპეციალურ სტენდზე ასახულია პოსიტლების მუშაობა ომის წლებში.

ბორჯომის რაიონის სახალხო მეურნეობის განვითარებას 1946-1975 წლებში ცალკე დარბაზი ეძინებოდა. მრეწველობის დარგში ბოროტმოს სიამავე შუშისა და მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნები. სტენდზე თანმიმდევრობითაა ასახული განვლილი წლების მანძილზე აქ ქარხანაში შრომის მეცნიერულტექნიკური ორგანიზაცია, რაციონალიზატორ-გამომგონებელთა საბჭოს ნაყოფიერი შემოქმედება, ქარხნის მუშაკთა ბრძოლა მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის, რისთვისაც მას კომპლექტური შრომის საწარმოს საბაბო წოდება მიენიჭა და ლენინის დაბადე-

ბის 100 წლისთავზე საბაბო სიკვლილი გადაეცა. მეცხრე ხუთწლეულის ბოლოს ქარხანაში უნდა გამოუშვას 80.000.000 ბოთლი. სტენდები მხანველებს წარმოუდგენენ ქარხნის ექტრანების, სოციალისტური შრომის გმირის ა. შუბითიძისა და სხვათა მუშაობას; აქვე ნაჩვენებია ბორჯომის მინერალური წყლების ექსპორტი მსოფლიოს 16 ქვეყანაში.

ომის გამო, რომ ბოროტმოს მინერალურ წყალზე მოთხოვნილება დიდაა, სოფ. ყვიბისში აშენდა ჩამომსხმელი ქარხანა, რომელიც ექსპლოატაციაში შევიდა 1970 წლის იანვრიდან.

მუზეუმში მოსული სტუმრები მის სტენდებზე ეცნობენ ახალგაზის საავიუო ფაბრიკას, პანკონიანის ანდეშიტის საწარმოს, ჩითახევის ჰიდროელექტროსადგურს, კარგად განვითარებულ საავტომობილო და საკინიფილ მინოსვლას.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბოროტმოს სატყეო მეურნეობის მუშაობრომას, ტყეების დაცვისა და განაშენიანებისათვის. სატყეო მეურნეობის მუშაობა შრომისმოყვარე კოლმექტვის საქმიანობამაც თავისი ადგილი პაოვა მუზეუმის ექსპონატებში.

მუზეუმში გამოფენილი მასალები გვაცნობენ ბოროტმოს მრავალრიცხოვან სანატორიუმებს, დასასვენებელ სახლებს, პანსიონატებს და იქ მომუშავე სამედიცინო პერსონალს.

საინტერესო თვალსაჩინო მასალა ეძლევა რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელის მუშაობას. კულტურის სახლები, კლუბები, ბიბლიო-



თეგები, მუზეუმები, კინოთეატრი, მუსიკალური სკოლა, მუსიკალური სასწავლებელი კარგ მომსახურეობას უწევინ როგორც რაიონის მოსახლეობას, ისე სამკურნალო და დასასვენებლად ჩამოსულ მშრომლებს; სტრუქტურა კარგად არის ასახული ბორჯომის თეატრის ისტორია, მის მიერ განხორციელებული დადგმები.

მუზეუმის განყოფილება „ბორჯომი მომავალში“ საინტერესო მასალებითაა წარმოდგენილი. აქ ექსპონირებულია პროექტები იმ შენობებისა, რომლებიც მომავალში აშენდება კურორტ ბორჯომში. მათ შორის ყველაზე მეტად ყურადღებას იპყრობენ შემდეგი ობიექტები: ერეკლეს ქუჩაზე დაგეგმილი 17-სართულიანი სასტუმრო და მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები. პლატოზე აიგება კომპოზიტორთა შემოქმედებითი სახლი, ხოლო ქალაქის ცენტრში — ადმინისტრაციული სახლი. ბაკურიანში გათვალისწინებულია კულტურის სახლის, რესტორან „თორისა“ და საერთაშორისო ბიონერთა ბანაკის აშენება.

ბორჯომის დიდების მუზეუმი დაათვალიერებს საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკებიდან და საზღვარგარეთის ქვეყნიებიდან ჩამოსულმა სტუმრებმა, რომლებიც კაპიოფილებას გამოსთქვამენ. ამაზე მიტყვევებენ მათი ჩანაწერები.

საბჭოთა კავშირის კოსმონავტიკა ვლუკოვა, შობებულებათა წიგნში ჩაწერა: „დიდი ყურადღებით დავათვალიერებ დიდების მუზეუმში ქალაქ ბორჯომში. ეს მუზეუმი დიდი საგანძურია ბორჯომის რაიონისა და საქართველოს მშრომელებისათვის. ნება მიბოძეთ, უღრმესი მადლობა გადაგუხადო მუზეუმის თანამშრომლებს“.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა პეტროვმა ასე გამოსახა თავისი მადლიერება: „დიდი სიამოვნებით გავეცანი დიდების მუზეუმს ქ. ბორჯომში, ძალიან კარგად არის შეჩვენული ექსპონატები, საბჭოთა ხალხს შეუძლია საუცხოოდ გაიხსენოს თავისი სამშობლოს მიერ განვლილი გზა, გილოცავთ გამარჯვებას, გისურვებთ წინსვლას“.

„არ შეიძლება წახვიდეს უცხო ქალაქიდან და არ გაეცნოს მის წარსულს. ეს მუზეუმი საცხებით აკმაყოფილებს დამთვალიერებლებს, რომელთაც სურთ გაიგონ ბორჯომელი რევოლუციონერებზე, დიდი სამამულო ომის მონაწილეებზე, ყოველი ადამიანის მოღვაწეობაზე, რომლებიც აშენებენ კომუნისტურ — ვკითხულობთ მიშელ კატალას ჩანაწერში.“

იპაონის რადიოსა და ტელევიზიის გენერალურმა დირექტორმა ხანსიმოტო ტადამასმა კი ასეთი აზრი გამოთქვა: „მოსარული ვარ, რომ ასეთი საუკეთესო ისტორიული ადგილის (მუზეუმი) დათვალიერების მადლობა მთავარად მიმეცა. ამასთან, უღრმეს მადლობას ვუხდის ქართველ ხალხს გულთბილი შეხვედრისათვის“.

ბორჯომის დიდების მუზეუმი მართლაც დიდებულია. ამჟამად იგი ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფილიალია და მასში მხოლოდ სამი თანამშრომელი მუშაობს. სასურველია იგი დამოუკიდებელ ერთეულად იქცეს.





მიმდინარე წლის მისში ორი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც თბილისელებმა მიიღეს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის შესანიშნავი შენობა. ამ დარბაზის მნიშვნელობასა და მის ტექნიკურ აღჭურვილობაზე ბევრი დაიწერა ჩვენი რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში, ხოლო შენობის ავტორმა არქიტექტორმა ივანე ჩხენკელმა შოთა რუსთაველის პრემია დაიმსახურა.

სსრ კავშირის სახალხო არტისტ-მა, ლენინური პრემიის ლაურეატმა დავით ოსტრახმა ფილარმონიის შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერა: „უდიდესი კმაყოფილებით გამოვლივარ თბილისის ახალ შესანიშნავ საკონცერტო დარბაზში. ეს ბრწყინვალეა, საუცხოოა აკუსტიკა, კომფორტულია მაყურებელთა ადგილები. ერთ სიტყვით, საამაყოა, ვულოცავ მის მშენებლებს და თბილისელებს. გმადლობთ“. ჩვენი დროს უდიდესი პიანისტი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი სვიატოსლავ რისტერი წერს: „დარბაზი ძალიან კარგია (აკუსტიკა, ვალორმება), შენობა ქმნის სადღესასწაულო განწყობილებას, განსაკუთრებით სადამობოთი“.

თავიანთი აღფრთოვანება დარბაზის შესახებ გამოთქვას ხელოვნების გამოჩენილმა მოღვაწეებმა მ. როსტროპოვიჩმა, ა. რაიკინმა, ჯორჯ ბალანჩინიმ, ირინა არნიოვამ, ჟ. ლასეტამ, ევა პილაროვამ... ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ასეთი საკონცერტო დარბაზი მსოფლიოს წამყვან ქალაქებს დამოუყენებს.

ეს დარბაზი ჩვენი დედაქალაქის მშრომელთა კულტურისა და დასვენების კერად გადაიქცა. ამ ესტრადიან დიდან თბილისელებმა და ჩვენი რესპუბლიკის რაიონების მშრომელებმა უკვე მრავალი საბჭოთა და უცხოელი შემსრულებელი თუ კოლექტივი გაიცინეს და შეიყვარეს.

ფილარმონიის საკონცერტო დარბაზები

კარლო ხანიაშვილი

1971 წელს დიდსა და მცირე საკონცერტო დარბაზში სულ 181 კონცერტი გაიმართა და მას ნახევარ მილიონზე მეტი მაყურებელი დაესწრო. 1972 წელს დიდ საკონცერტო დარბაზში, რომელშიც ძირითადად კლასიკური მუსიკის კონცერტები ტარდება, 236 ღონისძიება ჩატარდა. სულ 1972 წელს ორივე დარბაზი მილიონამდე მაყურებელს მოემსახურა.

საკონცერტო დარბაზის ხელმძღვანელობა მნიშვნელოვან მუშაობას ატარებს კლასიკური მუსიკის პრობაგანდისათვის. მცირე საკონცერტო დარბაზში სისტემატურად გამოდიან საანგარიშო კონცერტებით დედაქალაქის მუსიკალური სკოლებისა და სასწავლებლების მოსწავლეები. მათთან ერთად მონაწილეობენ საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, წამყვანი დირიჟორების ხელმძღვანელობით. ასეთი ღონისძიებები ხელს უწყობს ახალბედა მუსიკოსთა დაოსტატებას.

საკონცერტო დარბაზის მთავარი რეჟისორია სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი არჩილ ჩხარტიშვილი.

განვიღო პერიოდში მისი ხელმძღვანელობით დაიდა მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიციები „რუსთაველის ნაკვალევი“, „შენ გიმღერო, ჩემო თბილის ქალაქო!“, და ყველა აკადემიური კონცერტი.

დადგამს „რუსთაველის ნაკვალევი“ ერთხმად აუბარაკა ჩვენი რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთები, მას ქართული ხელოვნების ზეიმი უწოდეს; მაყურებელი შეხება მუსიკის ავტორებს ოთარ თაქთაიშვილს, არჩილ ჩხაკაძეს, ქართული სახლური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს ნინო რამიშვილსა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით, ჩვენს კაველსა და სიმფონიურ ორკესტრს.

დაუშრეტელია ა. ჩხარტიშვილის შემოქმედებითი ენერჯია. იგი თავს უყრის ჩვენი თეატრების წამყვან მსახიობებს, მომღერლებს, შემოქმედებით კოლექტივებს. ოპერატიულად ადგენს საოცრებებს პროგრამებს, რომელსაც მაყურებელი აღფრთოვანებით დებულობს; მის გვერდით ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობს ეწვევიან მწერალი ლევან ჭუბაბრია, მსატრებო: ოთარ ლთიანიშვილი და თემარ სუბოთაშვილი.

სამწუხაროდ, ხშირად საკონცერტო დარბაზში შეიმჩნევა მაყურებელთა სიმცირე ვფიქრობთ, ეს ცუდი რეკლამის ბრალია. კარგი იქნება, თუ დედაქალაქის მეტროს სადგურებთან, დიდ ფაბრიკა-ქარხნებთან, მოედნებზე, ტრანსპორტის განჩერებებთან მოწყობა საკონცერტო დარბაზის სუციალური სატრეკამო სადგომები, თვით შენობის ფსადლე ან მის თავზე კი, ამა თუ იმ ღონისძიების დაწყებულ დამის შუქრეკლამა. ვართოდ უნდა გამოვიყენო რადიო და ტელევიზია, ცისფერ ეკრანზე უნდა ვაჩვენოთ ამა თუ იმ კოლექტივის რამდენიმე ნომერი; პრესაში ვავაშუქოთ მომავალი გასტროლითების შესახებ მასალები.

ხელოვნების ამ შესანიშნავ ტაძარს ყველა თბილისელი უნდა გაუფრთხილდეს. ეს სომ ჩვენი კულტურისა და დასვენების შესანიშნავი ადგილია.



დ. ალექსიძე კიევის ფრანკოს სახელობის დრამატული თეატრის მსახიობებთან სტუმრად გაზეთ „რობოტინისა გაზეტის“ რედაქციაში.

წერილი კიევიდან

მულაე კიეზაში

ოლექსა ნოვიციკი, ვლადიმერ შვაჩკო

1919 წელი. ნაციონალიზებულია კიევის თეატრები, მათ შორის თეატრი „სოლოვიცოვიცა“ (ახლანდელი ივანე ფრანკოს სახელობის აკადემიური თეატრი).

„იმ დროს კიევში კვლავ გამოჩნდა დიდი რეჟისორი და თეატრალურ მოღვაწე კონსტანტინე ალექსანდრეს ძე მარჯანოვი. კიევლებს იგი ახსოვდათ ჯერ კიდევ 1907-08 წლების სეზონით, როგორც მკვეფარე ტემპერამენტისა და უჩვეულო მომხიბლათობის მხატვარი. ყოფილი სოლოვიცოვის თეატრის კომისრად და ქალაქ კიევის მთავარ რეჟისორად დანიშნული კ. ა. მარჯანოვი მთელი არსებით ჩაება მუშაობაში. არ მახსოვს, ვის მოუვიდა ბედნიერი აზრი — მივემართა ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროსათვის“. კ. ა. მარჯანოვი მამონივე ჩაჩვიდა ამ დღესა; — ასე მოგვითხრობს სოლოვიცოვის თეატრში მარჯანიშვილთან ერთად მომუშავე ალექსანდრე დეიჩი თავის წიგნში „ხმა სოსოვისა“.

როგორც ცნობილია, კ. მარჯანიშვილმა სამი კვირის განმავლობაში შექმნა ეს გმირული სპექტაკლი, რომლის იდეაც ასე გამოხატა: „მე მინდა, რომ მას შემდეგ, როგორც კი მსახიობები დაიძვრებიან რამასიკენ, მაყურებლები ფრონტისაგან გაემართონ“. ესეველოდ ვიხსენებ, რომელიც მაშინ წითელარმიელთა იყო, ასე იგონებს „ფუნტე ლეხენასა“: „მახსოვს, ამ სპექტაკლზე შეიარაღებულ-

ბი მივიდით, რადგან მაშინ ქალაქში უიარაღოდ სიარული არ შეიძლებოდა და აი, ფარდაც აიხადა. ჩვენ დავინახეთ საოცარი რამ — ჩაგრულთა ბრძოლა თავიანთი განთავისუფლებისათვის. ეჭვს გარეშეა, რომ ამ სპექტაკლში იყო თვისობრივი სიასლე. ეს იყო ძალზე ძლიერი, ძალზე დიადი. და როცა სპექტაკლის შემდეგ მისასალმებლად გამოვიდა კ. ა. მარჯანოვი, ჩვენ დავინახეთ ადამიანი მოელვარე და ანთებული თვალებით, რომელმაც, როგორც ჩანდა, თავს ძალა დაატანა, რომ ჩვენიან ერთად თვითონაც არ წამოსულიყო და, თუ საჭირო იქნებოდა, ცოცხალი თავით აქ არ დარჩებოდა, იბრძოლებდა და იბრძოლებდა მანამდე, ვიდრე მტერს არ დავამარცხებდით. ასეთი იყო ამ ძლიერი ოსტატის გაავლება წითელარმიელებზე“.

გავიდა წლები. და აი, იმავე კიევის დრამატულ თეატრში მოიღის სხვა ქართველი რეჟისორი.

... ივანე ფრანკოს სახელობის აკადემიური თეატრი. მიმდინარეობს სოფოკლეს „ანტიგონეს“ რეპეტიცია, რეპეტიცია ტრაგედისა, რომელმაც აიასკული წლების მიღმიდან მოიტანა თანამედროვეობის სუნთქვა. თეატრის მთავარი რეჟისორი, საქართველოსა და უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახალხო არტისტი დიმიტრი ალექსიძე დაძაბული ყურადღებით ადევნებს თვალს გმირი ქალის ყოველ მოძრაობას.

რი და მის წინ მდებარე ქუჩა ისე გაჭედელიყო ხალხით, რომ გავლა არ შეეძლებოდა.⁴ აკაკი რომ ლოჯაში გამოჩნდა, დამსწრე საზოგადოება ფეხზე წამოიჭრა და გამართა დაუმთავრებელი ოცავციები. ასეთივე ოცავციებს უწყობდა ხალხი, როცა ეკრანზე აკაკი გამოჩნდებოდა ხოლმე. სენანის დროს ამ სურათისათვის შეჩვეულ პიესებს უკრავდა რადიუმის სიმეზიანი ორკესტრი აფანასიევის ხელმძღვანელობით, აგრეთვე ზურნა. სურათის დამთავრების შემდეგ აკაკი ხელით გამოიყვანა ხალხმა და ჩასვეტლში. ქუთაისის შემდეგ ეს სურათი ჩვენ ვაჩვენეთ ჭიათურაში, სადაც იმ დროს ჩვენი დახმარებით მოწყობილი ერთი პატარა კინო იყო. თბილისში იმ დროს კინოები იყო უცხო ტომის ხალხის ხელში და არც ერთმა ამ კინოს პატრონმა უსასყიდლოდაც კი არ მიიღო სურათი დასადგმელად თავიანთ კინოებში. ამ კინოე-

ბის პატრონები იყვნენ ვინმე ზურკოვი და შენდეროვი, რომლებიც მწვეფეების დროს უცხოეთში გაიპარნენ. ბოლის დიდი მუდარის შემდეგ ეს სურათი, როგორც იქნა, გავუშვით თბილისში ერთ პატარა კინოში, რომელიც მოთავსებული იყო ყოფილ სასტუმრო „ნოს“ (ახლა „რუსთავი“ — პ. წ.) შენობაში, იმ პირობით, რომ მივლი შემოსავალი უნდა წიგლო კინოს პატრონს, რომლის გვარი არ მახსოვს. თუ არ გვდები, 1913 წელში სურათი „აკაკის მოგზაურობა რაქა-ლეჩხუმში“ მე, ჩემი დაპირებისამებრ ჩავაბარე კომისიის ერთ-ერთ წევრს, რომლის გვარი არ მახსოვს, მუხუქუმში ჩასაბარებლად.⁵ აქ მთავრდება ტიხონ ასათიანის მოგონება, რომელიც, როგორც მკითხველი დაინახავს, გულწრფელად და ყოველგვარი შელამაზების გარეშე არის დაწერილი. მკითხველი ადვილად დაინახავს, თუ რა ამობრკვევდა ამ ორ შესანიშნავ ადამიანს და იმასაც, თუ როგორ ცდილობდა ტ. ასათიანი არ დავიწყებოდა არაფერ, ვინც კი ამ საქმეს ემსახურებოდა.

³ 1912 წლის 20 სექტემბრისათვის (3. წ.).

⁴ აკაკის ახლდენე კოტე აბდუშელოვილი და ვარინკა წერეთელი. კოტე — საჩხერდიან, ვარინკა კი ზესტაფონში შეხვდა და აკაკიმ იგი თან წამოიყვანა. სენანის დროს გულწრფელად აკაკი მიუბრუნდა ვარინკას და თვალცრემლიანმა უთხრა: ვარინკა, ხედე, რა ამბავია? (პ. წ.).

⁵ სტილი და მართლწერა ავტორისეულია დატოვებული (პ. წ.).

ს ს რ კ 5 0

წლისთავისადმი
მიძღვნილი
გამოყვანიდან

კ. ჩხეიძე.
ფოლკლორის საგანძებრი.



სტუდენტთა თვითმოქმედება

თამარ გომარტელი

მორამოზარაფიული ანსამბლი

თბილისის სახელმწიფო ინდუსტრიულ ინსტიტუტში 1934 წლიდან ჩამოყალიბდა მოცვეკვეთა წრე, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სტუდენტი ბებრი ჯაფარიძე. წრე ხუთ წევრს აერთიანებდა.

ბ. ჯაფარიძე ჯერ კიდევ ბათუმის პედაგოგიურ ტექნიკუმში სწავლისას გაეცნო ახმედ ფაღვას, შესაბამისად სულემან გრემლიძეს და აჟეფ ოსმახ-ოღლს, რომლებიც სხვადასხვა სოფლიდან ეწვივნენ აჭარის პეტტექნიკუმს და შემდეგ ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის მოწინავე სტუდენტები გახდნენ.

ჯაფარიძემ თავის სიცოცხლის ამხანაგებთან ერთად ინსტიტუტში აჭარული ცეკვების წრე ჩამოაყალიბა, რომელსაც სტუდენტთა ოლიმპიადაზე პირველი ადგილი მოიპოვა. წრის წევრებმა ოსტატურად შეასრულეს ვორუმი.

იმავლე წელს აღექმსანდრე ავალიანის (კლუბის გამგე) ინიციატივითა და ინსტიტუტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით ჩამოყალიბდა ქართული ხალხური ცეკვების შესწავლელი ქორეოგრაფიული წრე, რომლის ხელმძღვანელად მოიწვიეს ჯაბო ბაგრატიონი. ეს იყო სრულიად ახალი წამოწყება. მანამდე არც ერთ უმაღლეს სასწავლებელში არ არსებობდა მსგავსი კოლექტივი.

ბაგრატიონმა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ცეკვები შეარჩია და რეპერტუარში შეიტანა „სიმღი“, „სვანური“, „დაღლური“, „ფორიაობა“ და სხვ. ბაგრატიონი ახალგაზრდებს საფუძვლიანად უხსნიდა ამა თუ იმ ცეკვის ხასიათს, მის ბუნებას, მოძრაობის თავისებურებას. ეცნობოდა ყოველი მონაწილის ათვისების უნარს, შესაბამისობას, გამომსახველობას. ინდივიდუალური ფიგურები მონაცემების მიხედვით წვრთნიდა თითოეულს. იგი პირველივე გაკვეთილიდან მოწოდებდა მუსიკის თანხლებით ამეცადინებდა, უკთარებდა რიტმის გრძობას, სხეულის მოქნილობას. მხოლოდ დამაბული წვრთნის შემდეგ გადადიოდა თვით ცეკვის საფუძვლიან შესწავლაზე, მკაცრად

მოითხოვდა გაკვეთილის წინ ვარჯიშის შესრულებას, რომელიც ორ-სამ ილეთს შეიცავდა ქართული ცეკვებიდან. ამ წრის მრავალი მონაწილე დღეს ცნობილი ქორეოგრაფია.

მას შემდეგ ქორეოგრაფიულმა წრემ რამდენიმე წლით შეწყვიტა მუშაობა.

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში თვითმოქმედების ამ სახეობამ მოგვიანებით განაახლა მუშაობა, სახელდობრ, მაშინ, როდესაც მისი ხელმძღვანელობა გიორგი დარახველიძემ ითავა.

ყოველ წელს ტრადიციულად იმართებოდა შიდასაინსტიტუტო ოლიმპიადები. ერთ-ერთმა ასეთმა ოლიმპიადამ გამოავლინა ის მოცვეკვეთები, რომლებიც შემდეგ გ. დარახველიძის ანსამბლის სოლისტები გახდნენ: თათარ პაპიაშვილი, რევა ჭოხონელიძე, უშანგი ბალიაშვილი, ალბერტ სვანიძე, ზურაბ გამგონიშვილი, ბადრი ანთაძე და სხვ.

გ. დარახველიძემ მალე ანსამბლს გარკვეული სახე მისცა.

წარმატებით ჩატარდა მათი გამოსვლა რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე. შემდეგ კი მათ პირველი ადგილი მოიპოვეს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა თვითმოქმედი კოლექტივების დათვალურებაზე. მათი ცეკვებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა — „სადარბაზო“ (სოლისტები ბადრი ანთაძე და მალიზა გურგენიძე) და „სალხინი“.

პირველმა წარმატებამ ანსამბლს გზა გაუხსნა შემდგომი წინსვლისა და დაოსტატებისაკენ. ინსტიტუტის მიერ გამართულ ყველა სალამო-კონცერტს ამწყვებდა ახალგაზრდა ქორეოგრაფთა მიერ გემოვნებით შერჩეული და დამუშავებული ნომრები. დროთა განმავლობაში ფართოდ დაიწყო რეპერტუარი, იხვეწებოდა ცეკვის ტექნიკა, იზრდებოდა პასუხისმგებლობის გრძობა. ახლად შექმნილმა ანსამბლმა პირველად მიერ დროის მანძილზე იმდენად სანატრესო პორტამის განხორციელება შესძლო, რომ ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ მიზნშეწონილად სცნო მისი

საკატროლოდ გამგზავრება. ეს უკვე თავისთავად მეტყველებდა მათ გამარჯვებაზე. ქართველ სტუდენტთა ქორეოგრაფიამ მოხიბლა ტალინის, ბაქოსა და მომხმ რესპუბლიკათა სხვა ქალაქების მაცურებლები.

1954 წლის 23 იანვარს, საბჭოთა კავშირის კულტურის მუშაკთა პროფკავშირების კომიტეტის მიწვევით ქორეოგრაფიული ანსამბლი მსოფლიოს გაემგზავრა.

მოსკოვი, ძერგინისკის სასულიერო კლუბი... ფარდის გახსნისთანავე დარბაზში შემოიჭრა ომხანანი, ტემპერამენტური მელიოდები, სტუდენტები ჯ. მაღალრიძე და დ. დარხველიძე მოხდენილად ასრულებენ ცეკვა „ქართულს“.

შეწყდა ტაშის გრილი. დარბაზში გაისმის კომპოზიტორ ს. მირიანაშვილის „ლირიკული სიმღერა“ კ. ჩხეიძის შესრულებით. სიმღერას ცეკვა ენაცვლება. მოსკოველები მოხიბლეს ლ. ჩხიკვიშვილმა, დ. დარხველიძემ, გ. ბერაძემ, რომელმაც შესანიშნავად შეასრულეს ცეკვა „პაქიანი“. ვოკალური დუეტი „საბავა“ მოწონება დაიმსახურეს დებმა გ. და ნ. ჩაფიძისავე.

მოცეკვავეთა აღიარების დამდასტურებელი იყო მათი მონაწილეთა კრემლში გამართული კონცერტები.

ვლადიმირის დიდ დარბაზში ჩატარებულ კონცერტზე რუსებისა და ქართველების გვერდით მონაწილეობდნენ რუმინელები და ჩინელები. ეს უბრალო კონცერტი როდი იყო, არამედ მეგობრობის დიდი დღესასწაული.

ანსამბლის წევრები შინ დაბრუნდნენ პირველი ხარისხის დიპლომებით და ფულადი პრემიებით.

1960 წლის იანვარში, სტუდენტური არდადეგების დროს, ქართველი სტუდენტ-მოცეკვავეები შეტად საინტერესო და მასუსაგები გასტროლების მონაწილეები გახდნენ. მათ უწილად ხვდათ ინგლისელების წინაშე უჩვეუნიზონათ თავიანთი შემოქმედება. პირველი კონცერტის წინ იმპრესარიო ქართველი სტუდენტები გაფრთხილა: ინგლისელები ციტა ცივი ხალხია და აპლოდისმენტებს ვერ მოკრავთ ყურს, ეს თქვენზე ნუ იმორქმდებო.

აი, „აპლოდო ტოლის“ გრანდიოზული დარბაზიც. დოლის პირველი ხმა. იწყება ტემპერამენტანი „ფარცა“.

დარბაზს ერთსულთვანი ტაში მოწყდა. წარმატება სისმარს ჰგავდა.

ამის დასამტკიცებლად მოგვყავს ინგლისის გაცეთებში გამოქვეყნებული რევენსიზიების სათაურები: „ვისაც ცეკვა გიყვარო, ნახეთ ქართული ანსამბლი! და ვისაც არ გიყვართ, შეგაყვარდებიან“.

„სიტყვები არ შეიძლება ან სანახაობის აღწერა“.

„ასეთი სანახაობა არ ახსოვს ინგლისელ მაცურებლებს“.

„ლამაზი ოცნების მსგავსი ქალები და გალანტური რანდები“.

„მაცურებლები ისე კარგად მუშაობენ ხელებით, როგორც მოცეკვავეები ფეხებით“.

„ქართველები მსოფლიოში პირველი მოცეკვავეები არიან“.

„წარმოუდგენელი სანახაობა“ და მრავალი სხვა.

ეს არ ყოფილა იაფფასიანი საგახეთი რეკლამა. სა-ქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოცეკვავეთა ანსამბლის წარმატებაზე მეტყველებს ორი საინტერესო ამბავიც: გასტროლებისას ლონდონში ერთი დღით ჩამოსულა შევიცის ქართველი ამ დღეს მან 77 წელი შეუსრულდა. ლონდონში მცხოვრებმა 2000 შედგმა პანკტიე გამართა ოუბილარის პატკონაცვლად, მაგრამ... ბანკეტი მფევე ვერ გამოცხადდა, რადგან მან ირია ლონდონში გაგზავრებულ ქართველი მოცეკვავეების კონცერტზე დასწრება.

მეორე შემთხვევა კიდევ უფრო საგულისხმოა: ინგლისის რადიოპროგრამის ეურხალი ვეელა ინგლისელთა აქვს გამორჩეული. მისი ყდა ტრადიციულია და სურათი. არასდროს მასზე სურათს არ ბეჭდებენ; მაგრამ ერთ დღეს ყდაზე აღმონრად ჩვენი ანსამბლის სარეკლამო სურათი. ეს ნამდვილი სენსაცია იყო.

ასეთი ბრწყინვალე წარმატებებით მოიარეს ქართველები მოცეკვავეთა ინგლისის და შოტლანდიის სხვა ქალაქებზე, რომელთა შესახებ პრესაში ბევრი დაიწერა.

ინგლისის შემდეგ საკატროლო ტურზე გაგრძელდა ბელგიისა და ლუქსემბურგის, სადაც ასევე ასხადნენ სოტბას ქართველი სტუდენტების ხელოვნებას. ასევე გაიციენეს ჩვენი ქორეოგრაფია მონრგალში, გამოფენის დღებში.

1964 წლიდან დარხველიძე შესვლავა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI და VII მსოფლიო ფესტივალუბის ლაურეატმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ოთარ პაპიაშვილმა, რომელიც ერთ-ერთი ნიჭიერი ქორეოგრაფია რესპუბლიკაში.

ასამა ხელმძღვანელმა საკუთარი ხელწერა შემოიტანა ქორეოგრაფიულ ანსამბლში. მან გახდასალის რეპერტუარი. მასში შეიტანა ურთულესი ცეკვები: „ლახური სორუმი“, „აჭარული“, „აფხაზური“, „ფარცაობა“, ოსური ცეკვა „ნარნარი“, ძველი თბილისის სურათები“ და სხვა, რომელთა დადგმა გამოირჩეოდა პროფესიონალიზმითა და ანსამბლურობით. ამ დროს ანსამბლის წამყვანი სოლისტები იყვნენ: რ. ჭიხონელიძე, ა. ხვანიძე, ზ. გამბონიშვილი, ბ. აბაშიძე, ჯ. ხაჭავაძე, ჯ. რეზიაშვილი, დ. ბოჭორიშვილი, დ. ხუბუა, ს. არჩავაძე, ე. ენუქიძე, თ. ხიზანიშვილი...

იმავე წელს ანსამბლი მაცურებლის წინაშე წარსდგა ახალი პროგრამით, რომელსაც უჩვეულო წარმატება ხვდა. მაცურებლებმა მიიღო და ადიარა პოლიტექნიკისათა ქორეოგრაფიული ხელოვნება.

ადგილობრივმა მიღწევებმა წამოჭრა აზრი, რომ ანსამბლი გამგზავრებულოც ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. ამ სურვილს ოფიციალური მოწვევები დაემთხვა, რომელიც ქ. ლენინგრადის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა გამოუგზავნა ქართველ სტუდენტებს. ასე გადაწყდა ქორეოგრაფიული ანსამბლის ლენინგრადში გამგზავრება. პროგრამაში შეიტანეს მხოლოდ ქართული ცეკვები: „ლახური სორუმი“, „ფერხობა“, „აფხაზური“, „მედრული“. ქართველ მოცეკვავეთა გამოსვლებმა დიდი ინტერესი გამოიწვია ლენინგრადელებში. კონცერტის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის ანსამბლის ხელმძღვანელი და მონაწილეები დააჯილდოვეს სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.

სტუდენტ-მოცეკვავეთა მომდენო გასტროლები მოეწყო ქ. რიგში, სადაც აგრეთვე რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიწვევით გაემგზავრნენ. კონცერტები, რომლებიც რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის გამართეს თბილისელებმა, ურიერთაპატივისცემის გამოსატულების სიმბოლოდ იქცა; რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხელმძღვანელებმა კონცერტის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის ანსამბლის წევრებს სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადასცა.

თავი გამოიჩინეს ცალკეულმა სოლისტმა-შემსრულებლებმაც. ასე მგავლითად, 1965 წელს მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივის დაფუძნებებზე, მოცეკვავე სულხან არჩავაძემ სპეციალური პრისი დაიმსახურა „ძველი თბილისის სურათები“ ქორეოგრაფიული ხასის შემწისათვის, ხოლო ანსამბლმა პირველი ხარისხის დიპლომი მოიპოვა.

1967 წელს ანსამბლის ხელმძღვანელად მიიწვიეს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VII, VIII და IX კომფორტის (სადრეანგიო) საერთაშორისო ფესტივლის ლაურეატი, კულტურის დამსახურებული მუშაკი რევზ ჭობონელიძე.

ეს ის პერიოდი იყო, როცა რიგგელებმა კვლავ მიიწვიეს თბილისი სტუდენტები. საესტროლო გამზავრება გადაწყდა ზაბიტის არდადეგების პერიოდში. მისამადგენი დრო ძალიან ცოტა იყო, უკვე დადგენილი ცვცვების აღსადგენდაც კი. ხოლო მარტო ძველი პროგრამით ანსამბლი ვერ დამყაფოვდებოდა. ამიტომ რ. ჭობონელიძისა და საერთოდ ანსამბლის წინამძღვრად სიმონიული ამოცანა წამოიჭრა — მათ უნდა მოესწროთ რეპერტუარის განახლება. პირველ სიმნიელს იწყებდა ის გარემოება, რომ აღდგენილი ცვცვებიც, რ. ჭობონელიძის ჩანაფიქრით სრულიად ახლებურად უნდა წარმოდგენილიყო. რაც შეეხებოდა ახალი ცვცვების დადგმას, რევზ ჭობონელიძემ მეტად ორიგინალური აზრი განავითარა — განზრახვა ცვცვების მიწვევამ ინსტიტუტში ასრულებ ვაჟთა კაპელისა. ამ აზრს დიდი სიზარული შეეგება ვაჟთა კაპელის ხელმძღვანელი თუბა კუბლაშვილი. რ. ჭობონელიძემ სიმღერებთან ორგანულ კავშირში შექმნა სამი ცვცვა „ფერული“, „ხეხუროული სუიტა“ და „საქორწილო“.

თბილისელი სტუდენტების რიგში ჩასვლა დაემთხვა რიგის პოლკავშირის საქალაქო პოლუნში. ლენუნის ხელმძღვანელებმა თხოვნით მიმართეს ჩამოსულ სტუდენტებს — კომკავშირული აქტივის პატივსაცემად მონაწილეობა მიეღოთ ამ ზეიმში, რაზედაც სტუდენტები სიამოვნებით დათანხმდნენ. მათი პირველი კონცერტი სწორედ აქ, კომკავშირულთა ფორუმზე შესდგა.

კონცერტმა დიდი აღმავლობით ჩაიარა. თითქმის ყველა ხიმერი 2-3-ჯერ მეთრფებოდა. განსაკუთრებული წარმატება მიანიც ცვცვებზე ხვდა, რომლებიც ვაჟთა კაპელისთან ერთად დააუშვა. რ. ჭობონელიძემ როგორც ცნობილია, რიგში სავსელი ხელოვნება გამოაღ მაღალ დონეზე დასა, მოსულადაც ამისა, ქართულმა საუფნელ ნაწარმოებებმა და მათთან მოხდენილად შერწყმულმა ნაწარმოებებმა სწესაცა მოახდინეს. დარბაზი ზანზარებდა ტაშისა და მოწონების შეძახილებისაგან.

მეორე კონცერტი ჩატარდა ქალაქის ახალგაზრდობასთან, რომელსაც მეგობრული შეხვედრის სახე ჰქონდა. დიდხანს ემასოფრებოდა აგრეთვე ქართველ სტუდენტთა გამოხალა რადიოჟარხნის მუშა-მოსამსახურებმა.

ტრადიციად იქცა — სასამთრო არდადეგების პერიოდში ქორეოგრაფიული ანსამბლი ვაჟთა კაპელასთან ერთად მიეგზავრება საესტროლოდ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში. 1970 წელსაც ერთად იწავლდებოდნენ ისინი ყუზანის საკავშირო ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ მონაწილეთა რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ მხოლოდ აკადელს მოუხდა გამზავრება. კაპელამ ფესტივალის კარგაგის წოდება მიაიოვა. ეს ქორეოგრაფიული ანსამბლის გამარჯვება იყო, ვინაიდან ისინი ერთობლივად აუხალდებდნენ ფესტივალზე გასატან პროგრამას.

ამასთან დასრულდა ინსტიტუტის კულუბის მშენებლობა. ამ ფაქტორმა კიდევ უფრო გაზარდა თვითმოქმედ კოლექტივების გაერთიანებული წევრების მინდომება და ხალხის.

ანსამბლის რეპერტუარს შეემატა ქალთა ცვცვა „ნარნარი“ და „იმერული სახუმარო“, რომელიც ვაჟთა კაპელასთან ერთად სრულდება.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტს გასული წლის ზამთრის არდადეგების პერიოდში ესტუმრა უკრაინის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა სერგეისა და ცვეკის ანსამბლი.

კვირელებმა რვა საღამო ჩაატარეს თბილისში. სტუმრების ხელოვნება სათანადოდ შეაფასა თბილისელმა მკურებლებმა. დასვენით საღამოზე, რომელიც ფილარმონის დიდ დარბაზში გაიმართა, პირველი განყოფილება დღით-მეორე უკრაინულ სტუმრებს, ხოლო მეორე — ქართველ პოლიტექნიკოსებს.

ამის შემდეგ ქართველი სტუდენტები საპასუხო ვიზიტით ესტუმრდნენ კვირელებს. უკრაინელები, ადამის მიხედვით, აჭორფრობენ პურითა და მარტო შეეგებნენ ქართველ კოლეგებს.

კვირედი ჩაატარებულმა კონცერტებმა კიდევ ერთხელ მოუტანა გამარჯვება ქართულ ცვცვებს.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტში დღესათვის აჭორფრაფიული ანსამბლის წამყვანი სოლისტები არიან: მანანა უჩანეთვილი, ვლერი პატარაია, შოთა აფხაძე. ანსამბლი სულ 40 წევრს ითვლის.

„ჩაფიქრებული მაქვს, — ამბობს რევზ ჭობონელიძე, — ქართული საგლობლების ფონზე გადაწყვიტო ქალთა ცვცვა „ფერული“. ამ მიზნის მიღწევა და მისი მხატვრულად ხორცმესხმა რთული საქმეა, მაგრამ, ვფიქრობ, ი. კუბლაშვილსა შემოქმედებითი კონტაქტით განვახორციელებ ჩაბაღობას.“

ჩემი მიზანია ეს ახალი ცვცვა პირველად სწორედ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სცენაზე ვუჩვენო მაყურებელს. მე ხომ ამ ინსტიტუტის აღზრდილი ვარ...“

რევზ ჭობონელიძე დღესაც სათავეში უდგას პოლიტექნიკური ინსტიტუტის სახელოვან ქორეოგრაფულ ანსამბლს. მისი ნიჭი და ოსტატობა კვლავ ბევრ გამარჯვებას მოუტანს მას.

კინოხალწმინდების მოვარაულოთა სპეცია

1962 წლის 25-28 სექტემბერს, ხელოვნების მუშაკთა სახლში, მიმდინარეობდა კინომოყვარულთა მეორე რესპუბლიკური ფესტივალა.

დაიჯილირების დასვენით დღეს, უნდა ჩვენებინათ თითხი ფილმი, რომელთა შორის იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კინოხელოვნების სექციის მიერ შექმნილი „მესამე სტუდენტური თამაშების კვალდაკვალ“.

მაყურებელმა ფილმს დადებითი შეფასება მისცა. მიზანი და ამოცანა, რომელიც კინოსექციის წევრებმა დაიხასხეს ფილმის შექმნის პროცესში, სწორი და გამართლებული გამოიდა. მათ არ უნდოდათ მაყურებლისათვის შეეთავაზებინათ სპარტაკილის შედეგების მშრალ ფიქსაცია. საეულისმბო, რომ სპორტის 19 სახეობიდან სტუდენტებმა გადაიღეს მხოლოდ ის 5 კლასიკური სახეობა, რომეც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა თავისი პლასტიკით. მათ განზრახეს სპორტზე მოთხოვრთ პოეტურად, ამლოღვებულად რაც ჩინებულად განახორციელებ კიდევ ფილმმა პირველი აბილი დისაკურთა მოყვარულთა ფილმების რესპუბლიკური ფესტივალზე.

ამ დიდი წარმატების შემდეგ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა ეს ნამუშევარი წარადგინეს მისოკოში, კინომოყვარულთა ფილმების II სრულიად საკავშირო ფესტივალზე, ჩაიარა ფესტივალის დაძაბულმა კვირამ. კინომოყვარულთა ამ დიდ ფორუმს ეთერში და მონაწილეებმა ნახეს 700 ფილმზე მეტი. კინოს ცენტრალური სახლის დარბაზში შეიკრბა კინემატოგრაფის ბუფი ერთუზისატი, სამჭოთა კინოს გამომჩინელი მოღვაწეები. ქართველი პოლიტექნიკოსებიც მოუთმენლად ელოდნენ კინოხელოვნებაში თვითნათი პირველი სერიოზული გამოცდის შევასებას. თუორის თავგებობამ, სსრ კავშირის კინემატოგრაფის კავშირთან არსებული კინომოყვარულთა სექციის ხელმძღვანელმა, სამჭოთა კავშირის სახალხო არ-

ტისკმა გ. რომაშმა გამოაცხადა: „სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა პრემია და სსრ კავშირის საერთოდადობის პირველი პრემია ენიჭება ფილმს „111 სტუდენტის თამაშების კვალდაკვალ“, რომელიც შექმნა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კინომოყვარულთა სექციამ“...

პოლიტექნიკური ინსტიტუტის კინოსექციის მოიჯრაფია 1955 წლიდან იწყება. ამ საქმის ორგანიზატორები არიან მაზინდელი არქიტექტურული ფაკულტეტის სტუდენტი, ამჟამად არქიტექტურულ მეცნიერებათა კანდიდატი ალექსანდრე ჯაფარიძე, შექანაკა-მანჭანათმშენებლობის ფაკულტეტის სტუდენტი, ამჟამად მფრინავი იური ტაბანიძეოვი.

„შრომსა და სწავლაში“, „სტარტზე ახალგაზრდობა“, „არც შენჯამი, არც ინფორმაცია“, „ხიდები“ — აი, ფილმები, რომლებიც შექმნილია ა. ჯაფარიძისა და ი. ტაბანიძის მიწაწილობით. ამ ფილმებით იწყება საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კინომატიანეს პირველი ფურცელი.

კინომოყვარულთა შემოქმედების შემდგომი ეტაპი უკავშირდება ყაშირ მიწეზე გამგზავრებულ სტუდენტთა შრომის საქმიანობას.

კინომოყვარულთათვის ზაფხული ყოველთვის დაკავშირებულია ახალ გვეგებთან, იმედებთან. ყველა სტუდენტი ზაფხულშით თავისებურად სიყვებეს. მათ კი ამჯობინეს „შემოქმედებითი მივლინება“ ყაშირ მიწეზე, სადაც თავიანთი ინსტიტუტელები მუშაობდნენ. ყაშირზე მათ შექმნეს კინონარკვევი, რომლის გმირები იყვნენ მომავალი მწიგნობრები, ტრანსპორტელები, მექანიკოსები. ამით საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასახლო საქმეები კიდევ ერთი ფურცლით შეივსო.

სტუდენტთა საზაფხულო კინოექსპედიცია საყაშირო მარშრუტით როდი შემოფარგულა. ყაშირიდან დაბრუნების შემდეგ ისინი გაემგზავრნენ ლაუნის ვილზე, სადაც გადაიღეს სამეცნიერო-პოპულარული ფილმი გეოლოგიურ გამოკვლევებზე, რომელსაც პიდროლოგისა და სანიტინერო-გეოლოგის კათედრის მეცნიერ-თანამშრომლები ატარებდნენ.

„ჩვენ ვაშენებთ“ — ასე ეწოდებოდა ფილმს, რომელიც მიეძღვნა ყაშირულ სტუდენტთა პირველ მშენებელ ჯგუფს. ფილმი სა-სუთ წუთს მიმდინარეობდა, მაგრამ იმდენად მაღალ დონეზე იყო შესრულებული, რომ რამდენიმე კოლდოს მფლობელი გახდა: პირველი პრემია რესპუბლიკური ფესტივალზე. პირველი სარისხის დიპლომი საკავშირო ფესტივალზე, ქ. ჟიკომირში გამართულ საკავშირო კინო-დაოვალურებაზე, „ოქროსი შემოდგომა“ — და დინასურა, სპეციალური დიპლომი მოიპოვა კარგი მონტაჟისთვის.

ამ ფილმის ტიტრზე აღნიშნული იყო მრავალი ქართული ფილმის ოპერატორის ბეჟარ შოშიტაშვილის გვარი, რომელიც მაშინ საადმინისტრაციულ ფაკულტეტის სტუდენტი იყო. ამჟამად იგი თბილისის ერთ-ერთი კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეა.

აღსანიშნავია ფილმი „ოქმი“, რომელიც შექმნეს ვ. აბულაძემ და ბ. შოშიტაშვილმა. იგი ყველაზე მცირე მეტრაჟიანია იმ ფილმებს შორის, რომლებიც კი გადაღებულია პოლიტექნიკური ინსტიტუტის კინოსექციების სექციამი. ფილმის ავტორებმა თვითმოქმედი ხელოვნების

საკავშირო დაფალიერებაზე ლაურეატის წოდება მოიპოვეს. აი, რას ფიქვად ვაზუთ „სარია ფოსტაკაში“ ამ ფილმის შესახებ ჟურის თავმჯდომარე გიოგილ რომაში: „კარგია თბილისელი კინომოყვარულების ნამუშევარი ფილმი „ოქმი“. ეს არის მახელი, გამჭირდავი სატირა, სადაც მტკად გონებამახვილად დასცინიან წარსულის გვეგებანობებს. ფილმი მიმართულია ბურჟუატიზმის წინააღმდეგ, რასთანაც ჩვენ ჯერ კიდევ გვიხდება შესაფერვება შესულებს საინტერესო, ფრადი თავისებური ფორმის მოძებნა და მცირე მეტრაჟში (ფილმი მხოლოდ 3 წუთი მიმდინარეობს) საკმაოდ დრამა შინაარსის ჩასვლა“.

ფილმს „მიღები, მიღები, მიღები“ — საფუძვლად დაედო ლიტვის სახალხო პოეტის ნ. შეველიაიტის შესანიშნავი პოეზია, რომელიც შრომის დიდებას უძღვრის. ფილმის რეჟისორი იყო ვლადიმერ აბულაძე, ოპერატორი — პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი პავლე გორდუაძე.

ჩვენ ვცდილობით გაგვეხსნა შრომის ჭეშმარიტი პოეზია, გვეჩვენებინა იგი მშულამაზებლად, ყოველგვარი გატყვევლი ფეტიტების გარეშე“ — ამბობს ვ. აბულაძე. ფილმი მართლაც პოეტური და მიმზიდველი გამოვიდა, რაც ერთხმად აღინიშნა როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო პრესაში.

ჟურნალმა „ნიკუსტო კინოში“ მაღალი შეფასება მისცა საქართველო კინომოყვარულთა ამ ნაწარმოებს: „ქართული კინემატოგრაფისტთა სურათში თვალნათლივ იგრძობა ჩვენი კინოპუბლიცისტების ის ტრადიცია, რომელიც დაკავშირებულია ძივა ვრტულის სახელთან. ამაზე ლაპარაკის ურთება გვაძლევს მასლის შერჩევას და მიწოდების ორატორული მანერა, არარატვის გამეორებული რიტმი და კიდევ ბევრი სხვა. დაწყებული ცალკეული გადაღებების მიხედვით სხვადასხვაგვარი, ერთმანეთისაგან განსხვავებული მიღებით, ავტორები შემდგომ აღრმავენ თავიანთ აზრს, აფართოებენ რა წარსულის მივლებთანაა წრეს. ასე მაგალითად, ფილმი შედიან: ავტომანქანები, ელექტრომაგლები, შახტები და ფაბრიკები — ერთი სიტყვით, წარმოდგენილია თანამედროვე სამრეწველო კომპლექსით მთელი მრავალფეროვნება, რომლებიც სიმბოლურად მაღლა მიმავალ ფერტიკალურ მიღებს უკავშირდებიან. უსუფეტურობით და „გალქებით“, „მიღები“ რაღაცით მოვავლობებს ლინინგრადელთა „ცოცხალ წყალს“, მაგრამ მათი კინემატოგრაფიული ენა სასებით განსხვავებულია, მე ვიტყვი, რომ არსულიად საწინააღმდეგო. ლენინგრადელთა რიზო ტონს, დაუმთავრებელ თხრობით მანერას უპირისპირდება თბილისელების რიგებულად მკვეთრი მაიორული სტილისტიკა“.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის კინომოყვარულთა მიერ მოპოებული წარმატებები შემთხვევითობაა. ან „როდეს აყოლილი ახალგაზრდების“ წუთიერ გატაცებას, მოდუნდა დაუწყოთ. ეს იყო კინოხელოვნების მიმართ ნამდვილი შემოქმედებითი სიყვარული, რამაც ბევრი მათგანის ბედი საბოლოოდ პროფესიულ კინოს დაუკავშირა. მათ შორის დავასახელებთ ომარ გვასალიას, ლერი თალავაძეს, სერგეი სტარაზოს.

კინოსექციის ნამუშევრებმა კიდევ ერთხელ დაადატურეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა მრავალმხრივი შესაძლებლობები.



მ ს ო ლ ო დ კ ო მ ე დ ი ე ბ ი

აგული დადიანი

სწრაფი კართველი დრამატურ-გი კიტა ბუაჩიძე არსებითად მხოლოდ კომედიებს წერს. წიგნსაც ასეთივე სათაური გამოუქმებია — „მხოლოდ კომედიები“. ამას წინათ ეს კრებული ავტორისეული თარგმანით რუსულ ენაზე გამოსცა მოსკოვის გაბრძენილი „ისკუსტკომი“.

კიტა ბუაჩიძის პოპულარობა მას შემდეგ დაიწყო, როცა მან, ჯერ კიდევ მოსწავლე, მონაწილეობა მიიღო კონკურსში და საბავშვო პიესა „აურიკი რგოლი“ დაწერა. ამ კონკურსში მას გამარჯვება ერგო და კომედია ქართულმა მოზარდ მსყურებელთა თეატრმა დადგა. წარმოდგენას დიდი წარმატება ხვდა წილად.

„აურიკი რგოლი“ სწავლების ახალ მეთოდსა და სისტემაზე იყო შექმნილი — მოსწავლეებს ჯგუფში რგოლებად ყოფდნენ და კლექტორად ასწავლიდნენ. ეს მხიარული კომედიის მტად დადამოკრებელი იყო იმართვის, ვინც ოხნავ მაინც იყო დაკავშირებული ახალი თათბის სოციალისტური სულისკვეთებით აღზრდასთან. ჭაბუკი კომედიოგრაფის პიესაში არ არის მოსაწყენი დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ტონი და მშრალი პედაგოგიური მსჯელობა. იგი ცხოვრობს ენითა და დაწერილი და ძალზე დინამიურია. პიესის ეპიზოდები, დიალოგი თუ სცენური მდგომარეობა მიმზიდველად აშუქებს იმ დროისათვის წამოჭრილ აღზრდის საჭირობოტო საკითხებს.

10 წლის შემდეგ კიტა ბუაჩიძემ უკვე მარჯანიშვილის თეატრს წა-

რდენა ახალი კომედია „მეცარი ქალიშვილები“, რომლის პრემიერაც გაიმართა 1941 წლის 21 ივნისს. დიდი სამამულო ომის დაწყების დამეს. ამ სპექტაკლზე არ დაწერილა რეცენზია, მაგრამ „კომუნისტის“ პირველ გვერდზე მოთავსებული ინფორმაცია იუწყებოდა კომედიის წარმატებას. აბა, მაშინ ვისდა ეცალა რეცენზიის ან სპექტაკლისათვის, მაგრამ მსყურებლები, რომელთა შორისაც ხშირად იყვნენ ფრინტზე მიმავალი ჯარისკაცებიც, ამ მხიარულ კომედიას საიმოხებით უყურებდნენ, სამუდამოდ იმასობრებდნენ გ. შავგულიძის, ა. კვანტალიანის, ს. ფორთოლიანის, ს. თაყაიშვილისა და სხვათა ბრწყინვალე ნიჭითა და სტატბით შექმნილ იერსახეებს. პრემიერა კი ამ კომედიაზე ყველა პიროვნული თუ არა პროფესიული სცენა მითარა საკართველოში და მის საზღვრებსაც გასცა „პროფინციული ქალიშვილის“ სახელწოდებით...

მოსკოვის დრამატულმა თეატრმა „პროფინციული ქალიშვილი“ დედაქალაქის მცხერებულგებას და მის უამრავ სტუდრებს სამბოტოა გადმობის სახალობო არტისტის ი. ჯავახიძის დადგმით გააცნო (წარმოდგენა 200-ჯერ იქნა ნაჩვენები). შემდეგ „პროფინციული ქალიშვილი“ დაიდგა არანაკლესკოში, კრასნოიარსკში... კიტა ბუაჩიძის პიესები წარმატებით იდგმებოდა და იდგმება რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, სომხეთისა და სხვა მომე რესპუბლიკების თეატრებში. ეს სრულიად კანონზომიერ-

რია კიტა ბუაჩიძის შემოქმედებისათვის, მაგრამ სამწუხაროა, რომ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მისი კომედიები არ დადგმულა საქართველოში. ამ პარადოქსალური მოვლენის შემდეგ უნებურად გაგახსენდებათ მისი ორი კომედია „უზოში ავი ძალოლია“ და „ამბავი სიყვარულისა“ (დაიღმა რუსთაველის სახელობის თეატრში. თითოეული 300-300-ჯერ). ასევე დიდი წარმატება ხვდა პიესას — „ოქრო კაცი ბეწვის ხიდზე“ მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. არავის დაავიწყდება კაკი ხორავას სახელობის მსახიობთა სასლში ქართული თეატრის დღის აღსანიშნავ საღამოზე რესპუბლიკის სახალხო არტისტების მ. ჯაფარიძისა და ი. ტრიპოლსკის მიერ წარმოდგენილი ფრაგმენტი ამ კომედიადან. — რამ განაპირობა, რომ თქვენთვის თარგმნით თქვენივე კომედიები რუსულად? თუ არ ვცდები, ეს პირველი შემთხვევაა ქართული დრამატურების პრაქტიკაში. — ვკითხე კ. ბუაჩიძეს.

მეც გვრე მგონია, — მიბასხვა კიტამ, — და შემდეგ... ხანგრძლივი დღეობი ჩამოვარდა, რადგან მასთან შეფედრისათვის მოფიქრებული შეკითხვები უნებურად შეიცვალა.

დილაა. მის სასლში ორნი ვართ. სრული მყურებობაა, ჩემი მიზანია რაც შეიძლება მეტი გავიყო მისი შემოქმედების, წერის სისტემის, გემოვნების, ჩვენების შესახებ, მაგრამ ჩემი ცდა ამაოა. კიტა ბუაჩიძე სიტყვადაც არა და თუ რაზე იტყვის, მხოლოდ სარკაზმით, მრავალმნიშვნელოვნად, გარეგნულად სერიოზული სპიხით, ისე კი იუმორით სასუქ ქვეტექსტებით.

ჩემს შეკითხვაზე დიდხანს ფიქრობს, მერე თითქოს თავის ფიქრებს გაუღიბო... ღიმილით ხვდება ჩემს რუკიკიასა და მის პასუხზე. პასუს კი ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფრაზებით იძლევა. — საერთოდ ყველა თარგმნელ პიესას სხვისი ხელი ეტყობა, ამბობს იგი, — დადნისეული კოლორიტი და ენის აკლდება, ხელოვნურად გაკეთებულს, სხვის ნაწოდელარს ჰგავს.

სიყრდილ დღეობის შემდეგ კიტა ისევ იღობება და დასძინა: მგონი შევიანარუნე ერთეული კოლორიტი, თუმცა დიდ სიძულეებს წააწყვდი. მარტოსის რად ღირს, თუ როგორ ითარგმნა სათაური „ოქრო კაცი ბეწვის ხიდზე“ — «Золотой человек был на волосе» — ასუბოა ზუსტი თარგმანი. მაგრამ «ВНИТ» პირდაპირ ყელში გაემჩნირა, ძლივს

ვიპოვე გამოსავალი. ერთმა ბატარა ტირემ მისხნა და სათაურმაც აღარ დაკარგა თავისი სისხარტე — «Золотой человек — на волоске».

ამგვარად კიტა ბუაჩიძემ რუსულად თარგმნა ქვესი საკუთარი კომედია. აქედან ქართული მაცურებელისა და უფრო კი მკითხველთათვის სრულიად უცხოა „რვა მოქმედი პირობა“, ხოლო „პლატონი“ დადავად ბიბლიაში, მაგრამ მაინც მცირე საზოგადოებრიობა იცნობს. აი, რას წერს ამ კომედიის შესახებ იური გრაჩევსკი, ამ წიგნის წინასიტყვაობაში.

„მკითხველი, რომელიც მოისურვებს ნახოს ამ კრებულში მთავარ როლზე სოციალური სატირის ნიმუში, პირველყოფისა უნდა მიმართოს „პლატონს“, უკვე ამ პიესის სათაური, რომელიც ჩვენი დროის ადამიანის, წარსულში თავისი დიდი სენიის სახელს ატარებს, ანალოგიით ფრთხილ ასხამს ფანტაზიას. აქ საკუთარი სახელი სასუბილად სახელს ემთავრება. ამასთან, მთავარი გმირის „მოლაპარაკე“ პერსონაჟის, ჩვენი თანამედროვის, ფილოსოფიის ლექტიკონის პლატონის გარდა, კომედიაში მონაწილეობენ აგრეთვე უსიტყვო პერსონაჟები, მათ შორის ანტიკური ფილოსოფოსის „ნამდვილი“ პლატონის ბიუსტი“.

ამ კომედიების წაკითხვის შემდეგ ნათლად ვრწმუნდებით კ. ბუაჩიძის ნაწარმოებთა სიკეთის ორიგინალურობაში. ისინი ინდივიდუალურია. კ. ბუაჩიძისთან არ მოიძებნება სხვა ნაწარმოებებიდან ნახსენები ამ გადმობანილი პერსონაჟები თუ მგლობარეობები. მისი გმირები ყველა საკუთარი „ასპირატის“ მქონეა. ისინი სცენაზე პირდაპირ ცხოვრების დინებიდან შემობიან, ცოცხალ და თითქოს ახალდაჩაბულ ძველ ნაცნობებს მოგაკრებენ ძველი თბილისის ქუჩიდან და ახალ-ჩასახლებული სახლიდან. როგორც ეს არის კომედიაში „რვა მოქმედი პირობა“.

კომედიის წინასიტყვაობაში ი. გრაჩევსკი წერს, რომ „ინდივიდუალური ხასიათების შეუცდომელი სიუსუხტე ხასიათთა ტიპოზაციის სწორი გზაა. ეს შესანიშნავი ნიჭი — წარმოვიგისასოს მოქმედი გმირები ნათლად, გამოკვეთილად, და ამასთან ისე გაამახვილოს მივეჭმულის სახის თვისებანი, რომ იგი არა სახედ, არამედ გარკვეულ პორტრეტად წარმოგვიდგინოს — კ. ბუაჩიძის ერთ-ერთი საუკეთესო თვისებაა, და იგი შესანიშნავადაც გამოიყენა, როგორც თვი-

თონ ამბობს, ტრაგია-კომედიაში — „ეუროში ავი ძაღლია“.

აი, როგორ და რა გზით ამგვლს კ. ბუაჩიძე ბოროტებას: იგი ეძებს ადამიანში კეთილ საწყისებს, თუნდაც ფარულს, მაგრამ ყველგან ბოროტულ მისხნებს მათ ქცევაში. ი. გრაჩევსკი დაწვრილებულია, რომ კომედიოგრაფი საფუძვლიანად ღრმად განზოგადებს ცხოვრებისეულ ატმოსფეროს, მოვასსა და ეპიზოდურ პერსონაჟთა ხასიათებს და ყოველივე ამს კლასიკური ტრადიციების შემვრებით აღწევს.

ი. გრაჩევსკი აღნიშნავს, რომ კ. ბუაჩიძეს ახასიათებს საქართველოს ხილვისა და აღქმის თავისებურება. იგი მოელ მის ხალხთან ერთად იცინის, იღიბება, სევდას ეძლევა, იხუზვობს, თავდაჭერილად დასციენის ცხოვრების ნაკლოვანებებს. ამასთან არახილეს და აღქმის თავისებურება. იგი ელვატუცება თავის გმირებს. მის სატირაში არ არის უკმაყოფილების უპასუხისმგებლოდ გამოსატყა. მაგრამ იგი არასოდეს არ არის გულდრძი, გაბოროტებული, რადგან მისი შესხვედულება ცხოვრებაზე ნათელია. ი. გრაჩევსკი თავის წინასიტყვაობაში საზგასმით აღნიშნავს, რომ ოპტიზმიში ქართველი ხალხის ბუნებრივი, ნიშანდობლივი თვისებაა და ბუაჩიძის შემოქმედებაც თავისი არსებითა და სულსკვეთებით ოპტიზმის სურათია. იგი პოეტურია, რადგან მისი სახეები ნათელია და ჭკვიანი, სახარნი იუმორით სურთება. გვიზიდავს უარყოფითი მხარეებისადმი კრიტიკული მიდგომის უნარი.

მკითხველს ამ კრებულში წარმოდგენილი კომედიების წინაარსს არ მოვულობთ. ვინც მისს ხელში აიღებს, თითონვე სამაგრებით წაიკითხავს ექსივე პიესას, არაერთხელ გაიღიბება და არაერთხელ ჩაუფიქრდება წაკითხულს (ქართულად არ არის გამოცემული).

მკითხველსა და ამ პიესების მომავალ დამდგმელთა ყურადღებას მივაპყრობთ თავისი თანამედროვეობისა და თანამედროვე ფსიქოლოგიის იმ უცლიომბელ ცოდნაზე, რომელიც ავტორს საშუალებას აძლევს პერსონაჟები პირდაპირ ნატურიდან წარმოისახოს და ცოცხლად წარმოგვიდგინოს.

როგორ შეიძლება არ დაგამახსოვრდეთ, მაგალითად, პიანისტი მუზა გამრეელი, „პროვინციული ქალიშობილიდან“, მის ულამაზეს ქალად მოაქვს თავი და დარწმუნებულია, რომ შესწევს ახალგაზდა ვაჟების, უპირველესად ყოვლისა კი, დამწყები



პოეტის ნაპოლეონ ჭინჭილივიშვილის მოსიბილა. მუზას სახე თითქოს გროტესკულია, მაგრამ ამასთან იგი ფსიქოლოგიურად ღრმბა. ჩვენ არა მარტო დავცინით მუზას, არამედ თანაგრძნობის ღიმილით ვმობრუნდებით. ბოლოს და ბოლოს გვეცოდება კიდევ ეს ხელმოცარული, მაგრამ გულით კეთილი ადამიანი. მას ხომ არავინ მოუტყუებია და თუ რამეში, ან ვინმეში შემეცდარა, უპირველესად — საკუთარ თავში.

აი, მეორე მაგალითიც — „მკითხავი“ ატიკოვსა კომედიით — „რვა მოქმედი პირობა“. ეს ფიგურაც გროტესკულად ფერებშია გამოსახული, მაგრამ გარკვეულ, მყვირალა ხასიათითან ნათლად გამოსკვივის რბილად, ადამიანური ხასიათი. ანტიოფსათან ახლო გაცნობის შემდეგ ვხვდებით, რომ ეს გულკეთილი ქალი თავისი „მკითხაობითა“ და „წინასწარმეტყველებით“ ცდილობს სიხარული მიანიჭოს, ხვედრი შემსუბუქოს ყველას, ვინც ახასიათებებს. ამასთან უნდა აღინიშნოს კ. ბუაჩიძის ერთი ძვირფასი თავისებურება, ქალთა პერსონაჟისადმი გულსკურითა და სიყვარულით მოპყრობა. ავტორი ქალთა ხასიათებს განსაკუთრებული სიყვარულითა და დიდის ყურადღებით ძერწავს.

საკამარისა და დავუდით, თუ როგორ საუბრობენ მისი გმირები. ყველა მისი პიესისა დიდივე უკუქვლად ცოცხალია, დინამიური, რომელიც მოქმედებას წარმართავს. რეპლიკები მასვილია და ზუსტი, თუნდაც ავტორი არ აძლევს მის პერსონაჟებს ხელოვნურად, უსაფუძვლად იხუმროს და არც აწვიდს მათ საესტრადო რეპორტებს. მისი გმირების შეტყველება მისივე ხალხის ენაა.

იგი ელერს ბუნებრივად. საესეა ხალხური იუმორით, აფორიზმულია და ყოველ კილოში იგრძნობა ეროვნული ელერადობა და ამა თუ იმ პერსონაჟის განუმეორებელი ინდივიდუალობა.


ამ წიგნის გამოსვლით თანამედროვე საბჭოთა დრამატურგიის მდინარებას, კიდევ ერთი ხაკადული შეუერთდა. რუსული თეატრი უმძველად მოგებული დარჩება თუ იგი ყურადღებითა და კეთილი განწყობილებით შეხედავს კიტა ბუაძინის კომედიებს...

მთში არის მთავარი — დიდი ადამიანური სიმართლე“.

ჩვენ სავანგებოდ დავეყრდენით გრაჩესკის შექედვლებებს, რადგან ნიგაჩნია, რომ უცხო თვალი განსაკუთრებით ამჩნევს იმ ყოველივე ღირსება-ნაკლოვანებას, რასაც შეჩვეულნი ვერ ვხედავთ.

ი. გრაჩესკი თავის ანალიზში მიუდგომელი და ობიექტურია. იგი დაწერილია თითქოს კ. ბუაძინის კომედიების ზეგავლენით — თბი-

ლად, ადამიანურად, კეთილი გულითა და სურვილებითაა სავსე. აი ერთი მაგალითი კრიტიკისა, რომლითაც გვინდა დავამთავროთ ეს წერილი: „ავტორს შეიძლება ვუსაყვედუროთ, კრებულის რამდენადმე ერთფეროვნება. ვფიქრობთ, იგი უსაფუძველოდ ისახლვრება განსაკუთრებული, მხოლოდ ქალაქური კოლორიტის შერჩევით. იქნებ „შინაური“ „სტერეოტიპის“ ჩარჩოების გაფართოებით გაიზსნას დრამატურგის წინაშე ახალი თვალსაწიერი!“



ა. სიხაშვილი.

კულაობა.

ს ს რ კ 5 0
ფლისთავისაღმი
ვიკლვნილი
გამოყვანილან

ს. ცინცაძე. სერია — „ჩემი სოფელი“, „კოლმეურნეება“



გიორგი თელია

ზ ე დ ა ზ ე ლ ი ქ ა ლ ი

პიესა 2 მოქმედივად

მოქმედი პირნი:


- ნათია — კომედიანტების თავმჯდომარე.
- ჯურხა — ნათიას ვაჟი, ბრივადირი.
- მათე — მოსუცი კომედიანტი.
- მანანა — ახალგაზრდა კომედიანტი, ცისიას მეგობარი.
- ციხია — სამხატვრო აკადემიის სტუდენტი-დიპლომანტი.
- თედო — კომედიანტების თავმჯდომარის მოადგილე.
- გიგო — ბუღალტერი.
- დათო — საკომედიანტო ღუქის გამგე-გამვიდველი.
- ტატე — ახალგაზრდა კომედიანტი, ჯურხას მეგობარი.
- მამუკა — კომედიანტი.
- ქეთო — მონაგარიშე.
- პელო — გიგოს მეუღლე.
- ეშხა — ორმოც წელს გადაცილებული, უსაქმური ქალი.

მოქმედება პირველი

პირველი სურათი

ფერდობი. ზედ რამდენიმე ზე და ბურჭი დგას. ღამეა. სი-
ლრბეში ფანჯრიდან შუქი გამოკრთის. ხალხის ყრუ ხმაური მოი-
სხა. თედო, გიგო და დათო შემოდინან ალეღვებული სახეებით.

გიგო. (ცხვირსახოცი მოისვს თავზე). ეს რა მოხდა,
გონს ვერ მოგსულვარ! ვინ იფიქრებდა, თუ ნათიას
თავმჯდომარედ დაგვისვამდნენ?
დათო. თავპატივისაც რომ იღებდა, ვერ შევძლებო!



მეთხველს ვთავაზობთ ღრამატურგ გიორგი თე-
ლიას პიესას „ზედაზელი ქალი“.

გიორგი თელიას ნოველები წლების მანძილზე
იბეჭდებოდა რესპუბლიკის თურნალ-გაზეთებში და
გადასცემდნენ რადიოთი. მისი პიესა „ქეშმარიტი ხმა“
ამ რამდენიმე წლის წინ ცალკე წიგნად გამოიცა. იგი
ავტორია რომანის „ოინის ვეება“, რომლის ნაწევებე-
ბი დაიბეჭდა თურნალ „ციხიარში“.

პიესას „ზედაზელი ქალი“ ვ. ი. ლენინის დაბადე-
ბის 100 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხე-
ლისუფლების დამყარების 50 წლისთავის აღსანიშნა-
ვად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი
სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის, კულტურის სამი-
ნისტროსა და საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ
გამოცხადებული კონკურსის თურბომ რეკომენდაცია
გაუწია რესპუბლიკის თეატრებში დასადგმელად.

თედო. იქნებ, გულითაც ამბობდა, ნათია გამოუცდელია,
თორემ განა უჭკუო დედაკაცია!.. კომედიანტობა ჩა-
მორჩენილია, მიწა ჩვენ არ გაგვანჩია და იცის —
მწელი იქნება გამოსავლის პოვნა.

გიგო. საღვინეც რომ მიეზნო?
თედო. გტყობა, ამ საქმეს ფარნამ ბერი სდია, ჯერ რაი-
კომში... ერთხელ მითხრა კიდევ: ეს დედაკაცი საქმეს
რომ გვიწუნებს, იქნებ, სიფლისთვის უკეთეს გამოსა-
ვალს ხედავდესო.

გიგო. ნამდვილად ფარნას ოინებია. სიკვდილის წინ მაგ
სულაძაღლებული ნათიას ისე მიაჩერდა, თითქოს
ავედრებდა, ამთ მიხვდელი.

თ ე ლ ო . ახირებული კაცი იყო და ასეც მოკვდა.
 და თ ო . რა ნახა ამ დედაკაცში, ვერ გამიგია!
 გ ი გ ო . არ მეგონა, ასე უნდაღებოდა თუ მოგვეცოდინენ!
 აგერ ორი-სამი წელია თითქმის თავმჯდომარის მო-
 ვალეობის ასრულებდი. აქეთ სოფელი გათრევედი,
 იქით რაიკოვი ტყავს გაძირდა... ბოლოს სოფელიც
 გავიცი და რაიკოვიც!

თ ე ლ ო . ასე დამიფასეს ამაგი.
 და თ ო . შენი დროც დადგება, თეოდ. იქნებ, შეგებევწონ
 კიდევ... ნათია კოლმეურნეობის როგორ გაუძღვებია?

თ ე ლ ო . მართალია, გამოუცდელია, მაგრამ მიღად გულ-
 უბრყვილო კი ნუ გგონიათ!

გ ი გ ო . მოდა, სანამ გამოიქვეყნა, იქნებ აფურიით თავგეზა!
 თ ე ლ ო . მაგალითად, როგორ!

გ ი გ ო . ახლა როგორ გითხრა, საქმეს მივყვეთ, საქმე გვი-
 ჩვენებს... აქედანვე ჩაიჭირით, თორემ თუ ფეხი მაგ-
 რად მოიკრება, გასაქანს არ მოგვეცემს, მშრალზე დაგვ-
 უყვამს... ჩემს ოჯახს შრომადღებების ანაზღაურება
 ეყოფა? უფროს ვაჟს სახლი უნდა გავუშარიო, უძე-
 როსს „ვოლგა“ მოუძველდა, ახალს თხოვლობს...
 აქეთ ოჯახი, იქით მტერ-მოყვარე... ამ დღემი ხარ
 შენც, დათო.

და თ ო . მართალი ხარ.
 (ნათია დარბაზიდან შექანისლებით გამოაიცილებს).

ტ ა ტ ე . დედა ნათიას გაუმარჯო!

მ ა მ უ კ ა . მომილოცინა ნათია!

მ ა თ ე . ახლა შენ იცი და შენმა ქალბაბამ!

ნ ა თ ი ა . გმადლობთ, მეზობლებო!

თ ე ლ ო . ხედავ, რა ყოფით მოაცილებენ?

გ ი გ ო . ყველა თავის საქმეს იყიბებს და ჩვენც ჭკუას მო-
 ვუბნობს. (ნათიას მიუახლოვდა). სოფლის თავკაცო-
 ბის გილოცავ, ნათია.

ნ ა თ ი ა . ია, შენ კი ვაისარე, ნეტა რას მილოცავ, თავ-
 სატყეს საქმეს.

გ ი გ ო . მაგას რად ამბობ?

ნ ა თ ი ა . სად მე და სად სოფლის თავკაცობა, საამისო რა
 ცოდნა და გამოცდილება მაქვს?

გ ი გ ო . შენ საშუალო განათლებით მაინც ხარ, ფარნას
 არც ვე გააჩნდა.

ნ ა თ ი ა . (წყენით). ვითომ ახლა ამით მაამე? (გასცილ-
 და).

(გიტო თავის მეგობრებთან გარბუნდა).

და თ ო . (ღიმილით). მიუალერსე?

გ ი გ ო . მაგისტოვის ალერსი და წყურთა ორივე ერთია.

მ ა მ უ კ ა . (მათეს). მეგონი, ნათია არ გვიმტყუნებს?
 მ ა თ ე . მართალი გითხრა, ვერასოდეს წარმოვიგინებდი, ნა-
 თიას თავმჯდომარედ არჩევას. იმდენად მოულოდნე-
 ლი იყო, როცა მისი კანდიდატურა დაასახელეს,
 ხალხი შეება კიდევ. მაგრამ, ბოლოს ყველას დაუჯდა
 ჭკუაში. ვფიქრობ, ცუდი არჩევანი არ უნდა იყოს.

გ ი გ ო . (შორიდან პიანინოზე შესრულებული მშობლია მოი-
 სმა, ყველამ განცვიფრებული სახით მიაპყრო სმენა).
 გ ი გ ო . ვე ვინლა?!

მ ა მ ა ნ ა . ცისია ჩამოსულა.

გ ი გ ო . (გამჭირდავი სახით). ფარნას მთელი სოფელი
 მისტირის, მის შეილიშვილს რა ემდებება?!

ნ ა თ ი ა . ეს სიმღერა კი არა, გულდაკოდელი ჭირისუფ-
 ლის ობრება.

მ ა მ ა ნ ა . დედა ნათია მართალს ამბობს, ცისია ხომ ტუ-
 რისტულ მოგზაურობაში იყო მაშინ და თავისი პაპა
 ვერ დაიბარა?
 (მამაკაცებმა, ნიშნად ფარნას ხსოვნის პატივისცემი-
 სა, ქუდები მოხადეს).

ე უ ს ხ ა . ბრა, ტანში სულ დამაზრიალა.
 ქ ე თ ო . მივიდეთ, ნუგეში ვუთხრაო.
 ნ ა თ ი ა . იქნებ, სჯობდეს ჯერ მარტო იყოს, გულ მოი-
 ხოსო?
 მ ა მ ა ნ ა . მარტო ცოლია, მე წავალ მასთან.
 ნ ა თ ი ა . როგორ სჯობდეს.

იგივე დეკორაცია, შორს ციხე-სიმაგრის ნანგრევე-
 ბი მოჩანს, ისმის ჩიტების გალობა. ჩაფიქრებულ
 ჯერხას მანანა მიუახლოვდა.

მ ა მ ა ნ ა . რას ჩაფიქრებულხარ, ჯურხა?
 ჯ უ რ ხ ა . (გამოეჩქვა). ჩიტების გალობამ, აი, ის ხმა მო-
 მაგონა, იმ დამით ცისია პიანინოზე რომ ასრულებ-
 და.

მ ა მ ა ნ ა . (ღიმილით). გეტყობა, იმ ხმამ ძლიერ გავი-
 ტყავა.

ჯ უ რ ხ ა . რა დაგიმალო, მას შემდეგ ის ხმა, ერთთავად
 მიმეძნის.

მ ა მ ა ნ ა . ამ სიმღერას თავისი ახსნა აქვს... ამ რამდენ-
 ნიმე წლის წინ ცისია ავად გახდა. ერთ საღამოს
 ის ცულად შეიქნა, არაგის ვალობამ, დილაძე თუ გააღ-
 წვედა: ყველა შეგშინდით. ერთბაშად, სულთმობრძა-
 ვაგოცდით, გვეგონა, ჭკუედან შეიშალაო, ლარებს
 თითები ჩამოჰკრა და ეს სიმღერა ისეთი გრძობით
 დაამღერა... არა, ეს სიმღერა კი არა... არ ვიცი რა
 იყო... რაღაც სასწაული მოხდა. მომაკვდებოდა გა-
 ცრევილი სახე მოსუფიასეან მობარუნა, ოდნავ გუ-
 ლეობა და ძლიერ გასავიწოვდა წაიჩურჩულა, „პაპა“.

ჯ უ რ ხ ა . უცნაურია!

მ ა მ ა ნ ა . ამ სიმღერას მაშინ, არ მახსოვს ვინ — „ცისიას
 ღიმილი“ უწოდა.

ჯ უ რ ხ ა . კარგია.

მ ა მ ა ნ ა . როცა ცისია მომეზობინდა, პაპა ამღერა, ფირზე
 ჩასწერა და დაკარძღვის დღეს, მისივე ხმით დაი-
 ტარეს.

ჯ უ რ ხ ა . კარგად მოუფიქრებიათ.

მ ა მ ა ნ ა . საწყალია ფარნა. სიკვდილის წინ როგორ ნატ-
 რობდა ცისიას. ერთადერთი შეილიშვილის გარდა
 არაგინ დარჩა და ისიც ვერ დაესწრო მის დასაფლა-
 ვებას.

ჯ უ რ ხ ა . ცისიას აქ არ უცხოვრია?

მ ა მ ა ნ ა . იგი მეტწილად თბილისში, უშვილო დეიდას-
 თან იზრდებოდა. სოფელში ზაფხულობით ჩამოდიო-
 და.

ჯ უ რ ხ ა . რატომ არ მახსოვს სწავლობს სადმე?

მ ა მ ა ნ ა . სწავლობს კი არა, სამხატვრო აკადემიას ამ-
 თავრებს.

ჯ უ რ ხ ა . დიდინებით ჩამოვიდა?

მ ა მ ა ნ ა . დიპლომზე აქ იბრძვებოდა.
 (ჯურხამ ერთი ნაწყვეტი კრინით შეასრულა).

მ ა მ ა ნ ა . (ავიწყდა). რამდენჯერ ვცადე მემღერა, ვერ
 შევძელი. შენ ერთი მოსმენით როგორ?

ჯ უ რ ხ ა . რა ვიცი. თავისთავად.

მ ა მ ა ნ ა . (იგივე ნაწყვეტი სცადა, შეასრულა). მე კი ნამ-
 დილად შენ ანამღერე, ჯურხა, რა კარგია! დღეობდა
 შენს ღიღინს მეც ამ სიმღერით აყვავი. (უცებ და-
 ნახვლიანდა). ქალაქში რომ მიდინარა?

ჯ უ რ ხ ა . მაშ, რა ვენა, არ ვისწავლობ?

მ ა მ ა ნ ა . დედას მარტო ტოვებ? მას უჭირს... აგერ თვი-
 თონაც, როგორ გაიფიქრებელი სახით მიღის... მე წა-
 ვალ, სამუშაოზე დაგავიანე.



ჯ უ რ ხ ა. მეც დამიგვიანდა. (გადიან, ნათია და თედო ლაპარაკით შემოვიდნენ).

ნ ა თ ი ა. ამ ჩაზრებულ ზენა-ბარვის დროს კოლმეურნეები დამბების სამუშაოებზე თუ დავახანდეთ, ბაღენახში აიღდა იმუშავებს?

თ ე დ ი. ხევისწყალი სოფლის ბარაკა და სინოყიერი თუ არის, მისი შიშვე გვექნოდეს, თორემ, თუ ერთი ადითა, ამ შენი კოლმეურნეობიდან ბევრი არაფერი დავრჩება.

ნ ა თ ი ა. ყველაფერს თავისი დრო აქვს, თედო. ზამთარში არც მუშაობს დამბიზოვია და არც მასალა. ახლა უპირველესი სამუშაოები მიხედობაა შესასრულე-ბელი.

თ ე დ ი. დროა დამბების საფუძვლიანი მშენებლობისათვის მოვიცალოთ, ნათია. ერთხელ და სამუდამოდ ორაკვეთი წყალდიდობის მუჩარა... ხომ ხედავ. დროდადრო ჩატარებულ სამუშაოებით არაფერი გამოვიდის! ტყაილია გაჯანინებთ მუშახელს და ამასო ყვერთ მასალას წყალში.

ნ ა თ ი ა. შინ ისეთ პირობებში მაცნება, ვედარაფერი გა-მიკითება, თედო.

თ ე დ ი. მი რა შუაში ვარ? სოფლის ბედი გაცენება ძნო პირობებში.

ნ ა თ ი ა. მე მიჭირს.

თ ე დ ი. ვიცი დი ასევე იქნებოდა, სოფლის გაძლოდა იოლი საქმე როდია!

ტ ა ტ ე. (სინძლით შემოვიდა). ნათია დეიდა. „სოფლ-ტეჩინაში“ მანქანის არც ერთი მთავარი ნაწილი არ აღმოჩნდა.

ნ ა თ ი ა. მა მ რა უნდა ვქნათ?

მ ა მ უ კ ა. (შემოვიდა). ხალხი უნდა მომავილო, ნათია. ახალედ უამინდობის გამო ჯინჯაში ვერ შევიდით. ახლა კიდევ სამუშაო ისე მოხალა, ჩენი ბრიგადა ვეღარ ასდის. არა და, დრო არ ითმებს.

მ ა თ ე. (შემოვიდა). ალატოვმა სამუშაო მიატოვა. ამო-ღენა ფერმის მშენებლობას ერთი კაცი როგორ შევ-ძლებო.

(ქეთო და დათო შემოვიდნენ).

ქ ე თ ი. რაინიგზის სადგურიდან დარეკეს, დეიდა ნათია. სასუქი დღესვე გაიტანეთ, თორემ ჯარიმა ერთიორად გადაგხდებათ.

ნ ა თ ი ა. როგორ მოვიქცე? არც ერთი ავტომანქანა წეს-რიგში არაა.

დ ა თ ი. მე რალას მიპირებ! დუქანი გადახდებოდა, აწ-ვიმს. ქარხნიდან კრამიტი მივითვალო, ცალკე გადა-გაწყობინე.

(ნათია გოგანებული ჩანს. ერთბაშად ნგრევის ძლიერ-ის ხმა მოიხსნა. ყველამ შემოთ მიხივდა).

ტ ა ტ ე. აუ!.. აგურის ქარხანა!

მ ა მ უ კ ა. რა ერთბაშად დამწვავდა, ტეილი!

თ ე დ ი. ძეილი ნავებთან იყო და ვეღარ გაუძლო ამდენ ზეგავებით დატვირთვას.

მ ა მ უ კ ა. ასეთი დიდი ქარხანა მთელს რაიონში არ იყო!

ნ ა თ ი ა. (გაოგანებული). ეს რა მოვივიდა! ამდენ დამკვე-თებს რა სასუქი გავცეთ?.. ბევრმა წინასწარ გად-მოგვირიცხა ფული.

ტ ა ტ ე. ხალხი მივაშველოთ, სასწრაფოდ აღვადგინოთ, დეიდა ნათია.

ნ ა თ ი ა. მეტი, სადღა ხალხი! (სასოწარკვეთით ჩაიკადა თავი, უჩუგოდ დამწვა ლოდზე. თედომ ნათიას მე-დიდური ხასით შექება, გასკილდა. ნათარჩენებიც თითო-თითოდ გაიკრიფნენ. მათე ქაჯზე ჩამოხდა).

მ ა თ ე. (ფრთხილად კვითხება). დაიღალე?

ნ ა თ ი ა. (თავაულებლივ). აღარ შემიძლია.

მ ა თ ე. ჯერ რა გააკეთე?

ნ ა თ ი ა. (შეაკარდა). შენ კიდევ ცეცხლზე ნავის ნუ მის-ხამ! (ანება, მათე დაინახა, უშალ მოლბა). მაპატიე, მათე პაპა.

მ ა თ ე. (გაუღიმა). ხედავ, არ გაპატიეს! დაცემული რომ დავინახე, ზურგი გაქციეს!

ნ ა თ ი ა. მართალი ხარ!

მ ა თ ე. შენ ახლა იმ ადამიანს გაგზარ, საქმე სანუგეოდ რომ გახდებოდა.

ნ ა თ ი ა. მე მიშლს, როცა მიცოდებენ.

მ ა თ ე. არც ხალხს უყვარს, როცა წინამძღოლს ანუგე-შებენ... ნუგეში ეს ხომ იგივე მოწყობება!

ნ ა თ ი ა. ღმერთმა დამიფაროს მასეთი მოწყობისგან.

მ ა თ ე. ვინმე რითით თანასოფელი თუ წაიქება, მიუშვე-ღენიან, წინათყენებ. წინამძღოლს კი არავინ მიხე-დაეს, უბრალო წაბორძიკებასაც არავინ აპატიებს! ასეთია სოფელი.

ნ ა თ ი ა. ვაი, რომ მართლაც ასე ყოფილა!

მ ა თ ე. შენ ახლა მკაცრი სინამდვილის წინაშე დგებარ!

ნ ა თ ი ა. ვიცი და გამოსიბანი ვერ მოიპოვებ.

მ ა თ ე. როცა გულით იგრძნობ, სოფლის ბედი, თუ უბე-ღობა შენზეა დამოკიდებული, გამოსავალსაც იპოვი.

ნ ა თ ი ა. თვითონაც იცი, საქმეს უგულოდ არასოდეს მოვ-კიდებევიარ.

მ ა თ ე. დიდი საქმე სხვა გულს მოითხოვს, შეილო. დიდი გულია საჭირო!

ნ ა თ ი ა. (იშლება თვალთ შეგება მათეს). იქნება მი-თხრა, მათე პაპა, ჩვენი სოფლის ტირ-ვარამს როგორ მოეკლება.

მ ა თ ე. რა ვიცი, მე აბა როგორ ვითხრა!.. (ყალბონი მოსწია, გაბოლდა და დუმბლის შედეგ გახანგრძობ). ერთხელ სოფელს მტერი შემოესია თურმე. ჩვენები ერთი ათთან აბა რას გააწყობდნენ და ავი, იმ ციხეში შეიკეტოლან. (მითითა). ურჯულთები გალანანს შე-მორჩებიან, იმ ვარაუდით, სურსათი შემოიღვეთ და დატყენებინათ. მართლაც, სიმაგრეში სახელდახე-ლიდ შეხილული სანოვავე ხიზნებს როდემდე ვყოფო-დათ? ბოლოს, ციხიდან ჩქამიც არ ისმოდა... ჰოდა, მტერს რომ ვეინა, ახლა კი ნამდვილად ჩვენს ხელთ არიან... დასე მათ გაოცებას!.. ჩვენები გალანის ქონებურებზე უცნაური მორთულობითა და ნიღბებით გამოირჩებიან და ყაენის ნიღბისან ისე უწამწურად აშანიბდნენ, მტერს სარდალს აღშფოთებით წამოუ-ძახინა: თუიუ იშმას! ეს რა ხალხია, ამათ ვინ მოუ-რგავო!.. ალყა მოიხსნია და უკან მოუქუსლიათ... (წა-მირი დუმბლის მტრედგ). იმ ვერანებმა რა იცოდ-ნენ, ჩვენები მტერს დასანახად რომ ხარხარებდნენ, შიშილით დახოცილ თვანიან ცოლშვილის ვაგებზე უღლიოდ ეცემოდნენ!.. თუ გამოვირბო, რა ძალა ყო-ფილან, სულთმობრძათ სიკვდილზე რომ გამარჯვე-ბინა, მაშინ მიხვდები, კიდევ, სოფელი რას უშენებან! (ყალბონი გაბოლდა, ნელი ნამოჯებით წვიდა. ნათია ანთებული მწერა გააკოლა).

ნ ა თ ი ა. თითქოს ახლა დაიბადეთ!.. მან რალაც სასიკე-თო მანიშნა!.. დიდი ამზავი გამოვიდა მოთიხრო!.. მერე, შეგლებ ამოქსნა იგი? (დაფიქრებული აჰაბა ნილიკს. ერთვან შერქება, ხროის გახება, სყენის სიორხის მოყოლარა, ისმის ქალების სიკულ-კისკისი).

ქ ე თ ი. (გარედან). მანაა!

მ ა მ უ კ ა. (გარედან). მოვიდვარ.

(მანანამ შემოიბრინა, ქეთომ სიცილით შემოსიდა, უკან ეშხა შემოქვება).



მეხ. რას გარბინართ, გასაწყვეტლებო!
 ქეთო. მამ ჯურხას შენთვის, მიყვარხართ, არ უთქვამს?
 მანანა. არა, ჩვენი ამ სიმღერით, თავისთავად ახლერ-
 დი უფრო გრძობა... მას შემდეგ მიხარია, თუ
 დარდი მაწუხებს, ამას ვიმღერი და ჯურხას თუ მის-
 წვდა ჩემი ხმა, ამ სიმღერით გავმშინებავა.

ქეთო. რომ არ გაეცემინათ?
 მანანა. რას ამბობ, ცუდად მაქვს ჩათქმული. (ბეჭობ-
 ზე შევავა... ციციას ღიმილი! ამოიმღერა. შორიდან
 ჯურხას იმავ ნაწყვეტით გაეცემინა. მანანა კმაყოფი-
 ლებით გაიხადრა). აჰა, ხომ ვთქვი!

მეხ. ბებია, მართლა ყვარებინარ! ჩემს ქალიშვილობაში
 სულ ასეთ სიყვარულზე ვოცნებობდი, მაგრამ ვინ მა-
 ღირს!... ის კი არა, ერთ მამათ საღამოს, ახლად
 დანიშნულს სიძე ბატონი კირილე რომ მესტუმრა,
 ჩემთან საუბარში საქმზე ჩამოვიდა.

ქეთო. ასეთი უყურადღებო საქმეროს როგორ აპატიე,
 დეიდა ემსა!

მეხ. პირაქეთ შემომედავა, შენმა ეშხმა დამართო და
 დამაბინაო! (იციინან).

მანანა. შე კი მგონია, ტრფიალის ემში უფრო აფხიზ-
 ლებს ადამიანს!

მეხ. გამოსცადე ხომ?! (ისევ იციინან). მთლად მისი
 ბოლოც კი არ ყოფილა. მამინ დაბალი წნევა ქონია
 თურმე კირილეს!

მმ. (გარედან). მანანა!

მანანა. წავედი, შეძახინა!

მეხ. ჩემი სიყვდილი, მეც რა უსაქმურივით შეფრჩი
 თქვენთან, ბებია! (გაღიან, ლაპარაკით შემოდინან თე-
 დო და გიგო).

თედო. ეგ დიდკაცი ამ ბოლო დროს ხრიოკის მხარეს
 ისე გაოგნებული დაეხეტება, ეტყობა, ჭკუსზე ვერ
 არის.

გიგო. ჯერ სად ხარ, ცოტაც დაიცა!

თედო. სულ დაიხანა ეგ უბედური და მგონი მალე აუ-
 გებთ წებს.

გიგო. როგორ?

თედო. წათხას მდინარის სანაპიროების გამაგრების მიმ-
 დინარე სამუშაოებზე კი, იმთავითვე წყალში ჩაყრილ
 შრომად მიაჩნდა. ახლა, ისედაც თავგადასხვეულს დამ-
 ბების მშენებლობის წამოწყება ისეთი დიდი მასშტა-
 ბით მოეთხოვე, გაგიცადა ქალი.

გიგო. დამბებისაო!

თედო. დამბების დიდი მასშტაბით მშენებლობა დიდალ
 სასხერტას და მუშახელს მოითხოვს. თანაც ეს სოფ-
 ლის საკონსტრუქციო საკითხია. ნათიას უყურადღებო
 აქეთენ თუ მიგვიქცით, მოსავალს ვერ მიიღებს, ვე-
 რაფერის გაანაწილებს და სოფელსაც ბეჭე არ უნდა.

გიგო. ბებოს, ეს რა კარგად მოგიფიქრებია.

თედო. აი, სად უნდა ვუყულოთ. (ფერდობს მიეფარნენ,
 ლაპარაკით შემოდინან ნათია და მანანა).

ნათია. მიწა საკმარი არ გავგანიაო, წუნდა ფარნა. ჩვე-
 ნი ვენახის ფართობები ხუთიოდე ჰექტარს ძლიერ
 შეადგენს, მაგრამ ლეინოს ხვანჭკარასა და ქინძმარა-
 ულზე ბევრად უკეთესს ვაყენებთ. ეს ამ მზისგული
 მიწის მადლია. ჩვენი სოფელი ყველაზე მაღალზეა
 და შეიძლება „ზედაზე“ ამიტომ შეარქვეს, ხოლო
 ჩვენი მიწით გალადებულ ვაზს „ზედაზე“ უარაო.

მანანა. მართლაც.

ნათია. ვიფიქრე, ხრიოკი გამებტება.

მანანა. ხრიოკი?!

ნათია. ჰო, ისიც მზისგულიაო, მაგრამ მათემ არ მირ-
 ჩია. ნიაყის მხარეა და მიწა მწირი... მე ამ მიწი-

ნებამ მამწვე ჩამაფიქრა. იქნებ, ჩვენი სოფლის ბუ-
 ილბალს მართლაც ხრიოკის პირქუში ზედაპირი უე-
 რებოდეს?!

2.

ნათია კაბინეტში, გაშლილ ქაღალდებს დაჩერებია. თენდება.
 შემოდის ჯურხა.

ჯურხა. აჰა ხარ?

ნათია. დედა მოგიკვდეს, როგორ მიტოვებული მყა-
 ხარ!

ჯურხა. შენ რაღაც გვიჩირს.

ნათია. შერე გამიგებ კი?

ჯურხა. ასე რატომ შელაპარაკები, დედი?

ნათია. წასასვლელად რომ მოემზადე?

ჯურხა. ეს შენი სურვილიც იყო, უმაღლეს სასწავლე-
 ბელში შეგსულიყავი.

ნათია. იყო, მაგრამ წელს არ ხერხდება.

ჯურხა. ისედაც რამდენი წელი გამიგებ?

ნათია. ეს ერთი წელი ჩემთვის დამოქ... რომელ დედას
 არ უნდა შევილო უმაღლეს სასწავლებელში ჰყავდეს;
 მაგრამ რა ქენა!.. სოფელი მერღო... მე კიდევ ფარ-
 ნას დროინდელს ერთი გოჯითაც ვერ გავცდი... დე-
 დამეინი ორცეცხლშუაა, ბიჭო! ჩემი მართო დატოვება
 ახლა შეუძლებელია. (გარედან ლაპარაკი მოისმა.
 გაიხედა). ახლა თათბირი მაქვს. შენ წადი. არ მინდა
 თქვენ, შვილი აქ იმედად უხსიო. (ჯურხა გაღის. შე-
 მოდინან: თედო, გიგო, მათე და სხვები). დასხედით.
 აი, რაგონ დავიძახეთ, მუხომბედი. (გაუბედავად
 ჩვენ ძნელი სამუშაოები მოგველის... კაბინეტებიდან
 გულხეკავის საქმეს არ მოვეცდით. (შეჩერდა). კაბი-
 ნეტები გავცდენს... ჩვენი ამოდენა ოთახებს ვაც-
 დნებ. სოფელს კიდევ სკოლის შენობა უჭირს.

მათე. გაიხარე, შვილო!

გიგო. მათეს იამა.

თედო. მათე რას კარგავს.

ნათია. მაგალითად, მე ამოდენა ოთახი მაქვს თავისი
 მოსაყვდელით. ეს ორი ოთახია.

თედო. შერე ორ ოთახში მოთავსდება რვაწლიანი სყო-
 ლა?

ნათია. ორი დიდი ოთახი კიდევ გიგოს ბუღალტერიას
 უკავია.

გიგო. ეს ნამდვილი აღმოჩნდა.

თედო. ჩემი კაბინეტი ხომ არ დაგაიწყება?
 ნათია. სათვალავშია... სათვალავშია პარტიული ორგა-
 ნიზაციის მდივნის კაბინეტიც და ამ შენობის ყველა
 ოთახი.

თედო. შერე ჩვენ რას გვიპირებ?

ნათია. (თავის კაბინეტზე). ავირ ამოდენა ოთახი.

თედო. ყველა ამ ერთ ოთახში?
 ნათია. რა გავივირდა!

გიგო. შენც აქ იქნები?

ნათია. რა თქმა უნდა.

თედო. ეს ხომ კოლმეურნეობის საქმიანობის შეზღუდვაა.

ნათია. წამხდარ საქმეს კაბინეტიმ ჯდომით ვერ შეე-
 ღლიან.

გიგო. სანაგაროშობების გამაგრებულ ხმაურში ხელი შე-
 გეგმობა, ვერ იმუშავებ, ნათია.

ნათია. შე თუ ავიტან საანგარიშობების კოტეჯის ჩხა-
 კუნს, მენ რა გავუხებს?

თედო. მაინც არ მესმის, ერთ ოთახში როგორ უნდა მოე-
 თავსდეთ ყველა.

ნათია. ამოდენა დარბაზში რვა მაგიდა ვერ დაიდგმება?
 თედო. რვა კარადას რაღას უშვები?

ნათია. ამდენივე კარადა შეიძლება არც იყოს საჭირო... მაკალითად ამ წიგნის კარადას თავისი წიგნებით ბიბლიოთეკას გადავცემ.

თედო. პროგრესულად აზროვნებ, ნათია!
გიგო. (დამყნავეი ტონით დასძინდა). პრაქტიკოსი შექნილობა.

თედო. ნუ გეწყინება და შეიძლება იმდენიც არ გესმოდეს, რომ ვე კარადა საჭიროა აქ იდგეს.

ნათია. მეც ვიცი, რომ მეცნიერი არა ვარ და კაბინეტში წიგნების საკითხავად ვერ მოვიცლო.

თედო. მაგრამ კარადა წიგნებით კაბინეტში მაინც უნდა იდგეს, წესია.

ნათია. რას უბახვი წიქს? (წამოდგა, კარადა გამოალო, ომბრდებული წიგნი გამოიღო). ეს არის წიქსი? ენ კითხბულია ამ წიგნებს. (თედოს). შენ, გიგო თუ მისი მონაგარიშვებ?

გიგო. გიგოს და მის მონაგარიშვებს მოვეყმი... ჩვენ ჩვენიც გვეყოფა.

ნათია. რატომ წაახდინეთ ხალხს ქონება!.. ეს ხომ ჩვენი ნაყოლია რის შექნელი?

გიგო. ეს წიგნები, რაც თავი მასსოვს, ასე აწყვიტა კარადაში და შენ რა... ახალი რეგულიცა გინდა მოახდინო?

ნათია. აი პასუხი!
თედო. რა, არ მოგეწონა?

ნათია. (გიგოს). ეს წიგნები დღესვე გადავიცი ბიბლიოთეკას თავისი კარადით.

გიგო. ასე ზეპირად?

ნათია. დაგიწერ. (წამოდგა). აი თათხი... აირჩიეთ, ვის სად გასეთ მოთავსდეთ. (გავიდა, გაყვან სხვებიც).

გიგო. ხედავ, რა გვიყო?
თედო. ამაჰ კი აღარ მოველოდი!.. ამდენ ხანს ამაოდ არ დუმიდა თურმე.

გიგო. შორიდან დაიწყო.

თედო. ნამდვილად. ეს ნაბიჯი მას ტყუილ-უბრალოდ არ გადაუდგამს. ეტყობა რაღაცას აპირებს.

გიგო. ეტყ შენი უნიათო ნათია.

თედო. მართალი ხარ. მის წინააღმდეგ ბრძოლა არც ისე ადვილი იქნება, ჩვენ რომ გვეგონა. საჭიროა რაღაც მოეფიქროთ.

გიგო. ემ თუ თავემდომარედ დარჩა, სოფელში აღარც გვედგობოდა.

3.

პირველი სურათის დეკორაცია, მანანამ სიცილით შემოირბინა.

მანანა. (გაძახა). გამოიპიჯე, რა მოგდის, გოგო!
ცისია. (შემოვიდა). ისე დახტებინარ, ვინ დაგეფიქრა.

მანანა. რამდენი ვიცი, ნეტა საწყენი არაფერი შემიხდეს!

(ბულბულის გალობა მოისმა).

ცისია. რა ჯადოსნური ხმა!
მანანა. ეს ხომ ბულბულია!

ცისია. ვიცი.
მანანა. აბა, პირველად ენახე, პირველად ვისმინო?

ცისია. პო, თითქმის აჭაური ვარ და ჩემი სოფლის ეს სილამაზე ჯერ არ მინახავს!

მანანა. ხომ დახატავ?
ცისია. მე ამისთვის დიდი ხანია გეშადავბი.

მანანა. ჩვენც ხომ დაგეხატავ?... თუმცა დღესაც ტყუილა გატარე. მაგრამ ისეთ ბრიგადაში მიწყავარ ახ-

ლა, უკმაყოფილო არ დამჩრებში... ბრიგადირიც მშვენიერია.

ცისია. იმ ბრიგადირს ხშირად ასხენებ და როცა კი ასხენებ, თვალები უტყულოდ გიბრწყინებს.

მანანა. აბა რა დავიბოლო... მისი სახელი მართლაც უჩვეულოდ მაღლებებს... წავიდეთ, გზაში გიაბობო... მენი ბრიგადა ამ გორაკს იქით მუშაობს.

(ქეთო შემოვიდა).

ქეთო. მანანა, ნათია დედა დაგეძებს. შენს ბრიგადაში სტუმრები მიყავს.

მანანა. საიდან არიან?
ქეთო. უცხოელები არიანო, გასაწყვეტლები.

მანანა. რას ერჩი, ქალო?
ქეთო. მგათ გულსთვის ისე დავეცი, ძლივს დაგეღვარ.

მანანა. ნათია დედა სად არის ახლა?
ქეთო. შენთან რაც გამოგზავნა, კარგა ხანი გაგიდა და რა ვიცი, სად იქნება ახლა. (წავიდა).

მანანა. წაივლი. წამოხვალ, ცისი?
ცისია. რე შენ წავალ.

მანანა. მარტო როგორ წახვალ?
ცისია. რევი იმავ გზით, როგორც მოვედი.

მანანა. ტყეში ბევრი ბილიცია. თუ აგვრია...
ცისია. არ დავინებე... სოფელი შორს არ უნდა იყოს.

მანანა. მის წინ ამ გზას დაადექ, უფრო მოკლეა.
(მანანა წავიდა. ცისია ბილიცს გაყვავა. ბულბულის გალობა მოისმა).

ცისია. (თავისთვის). რა მშვენიერია! (შედა. უსმენს. ბულბულს სტვენითვე გამოაჯაგრა. მოპირდაპირე მხრიდან მომავალი ჯურხა ლოდს იქით შეერდა).

ჯურხა. (თავისთვის). არა, ჯ სხვა ხმაა. (ლოდს შეუმჩვევლად გამოსცდა). ქალი ყოფილა! იქნებ ცისია არის! (მოეფარა, „ცისიას ღმილილს“ ერთი ნაწყვეტი დაუსტვინა).

ცისია. (შეერთა, მთრთოლვარე ხმით). ვინ ხარ გამოცლი, მეშინია?

ჯურხა. (ნელი ნაბიჯებით მიუახლოვდა). ცისია?

ცისია. თქვენ, ვინ ხართ?
ჯურხა. მე ჯურხას ვეძახიან.

ცისია. ჯურხას?... მე საიდან მიცნობთ?
ჯურხა. ფანაა პაპას საწოლთან სურათი ენახე თქვენი.

ცისია. ეს სიმღერა საიდან იცი?
ჯურხა. ერთხელ, გვიან ღამით, პიანინოზე უკრავდა გიდაც... მთელი სოფელი განაბული უსმენდა... მაშინ თქვენს, ამ ხმით ცისია თავის პაპას დასტირისო.

ცისია. რა კეთილი ჩანხართ და როგორ შემაშინეთ.
ჯურხა. მე კიდევ... უცხო ქალი ტყეში მარტოდ რომ დაგინახეთ, მოჩვენება მეგონეთ.

ცისია. (ღიმილით). თქვენც შეშინდით?
ჯურხა. გამიკვირდა, აქ როგორ მოხვდით!

ცისია. თქვენ დაგეძებდით.
ჯურხა. (გაკვირვებით). შე დაგეძებდით?

ცისია. პო, მანანა და მე... შინ დაბრუნება მარტოს მომიხდა და გზა ამერიდა.

ჯურხა. გზას მე გიჩვენებთ. (წავიდნენ. ფერდობს იქითა მხრიდან მომავალ ქეთოს წინ ეშხა შემოხვდა).

ეშხა. მანანა სად არის, ქალო?
ქეთო. მანანა არ სცალია.

ეშხა. არ სცალია და მრანდებოდეს. გახედე ჯურხა ვის მიყვება.

ქეთო. ცისია?!
ეშხა. ახლანდელი მამაკაცებისაგან სიმღერით თქმული სიყვარული კი არა, ნატარუსით დამოწმებული ქორწინება არაა დასაჯერი.



ქეთო. ჯუხხა ცუდი ვაეი არ უნდა იყოს.
 ეშხა. ნათიას ჯიში კარგი საიდან უნდა იყოს!
 ტატე. (შემოვიდა). ეშხა, გოგოებს რომ ადევნებინარ, ვითომ შენც სამუშაოდან მოდიხარ, გოგო, არა?!

ეშხა. ახლა გოგოც ვარ?
 ტატე. როგორ ვინდება გაწმენა, პირდაპირ პუდრის კოლოფზე დასასტი ქალი ხარ.

ეშხა. შენთან ლაპარაკს რომ გკადრულებ, პუდრის კოლოფზე კი არა, მალე გოდორზე დასასტი შევიქნები.

ტატე. ევექ იქნება, ნათია დედა შენთვის ისეთ გოდორს ამსადებს, ეშხა! (წავიდა).

ეშხა. ეშხამ გიტირა შენ და ნათია ორივე. (გარედან ისმის ახალგაზრდა გოგოების სიცილე-კისკისი).

ეშხა. ავერ მანანაც!

ქეთო. ოგი მეგობრებს გამოეყო, ჩვენსკენ გამოიბნის.

გარედან. მანანა!

— პაუ, საით გარბინარ!
 — ტყუილი ვაძიბი, ვერ გაგონებ!
 (მანანა შემოირბინა, ჯურხას სიმღერით გასძახა. პასუხი ვერ მიიღო, სიმღერით სამჯერ მოინაცვლა ადგილი, არსაიდან ხმა. ბოლოს მთელი არსებით ამღერდა. შორიდან ერთბაშად ჰიანრივე შესრულებული „ციხიას ღიმელი“ მოისმა).

მანანა. (შეკრთა, თავისთვის). ეს რა ხმაა! ვინ ჩამიჭრა დათქმული ნიშანი? ნუთუ შენ, ცისი? მერე ეს რას ნიშნავს? (გარეთ გაიჭრა).

ქეთო. რა მოუვიდა!

ეშხა. მე მიკითხები? უპ, კაცები გაწყვიტა გამჩენმა... დავუვინებთ, ადელევილია, თავს არაფერი აუტებსო! (მანანა დადევნებენ. თედო და გიგო ლაპარაკით შემოვიდნენ).

გიგო. რაც უფრო ვუფიქრებდი, ბოლმა უფრო არ მასვენებს... ეს როგორ გამოგყარა ამ დედაცაცმა კაბინეტთან!

თედო. ისე სიმართლე მის მხარეზეა. მან სკოლის შენობის სივიწროვე მომიხეზა, ჩვენი კაბინეტები დაუთმო და სოფელი მომიმადლიერა. ნამდვილად კი გამგებობაში ბუნავი მოგვიმალა. ძირი შეგვირყია.

გიგო. რა გქვია, დავდგეთ და ველოდით, ვიდრე სამუშაოდანაც არ გავყვარის?

თედო. მანამდე არაფერი ჭამოს.

გიგო. ვერაფერი მოიფიქრე?

თედო. დედამაც ვუფიქრობ და დამბების მშენებლობაზე უფრო საფუძვლიანი მიხეზი ვერ მიპოვნია... ამას კი ვერც უსწევს... ესაა მისი ყველაზე უფრო სუსტი აგრი. სოფლისათვის, მოგესხნება, ეს გადადებები ის საჭეა და ხალხი მხარს დაგვიჭერს. მაგრამ მასალა და მუშახელი იმ ოდენობით, მე რომ მიწოდოდა, ჯურჯურობით ვერა და ვერ დატყუებ.

გიგო. ავერ თვითონაც, ხედავ, ხროტივე დასეტყება. ნეტა რას აპირებს, რას ფიქრობს ამდენს?

თედო. დათოს გაგუართო. ამ ბოლმინა გულზე თითო შეავსო.

გიგო. ეს კი ურიტო არ იქნება. (გავიდნენ. გარედან ხმაური მოისმა).

- ცოცხალი ხარ, ბიჭო?
- ვადარჩა!
- ფართილად ატარეთ.

ნათია. (შემოვიდა). რა ამბავია?

მამუკა. (ფერდობს უკანა მხრიდან გადმოვიდა). სისო მეტონის ფიცრებს აცლიდა. ერთი ყურე ფუტქვემ ჩაქედა და წვიგი მოიტყნა.

ნათია. (გასძახა). ტატე, გალმა გაიქე, და ჩემი მანქანა სასწრაფოდ გამოიყვანე.

ტატე. (გარედან). ახლავე, ნათია დედა.

ნათია. მეტონი რამ ჩააქცია?

მამუკა. მთელი ის მხარე უვარგისი ცემენტითაა ნაგები!

ნათია. უვარგისი რას ეძიხა?!

მამუკა. ძალა რომ გამოეღვავა და არ დაიჭერს.

ნათია. ძალაგამოეღულ ცემენტს მშენებლობაზე რად ხმარობთ?

მამუკა. რა ვიცი... ძალა აქ გამოეღვავა, თორემ თედოს სახლის კედლებს ისე იჭერს, ზარბაზნიც ვერ დააფრეხებს.

ნათია. სად არის ახლა თედო?

მამუკა. რა ვიცი... დღითი ერთი კი დაგებდა და მერე უკარ გვინახავს. (მანქანის ხმა სულ ახლოს შეწყდა).

ნათია. აბა, ფრთხილად აიყვანეთ, ბიჭებო!

4.

საკოლმურნეო დუქანი. ერთ მხარეს პატარა ფიცრულის კაბინა. მაკავასთან მხდარ, შუარხოზოვულ თეოსა და გიგოსთან მავაგებადამეფული დათო დგას. რომელიღაც სიმღერა დაასრულეს ახლახან.

გიგო. იფ, მართლაც კარგად გამოვივიდა.
 დათო. მოილოხნითო, თქვენს ჭირიმე. განა მეროდაც მოვალე ამ ქვეყანაზე.

გიგო. დარდიან გულზე ზოგჯერ ლხინიც კარგად გამოვვდის.

თედო. ენახათო. ხეალ როგორ მიოლხენ. დილით, ნათიას თათბირი აქვს.

დათო. არ მოგწყინდეთ ამ დედაცაცზე ლაპარაკი?

თედო. მოდამი ახლა ეს დედაცაცია.

დათო. ხეალ სხვა იქნება, მაგისთვის ხასიათს რად იფუტებო.

გიგო. შენც მოგწედეა.

დათო. რაც წაილის, დაიკვებო.

თედო. (გაეღიმა). ჯერ ახალგაზრდა ხარ, დათო.

დათო. ქეფი გრძელდება... თითვე შეესვთ, ამ ჭიქოთ, მოდი ჩვენს ქვეყანას გაუმარჯოს. პატარას, კობტას, შემეღულ... ძია გიგო, თედოს შეუძვე ჭიქა.

გიგო. (ბოთლები მოსინჯა). დვინო აღარ გვქონია, ბიჭო.

დათო. ამ წუთში. (დახვში გავიდა).

გიგო. (კაბინაზე დამეფული ფარცა გადასწია). პურიც მოაყოფე, დათო! (ნათია შემოვიდა, ვიგომ უმაღვე მოაშვა ფარცა).

თედო. რა მოვიდა?!

გიგო. ნათია შემოვიდა.

თედო. დაგინახა?

გიგო. თვალები მგელივით დაქაჩა... დადუძახათო.

თედო. რას ამბობ, სუფრაზე კი მოვა არასტუთო.

გიგო. ჩვენ მაინც ვთხოვთო.

თედო. თავს გაიწუბო.

გიგო. მერე რა მოხდა. (წამოღდა).

ნათია. (ქეფობთ, დათო?)

დათო. (პური დაჭრა, აიხედა). ნათია დედა!

ნათია. ამოდენა გაყვავი დახლომი რომ დგახარ და პურს ანამცეცებ, მენახები, ბიჭო!

დათო. (დაიბნა). აქ კარგად ვარ, ნათია დედა.

ნათია. იქ, ვაჯაკური საქმე უფრო მოვიხდებო... შენს მხარბეჭვს, მონსა და ლაზათს აქაურობა არ შეგვის, დათო.

გიგო. დათოსაც მოსოდ. (კაბინიდან გამოვიდა, ნათიას

მიუხატოვდა). მე და თედო სამუშაოდან დადლილ-
ბი მოვიდოდით. დათოსთან პურის ჭამა მოვიგინა და
შემოვიარეთ.

ნათია. შეგერგოთ.
გიგო. სამივენი ვთხოვთ, თუ შეიძლება სუფრა დაგვი-
ლოცო.

ნათია. (წამიერი ღუმლის შემდეგ). რატომაც არა.
გიგო. (კაბინაში შეუძღვა). მობრძანდი.
თედო. (წამოდგა). აგერ, აქ დაბრძანდი.

ნათია. დასაჯდომად სად მცალია. —
და თო. (ბოთლებით ღვინო შემოიტანა). ნათია პატარა
ჭიქა დაუღვა. ნათია დედა, შენ ეს პატარა ჭიქა.

გიგო. (ჭიქა აუვსო). დაილოცე, ნათია.
ნათია. (ჩაის ჭიქაზე მიუთითა). ეს შემივსეთ.

გიგო. აი ვერ... მადლიანი დედაცაი ხარ! (საყვ ჩაის
ჭიქა მიწროდა).

ნათია. ჩვენი წინაპრები მტერს რომ დამარცხებდნენ,
ლხინს იხილდნენ თურმე, გამარჯვებას ზეიმობდნენ-
ნო!.. ახლაც ასეა... მაგრამ მტერი მარტო თოვლი შინ
მომხედურნი ხომ არ გეჩინა? ყოველი დაუმთავრე-
ბული, ან გადაღებული საქმე მტერია ჩვენი... შები
ოფლით მოწვეულ ჭირნახულს რომ ხედავ, გინახარ.
შენით სიკვებს რომ არაფერი უშავდება და პირიქით,
შენი სიკვით ყველა მადლიერია, გემღერება კიდევ
და წუთისოფლის მადლიც ამას ჭიქია. თქვენ პურის
ჭამას თუ ეს მადლი ახლავს, გაგიძარჯოთ! (ჭიქა და-
ცალა. ყველა სახტად დარჩა, ერთმანეთს გაკვირვე-
ნით გადხედეს). ჰო, მართლა, იმ ბიჭისა რა იცით,
როგორაა?

თედო. რომლის?
ნათია. აი, სოსოსი... დღეს დამა ფეხქვეშ რომ ჩაქვცა
და ქვეშ მიიყვლია.

თედო. დამა ჩაქვცა?!

5.

პირველი სურათის დეკორაცია. ერთგან თედო და გიგო
სხედან.

გიგო. (გარეთ იხედება). ნათია ისევ ხრიოკზე დახე-
ტება.

თედო. ვე დედაცაი შინ როდის შედის, ვერ გამოვიას!
(მათე, მამუკა და ტატე შემოვიდნენ).

ტატე. (გიგოსკენ ნაბიჯი წარსდგა, მიამერდა). აუ!
გიგო. რას დამძახი, შე უპატრონო!

ტატე. უნამ შემოვთვალა, ცოლს თუ გაყვრები ახლა-
ვე, დაუფიქრებლად, გამოვყვებით.

გიგო. აქედან დამყარე, შენ კრეჭია, შენ.
(ნათია და მანანა შემოვიდნენ. ჯურხა უკან მხრი-
ნად გადმოვიდა ფერდობზე).

ნათია. კარგია ჯრთად მოვიყვითათ თავი.
ტატე. შუადღის შესვენება კოლექტიურად ვისურვეთ.

თედო. გავიგო, ორმოცდაათი ჰექტარი ყვინის გატეხის
გეგმა მოვიდაო.

მამუკა. ოოო! ეს სახუმარო საქმე როდია!
გიგო. მერე ვინ გეხუმრებდა.

მათე. გაგიჭირდება.

თედო. გასაჭირს გავუძლებდიო, შესაძლებელი რომ
იყოს. მიგზში ისე ვართ ჩაჭვდილი, ორმოცდაათი
მტკაველი ყვინის გამოძებნაც კი საეჭვოა.

მათე. შენ რას იტყობ, ნათია?
ნათია. ორმოცდაათი არა, მაგრამ ასი ჰექტარი კი ნამ-
დვილად უნდა გაატეხოთ.

მამუკა. რა თქვი, ნათია?

გიგო. აღარაფერი მესმის.

თედო. ეს ნამდვილად სიცივეა.

მათე. მერე სად ვეძიეთ ამოდენა ყვინი?

ნათია. საქებარი რაა, როცა ამოდენა ხრიოკი ზედ სო-
ფელს ძვრის.

გიგო. აბა, ესეც ახალი! (ხმაური).

თედო. მეც მათქმევინეთ.

გიგო. თედოს მოუყვინეთ, ამხანაგებო!

თედო. ხალხნო, მე როგორც ვატყობ, ნათია რაღაც ოე-
ნებას გაუტაცნია. გაუგია, აქო და ყვინის ათვისება
მოდამია და არც აცვია, არც აცხელა — ჩვენი სოფ-
ლის თავისებურების გაუთვალისწინებლად, სახსრე-
ბის, მუშახელისა და სხვა საშუალებების შეუსწავლე-
ლად, ხრიოკის ჯოჯოხეთური საშუალები გამოიგო-
ნა... ხრიოკის დამუშავება შესაძლებელი რომ ყოფი-
ლიყო, ჩვენს მამა-პაპებს ვინ დაასწრებდა!.. კაცი შეი-
ძლება შეცდეს, მაგრამ შენი გეგმა შეცდომა კი არაა,
სოფლის უფუდურება და იცოვად, რაც ამათ დაკოე-
როლ ხელგას შეუქმნიათ, მისი განადგურების ნებას
არ მოცემენ!

— მართალია!

— სწორია!

(ახმაურდნენ).

გიგო. დააყავით, ხალხნო!

თედო. ჩვენ ბევრი ვივაგალახი გადავიტანეთ, გვეყო.

— მართალი ხარ, თედი!

— სწორია!

— მართალია!

(არ ცხრება ხმაური).

ნათია. (მათეს ნელი ნაბიჯებით მიუახლოვდა). მათე
პაპა, შენც თქვი, მართალიაო?

მათე. ჰო, ვთქვი.

ნათია. მერე, ასე გჯერა?

მათე. აბა სიმართლეს, საით წაუხვალ?

ნათია. გახსოვს, რომ გკითხე, სოფელი რას უშენებია-
მეთქი?

მათე. მახსოვს.

ნათია. შენ მამინ ჩვენი მამა-პაპათა გმირული მაგალი-
თი გამოცანად მიიხატო.

მათე. იმ მაგალითს, აქ რა ხელი აქვს?

ნათია. იმ მაგალითით შენ მანიშნებდი: დამიანს რა
შავი დღეც არ უნდა ედგას, თუ მოინდომა თის
დალაწვესო!

მათე. (ფიქრის შემდეგ). ჰო, მართალია!

ნათია. ჩვენს სოფელსაც უჭირს... სახნავ-სათესი არ
გვყოფნის. ჩვენს სოფელსაც კიდევ ისეთი მხნეობა
მართებს, როგორც იმ ჩვენმა მამა-პაპებმა გამოი-
ჩინეს... სხვა გზა არაა... წინაპართა მაგალითი თუ
საკუთხნად გვაქვს, რატომ არ გინდათ შთამომავლო-
ბამ ჩვენც კარგად მოვიხსენიო!

თედო. ხრიოკის ათვისებით გინდა შთამომავლობამ ტკი-
ლად მოიხსენიოს? მათი ვის გაბარევენ ხომ ხე-
დავ, მავ შენი წამოწყებისათვის თვითონ შენს მრჩევლს
მათესაც კი აღარ სჯერა!

(ისევ ხმაური).

ნათია. ხედურთა ხვანჭკარასა და ქინძმარულზე გა-
ცილებით უკუთვსიაო, ამბობენ მცოდნენი... ამ ღვინოს
ჩვენი მაგალითი მიწა იძლევა მსოფლიო, მაგრამ მე-
ტად ტუნწად, და ისიც ასეთ მცირე ნაკვეთზე... რა-
ტომ არ გინდათ, მიწა გამოვუქმებნით, მოვაბრავ-
ლოთ ეს ძვირფასი ვაჭი?... ტურისტული მოგზაურო-
ბა ახლა ყველასათვის ხელმისაწვდომია. ხომ შეიძ-



ლება, რომელიმე ჩვენგანი ამერიკაში, ინგლისში ან სხვა სახელმწიფოში მოხვდება? იქაურ რესტორანში ჩვენი სოფლის დენარა, ჩვენი მოწვეული ზედაზურა რომ ნახთო, არ გაიხარებთ?!

ტ ა ტ ე. დეიდა ნათია მართალია!

მ ა თ ი ა. ამ რამდენიმე წლის წინ ფარნამ გულისტკივილით მოთხრა: იქნებ, ხრიოკის პირქვესი ზედაპირი გადაფარვია ჩვენი სოფლის ბედ-ილაპოსი!

მ ა თ ე. ეს შენ მოთხრა, მაგრამ არ უფრო?

მ ა თ ი ა. მე კი ამ მინიშნებამ დამაფიქრა... თვის არ შეგაწყნო, ზედაზურას ნაკვეთით, მარტომ, ურუმრად რის ვაიგვალახით ვავთხარე ვეება ორმო, როგორ ამოვაცქე იგი ხრიოკიდან ტომრით მოზიდული შიწით... მასზე სამი ძირი ნერვი დავარგე. მესუთელ წელს სამივემ ნიშანი მომცა. ახალი ნერვის ყურძნის გემოსა და ფერს ზედაზურასაგან ვერაფრით გაარჩედილი. მე ეს ძანანას ვუამბე.

მ ა ნ ა ნ ა. მართალია, დეიდა ნათია. (ველავ ხმავრი).

თ ე ლ თ. ეგ თუ აშკარა ტყუილი არაა, ამოდენა სოფელში მანანაზე უფრო გამოცდილი ვერავინ ნახე?.. არ დაიჯერო, ხალხნი, მანანა ცრუ მოწვევა!

მ ა ნ ა ნ ა. (წამოიჭრა). როგორ გეპარება, ძია თელო!

თ ე ლ თ. ბოლოში, მანანა... შენი ბრალი კი არ არის, შეილო, არ ეწოწმები და საქმეს ჩავიშლის, რძლად არ წაიცივანს.

მ ა ნ ა ნ ა. (შაკარად). ძია თელო! (ატირდა, დაჯდა).

მ ა თ ე. გრცხვენოდეს, თელო!

თ ე ლ თ. მე რატომ? მას გრცხვენოდეს, ვინც აშკარა ხიფათის უმზადებს სოფელში. (ველა შეიმუშნა, ნათია არ დაიბნა).

მ ა თ ი ა. მაშინ ამ ხიფათის პირველი ჩემი შვილი შეებმება. (მანანა შეერთა, ყველამ ჯურხასკენ მიხვდა).

ჯ უ რ ხ ა. (წამოდა, თეთის მწერალად შეხვდა). სიცოცხლეს არ დავიშურებ, ოღონდ კი სოფელს გამოვადგე. (გავიდა).

მ ა ნ ა ნ ა. მექ!

ტ ა ტ ე. შექ!

(ნათია გავიდა. უკან მიჰყვები: მამუკა, მანანა, ტატე).

მ ა თ ე. იქნებ მე ვცდებოდეთ!.. ნეტა კი ასე იყოს! (გავიდა).

გ ი გ თ. მაგრად მოვიდა საქმეს ხელი.

თ ე ლ თ. ხალხი ყრუდ რომ ახმავრდა, ხომ არ გგონია, ნათიას გეგმა მოიწონეს!.. ჩვენს სოფელს კარგად ვიხსენებ... ისინი ახლა „ბოსას“ და „არასას“ შორის დგანან და სულ მიკრე მიზეზისა საჭირო ნათიას რომ მიემზრონ, ან განუხე გაუდგინენ... ხვალ ან ზვე, ხრიოკს მანქანები თუ მიუსია, იქაურობა სახეს იცვლის და ხალხს მეტეც არ უნდა... ეს რომ არ მოხდეს, რაღაც უნდა ვიღონოთ.

გ ი გ თ. მაგალითად, რა?

თ ე ლ თ. საქმეც გვაა, რა... ამ დილით, ხრიოკის მოსასწორებლად გამოწერილი მანქანების ქირას გადაგარეცხვინებს...

გ ი გ თ. (რამდენიმეჯერ დააყვინძა). ეს ოხერი გრიპი საიდან შეგვიყარა!

თ ე ლ თ. (აღტაცებით). ჩინებულა, გიგოვ, ჩინებულა!

გ ი გ თ. რა ჩინებულა, გრიპი?!

თ ე ლ თ. ეს გრიპი კი არა, პირდაპირ მირონია, ჩვენი მხსნელი. საკმარისია ერთი კვირა იყვე... უფროდ გადარეცხვები არ გაკეთდება. მამასადამე, მანქანებ-

საც ველარ დავეიქარებთ... ნათია კიდევ მაღლა უსაგმოდ არ გაჩერებს, ხრიოკს წერაგვეპოთა და ბარნიშებით მივუგეს... ლოლვე წერაქვის ცემით ფერდები რომ ჩაეღლევაბათ... გესმის რას ვამბობ! (წამიერი დღობის შემდეგ). მაგრამ ანით ვითომ გამოგვივარაბე?

გ ი გ თ. რა ვიცი... კარგად ჩაუვკვარდეთ. (ქეთო შემოვიდა).

ქ ე თ თ. დეიდა ნათია სად არის?

გ ი გ თ. დეიდა ნათიას აღიუტანტი როდის ვიყავი?!

ქ ე თ თ. სასწრაფო დებემა, ძია ვიგო, და იმიტომ გეკიხებო.

გ ი გ თ. ვინ მოუკვდა?

ქ ე თ თ. კი არ მოუკვდა... მექანიზებული ფერმის მოწყობილობის ღირებულება სამი დღის ვადაში თუ არ ვადროიხებო, მოწყობილობას სხვაზე გავყვივო! (გიგოს ზედოხედ სამჯერ დააყვინძა).

თ ე ლ თ. ადე, წამო... გეტყობა მაღალი სიხვე გაქვს... რადიომ გადმოსცა, ქალაქში ვიურუსული გრიპით ხალხი იხილებათ!

გ ი გ თ. მართლაც ძალიან ცუდად ვარ.

თ ე ლ თ. (ქეთოს). გაიქე, ნახე ნათიას მანქანა თუ დგას. (ქეთო გავიდა). აპა ძმოს!.. დღერთმა თქვა ხელი გაანძრე და მოგეხმარებო... უკეთეს შემთხვევას ვერც ვინატრებდით... სამი დღით გადარეცხვა რომ შევარტოთ, ფერმის მექანიკური მოწყობილობაც იკარგება... ეს იმას დაემატება და... აბა სწრაფად წავივლეთ. ნათიამ არ მოგვეხაროს! (გავიდა. ქეთო და ეშხა შემოვიდნენ).

ქ ე თ თ. ნეტა სად წავიდა ეს ქალი.

ე შ ხ ა. სადმე იქნება გასული. ბერა... ჰო, იმას გელოპარაკეობდი, გოგო, ეფროსინე ნამეტანი კარგ ბედში ჩავარდა. ფულიანი და სერიოზული ქმარი შეხვდა.

ქ ე თ თ. ერთი მასაც ჰქვითეს!.. ჩემი ქმარი ლოგინიაც ისეთივე სერიოზულია, როგორც ცხოვრებამო.

ე შ ხ ა. დედა, ჩემი სიკვდილი... ქმარს მაგ როგორ დავხრახება!

ქ ე თ თ. რა ვიცი... ეფროსინე უკმაყოფილოა.

ე შ ხ ა. ქმარმა ოღონდ ფულით მოიტანოს და არასერიოზული მამაკაცების მეტი რა მოიძებნება ქვეყანაზე... უი, ნათია მოდის, წავიდა. (გვერდის კარიდან გავიდა. ნათია შემოვიდა).

მ ა თ ი ა. გიგო სად არის?

ქ ე თ თ. გიგომ ავად ვარო და შინ წავიდა.

მ ა თ ი ა. რა დროს ავადმყოფობა... ხელმძღვანელები შევაწუხებ... მანქანები რამოდენიმე დღით ძლივს დამითმეს და...

ქ ე თ თ. (გააწყურება). დეიდა ნათია... კიდევ მოვიდა დებემა ახლა სხვა მანქანების შესახებ. (მიაწოდა).

მ ა თ ი ა. (გამოართვა, კითხულობს). აპა, პოტის გველირსა... ფერმის მოწყობილობაც მივიღეთ!.. ამ წუთში გადავარეცხოთ.

ქ ე თ თ. გადავარეცხვებ ბუნაკები და ბეჭედი გიგოს რაინის სალაროში აქვს ჩაეკელი.

მ ა თ ი ა. მერე, ვერ გააღებ?

ქ ე თ თ. გასაღებები თან აქვს წაღებული.

მ ა თ ი ა. ახლავე მანქანით წადი... თხოვე რამოდენიმე წუთით მოვიდეს და ისევე მანქანით გაგვუშვებ შინ.

ქ ე თ თ. მაღალი სიხვე თუ გქნა?

მ ა თ ი ა. გასაღებები გამოვატანოს.

ქ ე თ თ. თუ არ მუნდო?

მ ა თ ი ა. თავის დედაკაცს ხომ ენდობა... გამოვაცილოს. (ქეთო გავიდა. მკირე ხნის შემდეგ დათო შემოვიდა).



და თო. რაზე მეძახი, ნათია დეიდა?
 ნათია. გახსოვს მე და შენ რომ ვილაპარაკეთ, დათო? -
 შენისთანა ვაჭაკები წწორედ ახლა მჭირდება.
 და თო. მერე, იქ?
 ნათია. იქ ლუკას ვადაიყვანე. ცალფეხა კაცია.
 და თო. მართლა ლაპარაკობ?
 ნათია. სასწოროდ სად მცალაი!.. ბრიგადას ჩავაბარებ.
 ორმოცი კაცის უფროსი იქნები.
 და თო. უფროსობა მეჯავრება, ნათია დეიდა. რაც თავს
 მოვსწარი, დუქანში ვმუშაობ, ჩემი ხელით მოვა-
 წყმი ყველაფერი, შევეიჩი იქაურობას.
 ნათია. ეს საქმე უკვე გადაწყვეტილია.
 და თო. ასე იოლად ეს საქმე არ გადაწყდება. (ქეთო შე-
 მოვიდა).
 ქეთო. გიგო ძიამ ავადმყოფობის ფურცელი მიჩვენა და
 მიითრია: ავადმყოფს ხომ ვერაფერს დამავალბებინო.
 ნათია. გასაღებები ხომ წაითლია?
 ქეთო. გასაღებებს მამაჩემიც რომ გაცოცხლებს, იმასაც
 არ ვანდობო.
 ნათია. ხომ არ შეიშალა... თავისი დედაცაი რატომ არ
 გამოვაყოლა.
 ქეთო. ჩემს ცოლს ამ ბოლოს დროს გასაღებები კი არა,
 სამი ბატიც არ ენდობათ... დამელოდეთ, მუდამ ავად
 ხომ არ ვიქნებიო.
 ნათია. აყელამ იცოლებს, საქმე არავის არ დაელოდება.

6.

ოთახი. ეელშეხვეული გიგო ტახტზე წევს. მისი მუხალზე
 პელო თერმომეტრის ხელში აბრუნებს, უშვებს.
 გიგო. რას აჯახირებ მაგ თერმომეტრს, დედაკაცო?
 პელო. რა ვქნა, ოცდაათქვამზე აგრადუსზე მეტს არ
 უწევნებს.
 გიგო. მეტი რაც არ მაქვს, რა უნდა უჩვენოს!
 პელო. მამ რას მათამაშებ, შე გულგაწყალებული! სხვა
 საქმე არ მაქვს?
 გიგო. მე ნათიასაც კი ვათამაშებ, შენ ვინდა გამხდლი!
 (ვეტომანქანის ხმა გიგოს სახლთან შეწყდა, პელომ
 გაიხედა).
 პელო. აბე, თუ ათამაშებ, ვერ დაგეხსა თავს?
 გიგო. წელანაც კი იყო, მაგრამ მა წაილი!
 პელო. ახლა თავად ნათია გეახლა მთელი ამალით.
 გიგო. (სამანი წაიხურა). მართლა, დედაკაცო!
 პელო. გინა მარტო ნათია, მიიღი ბრიგადა მოუყვანია.
 გიგო. ბრიგადას რა საქმე აქვს ჩემთან?
 პელო. თუ, ქა, შენს „შეკას“ ემსაქებივით დასკვიან და
 მოათრევენ ეგ გასაწყვეტლები!
 გიგო. რომელ „შეკას“, რას ამბობ, ქალო!
 პელო. რომელსა და აი, კაბინეტში რომ გედგა, რკინის.
 გიგო. სალაროსას?
 ნათია. (ვარდნად). შეიძლება?
 პელო. (პირი გაუღო). მოზრძანდი, ნათია.
 ნათია. (შეშოვიდა). გიგო, მემდურია აბათო, ავადმყოფს
 შინაც რომ არ გაძლიერ მოსცილებას.
 გიგო. არა, მაგრამ...
 ნათია. ბოდიშს ვიხდი, მაგრამ რა ვქნა... საქმე სასწრა-
 ფოა და უშენოდ კიდევ არ ვთვობ.
 გიგო. (ღიმიან). მე... ახლა მალალო სიქმე მაქვს... ჩე-
 მი... ახლა... (რამოდენიმე კოლმურჩნემ რკინის ღი-
 დი სალარო შემოიტანა, გიგო გაშრა).
 ნათია. ავადმყოფი რომ არ შეუშუდეს, სალარო სა-

სთუმალთან დაუდგით. (სალარო გიგოს სახეზე დადგინდა)
 თან დადგინდა. შენ მხოლოდ სალარო ვაგადეგ გი-
 გო, გადარიცხვებს მონავარიუმ ვაგინებებს.
 გიგო. მე ავად ვარ და შემიძლია არ დაემორჩილო.
 ნათია. მაშინ მე იძულებული ვიქნები შენი ხელმწიფა
 გააკეთებ ბანკში, რათა საქმე არ ჩაყვებო.
 გიგო. (ნათიას ბოლოთ შეხედა, ბალიშის ქვეშ ხელი
 შეჰკო, გასაღებები გამოიღო, სალარო გააღო).

7.

ფარანს ბინის ოთახი. კედლებზე ფერწერული ტილოები
 აქილა. ცხისა პიანინოს უკრავს. იქვე მანანა და ჭურბა დგანან.

ციცისა. ეს იყო ჩემი ადრინდელი გატაცება... მაშინ ბუ-
 ნუნას მყუდროებაში მისძობდა რაღაც ფარული, უბე-
 ზესი სხემი... ადამიანების გარეშე მეჩვენებოდა იგი
 დიდი... ასე უღაბრულად სხედვდით ალბათ ცხოვრე-
 ბისაც... მაგრამ ქვეყნის სხვადასხვა მხარეში მოგზაუ-
 რობთან დამარწმუნა: ცხოვრება ღამისი სიმღერა კი
 არ ყოფილა თურმე!.. (დაკრა შეწყვეტა, წამოდგა,
 ერთ-ერთ ფერწერულ ტილოს მიუახლოვდა). სახალა-
 დე წიოდა ქარი... ბუკი ირეოდა... საცურად მივჩრე-
 იყო სივრცე და ტყაპუტეგადაცმული, ზურგზე მძიმე
 ტვირთობლებული ადამიანები წინ მიაბიჯებდნენ...
 მძლავრად მოქმედი თოვლის კრისტალები სახეში
 სცემდათ. წინ სვლის ნაცვლად ნაბიჯებს ქარი უკან
 აღმეგვინებდათ... ადამიანები მაინც წინ მიაბიჯებ-
 დნენ და უკი იცით სად? უკიდურეს ჩრდილოეთში!..
 მე ვნახე გიგოს სანაპირო ფსკერს ღრბად რომ ბურ-
 ლანდენ, იქედან რომ წყალს ტუმბავდნენ, ბეტონის
 ასსამდნენ, კომპლესს აგებდნენ... მე ვნახე, თვალმოდ-
 გამ კლდეებს შეჭიდებულნი. ქვესკნულის საიდუმლოე-
 ბის მძიბებელი, სივრცეების დამპყრობი ადამიანე-
 ბი. მათი განსაკვიფრებული საქმეები და ვიგრძენი
 ადამიანის გონების საოცარი ძალა!.. ვაივებ რა ქვე-
 ცხოვრება... ახლა სივრცისთვის მართლული საგალობელი
 მხოლოდ ადამიანთა შეუპოვარ მოქმედებაში მეს-
 მისი!.. ის რაც მოვიყვებით, ცალ-ცალკე ჩავსვით და
 ფეიქტობ გამოვიყენო ჩემს იმ კომპოზიციურ სურათ-
 ში, რომელსაც „ცხოვრება“ მინდა ვუწოდო... (გაუ-
 ლიმა). მზონი გადავჭარბე... მეტისმეტი გულახდი-
 ლი ვარ თქვენთან!
 ჯურხა. გულახდილობა კეთილშობილებათაო.
 ციცისა. მე კი მგონია, შენი ფიქრი სხვამ არ უნდა იცო-
 დეს... რა საჭიროა წინასწარი თქვა ის, რას გააკეთებ...
 რომ არ გამოვივიდეს?
 ჯურხა. ისეც კარგად თქვით. მაგრამ არ გეთანხმებით.
 ციცისა. როცა მიხარია, სალდე ზომიერების გრძობა
 შოლატობს. ზოგჯერ, ბევრს ვლაპარაკობ და მერე
 ვნანობ... რა დიდებული რამაა ზომიერება!.. მე მგო-
 ლი, სიზრძნესა და სისულელეს შორის არსებულ მიჯ-
 ნას, მხოლოდ ზომიერების გრძობა უნდა ერქვას...
 არც ახლა მეთანხმებით?
 ჯურხა. მინდა სულ გისმინო... თქვენ მტანდ ძუნწად
 მეტყველებთ და გული მწყდება.
 ციცისა. (სიკლით). ახლა ნამდილად გადააჭარბეთ!
 ჯურხა. ერთხელ კიდევ რომ დაუკრავდით.
 ციცისა. (ღიმილით). ისეც შემაქებდით, არა?
 ჯურხა. არაფერს ვიტყვი.
 ციცისა. მეც მაქვს თქვენთან სათხოვარი. ჩემი ფერწერ-
 ული ტილოს მთავარი ფიგურა მინდა თქვენ იყოთ.

შეგიძლიათ დამდოთ პატივი, ივლით ჩემთან?
ჯ უ რ ხ ა. სიამოვნებით.
(ცისია ისევ პიანინოს მიუჯდა, უკრავს).
მ ა ნ ა ნ ა. (თასისთვის). რა ბედნიერი ხარ შენ, ცისი!..
მე არასდროს მინახავს ჯუღბას თვალები ასე ანთე-
ბული... იგი შენი მორჩილია და მე კი ჩემდ ვთვლი!

მ ო კ მ ე დ ე ბ ა მ ე ო რ ე

8.

პირველი სურათის დეკორაცია. გარედან ისმის მანქანების
გუგუნო, რახრახო. იგრძნობა, ფერღობს იქით მიწის დიდი სამუ-
შაოები ტარდება. მხარზე ძვალეინგაღებულ ჭურხას გვერდით
მანანა მოჰყვება.

მ ა ნ ა ნ ა. მარტო რატომ აყირავებდი ამოდენა ღლოს?
ჯ უ რ ხ ა. შენთვის სულერთი არაა!
მ ა ნ ა ნ ა. ასე რატომ ამბობ?
ჯ უ რ ხ ა. გინარია, შინ რომ დადგერი, არა?!

მ ა ნ ა ნ ა. რატომ გგონია?!

ჯ უ რ ხ ა. შენ არა ხარ გულწრფელი ჩემთან.

მ ა ნ ა ნ ა. შენი სიკეთე რომ მახარებს, იმიტომ?

ჯ უ რ ხ ა. მერე სად ჩანს? პირიქით, რაც მე მახარებს,
შენ გახალღიანებს, გაიასად ვინ იცის კიდევ რა გა-
მოტყუებდა და გამოდის, უსწარავლი უნდა დადგერი
საერთოდ.

(ფერღობს მიეფარნენ. ტატე შემოვიდა. ძვალეინი
მისის დაღო, მათე შემოიკვია).

ტ ა ტ ე. მგონი, ცუდი საქმე არ კეთდება. დიანახე, რო-
გორი შავი მიწა ამობრუნდა?

მ ა თ ე. მე კი მგონია, რაღაც დიდი, სამვილიშვილი რამ
წამოთრეყვით და თან შიშით მაქვს. თუ ამ ხრიკს ეს
მადლი ქონდა გულში ჩაქრული, როგორც მიწის
ივრბეში ჩანს, ჩვენმა მამა-პაპებმა რატომ ვერ მია-
გინეს!

ტ ა ტ ე. მიწის სიღრმე მანქანებმა ამოატრიალეს, მათე პა-
პა. მამაპაპული მართი და ნიჩბით რას მიაგებდნენ?...
გახდებ იმ ნახრიკალ ფერღობს? ჯურხა იქ ვენახის
გაშენების ფიქრობს.

მ ა თ ე. ვნახოთ რა იქნება.
(მხარზე ძვალეინგაღებული მამუკა შემოვიდა).

ტ ა ტ ე. სად წახვედი მამუკა?

მ ა მ უ კ ა. ნათიამ გამეზახება, ლუკას სასწრაფოდ მივემე-
ღეთ.

ტ ა ტ ე. როძულ ლუკას.

მ ა მ უ კ ა. ჩვენს ახალ მეღუქნეს, დათოს მაგერი რომ მუ-
შაობს.

მ ა თ ე. რა მოუვიდა?

მ ა მ უ კ ა. მანქანიდან ღვინის კასრის გადმოღობისას ფეხ-
მა უმტყუნა თურბე, გვერდზე გადაქცეულა, კასრი
კედელს მიხეთქებია, გამკვდარა და მთელი ღვინო და-
ღვრილა.

მ ა თ ე. უ, შე რა მოსვლია!

ტ ა ტ ე. სად იყო დათო!.. თხუთმეტ ფუთიან კასრს მან-
ქანიდან ისე ჩამოიღებდა, როგორც ლიტრიან ბოთლს.

მ ა მ უ კ ა. დათო ხომ დღეობდა სვამს.

ტ ა ტ ე. როდის არ სვამდა?

მ ა თ ე. მაგრამ მთვარლი არავის უნახავს.
(ქვშა შემოვიდა).

ტ ა ტ ე. მანანამ დამიბარა, ეშხა დეიღამ თუ მიციხოსო,
კითხე რა უნდაო.

ე შ ხ ა. ისეთი არაფერი. გადაამყიდველს რალაცებე ია-

მოუტანია და მინდობდა გამყოლოდა.
(ნათია შემოვიდა).
მ ა თ ი ა. მანახასთან რა საქმე გაქვს?
ე შ ხ ა. პირადი არ შეიძლება?
მ ა თ ი ა. პირადი საღამოს, შინ მივაითხე.
ე შ ხ ა. რა მოხდა, ბეჩა. ციხეში ხომ არაა!
მ ა თ ი ა. ხალხს ნუ მიცდევ.
ე შ ხ ა. ბეჩა...
მ ა თ ი ა. (გააწყვეტია). ბეჩა არ უნდა მავას.
ე შ ხ ა. ბეჩა, ამისთანა გაცხოვრება? (გავიდა. გარედან
ცისისა მთვარლი დათოს შევახილი, მარბაცით შე-
მოვიდა).

და თ ო. ევე!
მ ა თ ი ა. რა დღეში ხარ, ბიჭო, არ გრცხვინია?

და თ ო. რის უხდა მრცხვინოდეს, გავფლახებ, მეჭვამე რა-
მე, თუ რა!

მ ა თ ი ა. რას გიუტობ. ბრიგადას რატომ არ იბარებ?

და თ ო. ღმერთმა შენც შეგარცხვინოს და შენი ბრიგადაც.
მ ა თ ი ა. დაფიქრი რას ჩადიხარ, დათო!.. შენ ხომ
ცილოშვილი გყავს!

და თ ო. ჩემი ცილოშვილის მტერი შენ ხარ!

მ ა თ ი ა. სატომ, შვილო, რა დავუშავებ!

და თ ო. არ იცი, რა დავუშავებ?

მ ა თ ი ა. ხედავ ხრიოგზე რა ხდება, დათო?... აქ შენისთა-
ნა ვაჭაყავსა საჭირო.

და თ ო. მიმიფურთხებია შენი ხრიოკისათვის. (წავიდა).
მ ა თ ი ა. (მიახას). ინახე, დათო!.. დაჭირებდა კოლ-
მეურნეობა... თელი არ დაგინახავთ, ხალხბო!

ტ ა ტ ე. თელი დამებზე მუშაობს.

მ ა თ ი ა. ეს კაცი მასხარად მივებო?! (გავიდა. მათე გა-
ყვია, ტატემ ღლილი გარეთ გაავარა. თელი და გიგო
ლაპარაკით შემოვიდნენ).

გი გ ო. წყალწაღებული ხავეს ვეიღებოდა. ისე გამოგ-
დის?!

თ ე დ ო. დღეს შენ სხვა ხარ, გიგო.

გი გ ო. დღეს შენი ნათიაც სხვაა. იგი ხვალ, ან ზევ არც
ერთს არ დაგვენდობს!.. რაღაც ისეთი მოიფიქრე, ამ
დღედაც რომ მოვერიოთ და შენთან ვარ... დამბე-
ზე სოფელი მუღამ მუშაობდა. ახლა კიდევ უფრო
დიდი მოსულებით ვმუშაობთ... მერე რაა!.. ამით ნა-
თისა რას დავუშავებ?... ჩვენი თვითონვე არ მჭერა.

თ ე დ ო. აქამდე როგორა გჯეროდა?

გი გ ო. მგონია, უეცო სოფელს დედაკაცთან გვეკონდა საქ-
მე და ვფიქრობდი, სულ უბრალო მიზნითაც კი რა-
ღაც სულელურში გამწოვიყვრდით... მაგრამ იგი სხვა
აღმორჩნდა... ქალს, რომელმაც ოცყოფითანი რკინის
საღორი მინ მომიტანა და თავისი გასაკეთებინა, რო-
მელსაც ამოდენა ხრიოკის ამბობებზეა გადაუწყვე-
ტია, ამ უსუური ჩხირკველეობით გინდა მოერიო?...
მე მემინია, გაბოროტებამ იმ კაცს არ დაგავსეგუ-
სოს, ქარის წისკიელებს ხმლით რომ ჩეხდა და ფე-
ნა... ამით ავაკცობაზე იმარჯვებ!

თ ე დ ო. გვიკენურად სჯი, გიგო, მაგრამ სულელურად არც
მე მივიქრია... დამბების მშენებლობა ჩვენივეს ახლა
საბაბია. მიზნები კი ნათიას ჩახასიათებ... იგი კერძი
და თავის ნაწუქვანს დედაკაცია... აი, რის იმედი
მაქვს... ნათიას დამბების მშენებლობაზე ლაპარაკიც
კი ავიტებს... მე ეს გავუგე და არ ვუსყენებ; ვადმიხა-
ნებ. მას ახლა ორი გაშისფალი გარჩნია: ან უნდა
დაგვეთაზნებოს მშენებლობა რომ გავაგროძლოთ, ან
სრულებით უნდა შეწყვიტოს: ჩვენ ორივე ვეაწყობს.

გი გ ო. როგორ?

თ ე დ ო. თუ დაგვეთანხმა, ისე მოვეუღოთ მას, როგორც

საჭიროა. მშენებლობა თუ შეწყვიტა, სოფელს აიხვე-
დრებს... ჩვენთვის ორივე ხელსაყრელია.
გ ი გ ო. აგერ, თითონაც. (მიეფარნენ).
ნ ა თ ი ა. (შემოვიდა, გასასხა). ტატე, ავტომანქანები ჯერ
არ მისულან, შეილო?

ტ ა ტ ე. (ფერდობს იქითა მხრიდან კადმოვიდა). არ ვი-
ცი, არ დანიანახავ, ნათია დეიდა.

ნ ა თ ი ა. ნეტა რად დაავიანეს, ხომ არაფერი შეემთხვათ?
ტ ა ტ ე. ამოდენა ფერმის მოწყობილობას სანამ გამოს-
წოდდნენ, დაუდებდნენ...

(მორიდან ქალების შეკითხვება მოისმა).
ნ ა თ ი ა. სუუუ!... საიდან ისმის?

ტ ა ტ ე. ზემოთა უბნიდან უნდა ისმოდეს... წავიდე, გავი-
გო (გავიდა. მცირე ხნის შემდეგ მამუკა შემოვიდა).

ნ ა თ ი ა. რა კვიელი იყო, მამუკა?
მ ა მ უ კ ა. ვერ გავიგე. ერთი შეკვივილეს და მერე ალა-
რაფერი ისმის.

ნ ა თ ი ა. რა გაგვირგვბია, მამუკა?
მ ა მ უ კ ა. ხრობალი გამომოვიდა, ნათია, სამიოდე ფუთი
უნდა გამომიწერო და საბოლოო განაწილების დროს
დამიკეთო.

ნ ა თ ი ა. გასანაწილებელი ხრობალი სადღა... ამ წლის
მოსავალი მთლიანად გავციეთ შრომადღებზე.

მ ა მ უ კ ა. წინათ ბევრად ნაკლები ჭირნახული მოგვყავდა
და უფრო მეტი ნაწილდებოდა... ახლა ბევრად მეტი
მოგვყავს და უფრო ნაკლები ნაწილდება... ეს როგო-
რაა, ვერ გაივია!

ნ ა თ ი ა. წინათ ამოდენა ხარჯებიც არ გვექონა, მამუკა.
ამოდენა ხრიოკის დამუშავება, სარწყავი არხების გა-
ყვანა, სკოლის შენობის შეკეთება, საავადმყოფოსა
და საბავშვო ბაღის მშენებლობა. დამბების სამუშაო-
ები და რა ვიცი... ყველაფერი ეს კოლმეურნიობის
შემოსავლებიდან გადის.

მ ა მ უ კ ა. ყველაფერს რომ ერთად მიოდეფო, მძიმედ და-
გვაწუ... არ აჯობებდა, ჯერ ერთისთვის მოგვეკიდინა
ხელი, მერე მეორისათვის...

ნ ა თ ი ა. გეაც ვიფიქრებ, მაგრამ არ გამოდიოდა... სოფ-
ლისათვის ასე იყო საჭირო.

მ ა მ უ კ ა. ახლა მე რომ მიჭირს?
ნ ა თ ი ა. საღამოს ჩემსა გამოდი. შინ რაც აღმოჩნდება,
შუაზე გავიყო.

მ ა მ უ კ ა. გიმეფლა ღმერთმა.
ნ ა თ ი ა. სანუქრად კი არ გამძლე... მომავალი წლის მო-
სავლიდან უნდა გადამიხადო.

მ ა მ უ კ ა. სულ რომ არაფერი მერგოს, შენთან პირს რო-
გორ შევირცხვენ.

ნ ა თ ი ა. (ღმიღლით). თუ მოსავალი ვერ მოიყვანე, მა-
შინ ერთი წლით კიდევ გავიგრძელებ დროს.

მ ა მ უ კ ა. მაღლობელი ვარ, ნათია. (გავიდა. თედო
აღელვებული საბით შემოვიდა).

თ ე ლ ო. მთელი ჯანი ამ დამბებს შევავლიე და შეიძლება
მაღლობაც არ მითხრან. (თავის მავიდასთან დაჯდა).

ნ ა თ ი ა. რატომ ბრაზობ, თედო?
თ ე ლ ო. თაბის ისევ უსაქმოდ მიდგას, მასალა არ მეყო.

ნ ა თ ი ა. რად არ გრცხვენია, თედო!
თ ე ლ ო. აპა, ხომ ვთქვი... მაღლობის მაგერიკია, არა?

ნ ა თ ი ა. სინდისი სად გაქვს... დამბებისათვის კიდევ რო-
გორ მთხვე მასალას?

თ ე ლ ო. თავს ნუ გავივიდა, დედაკაცო.
(მხმაღალ ლაპარაკზე კოლმეურნეები თითო-თი-
თოდ შემოვიდნენ).

ნ ა თ ი ა. მთის რომ არ გავსვლოდა, განა მაგოდენსაც გა-

ბედავდი!.. შე ოხერო, კედელი განში, მთის გაყოლე-
ბით რომ დაგიწყია, რა საჭირო იყო?
თ ე ლ ო. მთას დაიკავეს, წყალმა ძირი რომ არ გამოთხუხ-
არის.

ნ ა თ ი ა. მე აქ სპეციალისტები მყავდა.
თ ე ლ ო. ვიცი.

ნ ა თ ი ა. იმასაც ვაივებდი, იმ კედლის საფუძველზე გა-
წული შრომა ფუტად ჩათვალეს, წელიგებელი
ხარჯები, წყალში ჩაყრილად.

თ ე ლ ო. მიუჭრაავთ!
ნ ა თ ი ა. (კაბის კაბიდან ბეტონის ნატები ამოიღო). ეს
შენს ზანას ჩამოვტეხე. (ხელით მოფშვანა). ამს
რა ჰქვია?.. ან გეტკვია გული სოფელზე?

თ ე ლ ო. ცემენტტი არ მეყო.
ნ ა თ ი ა. ცემენტტი თელის სხვაგან მიჭონდაო, ამბობენ.

თ ე ლ ო. ეს შენი ფიციების მოგონილია.
ნ ა თ ი ა. (მთაღმხრით). გამარ! მახეს მიგებდი და შიგ
თვითონვე გაები... დღეიდან მაგ სამუშაოზე აღარ
იქნები!

თ ე ლ ო. შენ ვინ ხარ, სამუშაოდან რომ მხსნი.
ნ ა თ ი ა. ზომ ხედავ ვინც ვარ... მათში წახვალ, მწყემსებ
უჭირთ. ვიცი, საქმის გაკეთება შეგიძლია და გამოსი-
ყილდ დანამაული, თორემ, აგერ ამ ხალხთან გუეუ-
ნები, მე უარსტოი ვარ, მაგრამ ქალი არ ვიყო, პარტ-
ბილეთით თუ არ დაგატოვებინი! (ჯურხან და ტატემ
წყლის ავტომატური სასმისი შემოიტანეს. მათე შე-
შოყავა).

ტ ა ტ ე. ფრთხილად, ჯურხან!
ნ ა თ ი ა. მოიტანეთ უკვე?

ჯ უ რ ხ ა. ჯერ ერთი ავტომანქანა მოვიდა.
ნ ა თ ი ა. (ბებოზე მიუთითა). იქ დადგით. (თედო შეუ-
მჩვევლად გავიდა).

ტ ა ტ ე. ვიცოდი, გაიხარებდი, ნათია დეიდა და ეგ ერთი
ცალი აქ იმიტომ ამოიკტიანო.

ნ ა თ ი ა. გაიხარე, შეილებო! (სარწყულელებს საცხს ქა-
ღალდით სწყნენს).

მ ა თ ე. დასეთ როგორი ყოფილა!... მერე, აქედან თავი-
სით მიაწვიდის წყალს?

ნ ა თ ი ა. (თან ჩრით საცხს აცლის). ეს ერთი თასი ორი
პირუტყვისათვის არის განკუთვნილი... აგერ, თანში
ამოჩრილ მექანაში პირუტყვი ტუჩით დააწვება, თა-
სი წყალი აივება. (ღათო შემოვარდა).

და თ ო. მიწველე, ნათია, დიუხები, მიჭი დამემტკრა.
ნ ა თ ი ა. რაიონიდან სასწრაფო დახმარების მანქანა გა-
მოასვებინე.

და თ ო. გამოიძახეს, მაგრამ ერთი მთის ზონაში გაუ-
ჯავანით, მეორეს საბურავი არ აქვსო.

ნ ა თ ი ა. მერე, მე რა შემიძლია?
და თ ო. მანქანა მთხხოვე, ბაუშე რაიონის საავადმყოფო-
ში მიმდა გადაიყვანო... სოფელში მანქანა ვისაც
ქვს, თითქმის განებე, არავინ შინ არ არის, თორემ
არ შეგაწუხებდი.

ნ ა თ ი ა. ჩემი მანქანაც არ არის წესრიგში, სატვირთობი
კი ფერმის მოწყობილობებს ეწოდებიან.

და თ ო. მესის მანქანა აქ დგას.
ნ ა თ ი ა. იესი სახელმწიფო დაჯალბების შესასრულებლად
მიდის!

და თ ო. (აიძლები). უა!.. დედა არა ხარ!.. გული არა
გაქვს!.. ფუი, შერცხვს შენი ქალობა! (გართე გაიჭრა).
ყველა თითო-თითოდ გავიდა).

ნ ა თ ი ა. (წუხილით შეიძრა, მაგრამ ჯიუტად უჭირავს
თავი).



მათე. (ფრთხილად). ნათია!
 ნათია. არაფერი მიიხრა, მათე.
 მათე. შეილი დამეტვრა, ნათია, შეილი!
 ნათია. მისი შეილი შეილია და ჩემი შეილი შეილი არაა?... სოფლისათვის მე იგი არ დამიზოვია, გზა ავურიე... იქნებ ჰგონია ვინმეს, დვიძი შეილი მომეუბნება!... ჩემთვის ვის რა ვთხოვთ!... სოფელს უჭირს, ხალხი ჭკაპანწყვეტამია... ეს კი სადაღაც დაუბეჭებდა და ლოთობს.
 მათე. ადამიანებისადმი დამოკიდებულებას გიწუნებენ.
 ნათია. ტყუელი ფიქრები გელი ამიწყუნს... მე არ დავინდებ თალღის... ყველაზე შეიგნის — სოფლისათვის ზრუნვა, თავიანთი ოჯახებისათვის ზრუნვა.
 მათე. შენ ბიელი სოფლის დედა ხარ... დედას კი შეიღეს არა თუ თქმული, უთქმელიც კი უნდა ესმოდეს!... კარგად ჩაუფიქრად, ნათია, დათო ჩვენ ხომ არ წაჯახდინეთ? (გავიდა).
 ნათია. (საცხვადაკელი მანქანას ცხვირსასოცი მზრუნველად გადასვლა, წამით წუხილთ შეიძრა). დედა არა ხარ! გული არ გაქვსო!... ეს რა მიიხრა!... სოფლის საჭიროოროტო საქმეებმა მართლა ხომ არ გაბამბოროტა და დედობრივი დირსება შემობღალა?... მოუტელობამ მეზობლებს ხომ არ დამაშორა?... ეს რა ჭირი ავიტებე!... აღარც ოჯახს ვარგვივარ, სოფელშიც ბედის არ ვუყვარარ! მივახებებ თავს და უწინდელივით ვიქნები ჩემი შეილისა და ოჯახისათვის... მაგრამ მე ხომ ახლა იმ კაცს ვეგარ, მორჩევი ღრმად რომ მეუტოპავს და უკან ვეღარ გამობრუნდება?! (გასძახა). ტატე!
 ხმა გარედან. აქა ვარ, ნათია დედა. (შემოვიდა).
 ნათია. ბავშვს რას ვერჩი! გაკვე მაგ ოხერს, საავადმყოფოში გადაიყვანე.
 ტატე. ახლავე, ნათია დედა.
 ნათია. დაიცა, იქნებ ფულიც არ ჰქონდეს მაგ ვასაწყალებს. (მიაწოდა). აჰა, კიბები ჩაუდგ, ვითომ შენ ახსენებ. ვაფრთხილე. არსად დალიოს. (ტატე გავიდა, ჰიანინოზე შესრულებული „ცისიას ღიმილი“ მოისმა... ნათიამ სმენა დაძაბა, ქეთო შემოვიდა).
 ქეთო. ნათია დედა.
 ნათია. (გააწყვეტინა). გესმის, ქეთო... ამას მანანა მღეროდა.
 ქეთო. ახლა ცისია უკრავს.
 ნათია. ცისია?
 ქეთო. ჰო, ფარნას შეილიშვილი.
 ნათია. (ფიქრითი სახით). მანანას ამ ბოლო დროს ვერაფერს ამჩნევ?
 ქეთო. ცოტათი ვახსნა.
 ნათია. მეტს ვერაფერს?
 ქეთო. ხშირად ნაღვლიანიყავა.
 ნათია. რა მოუვიდა, არაფერს ამბობს?
 ქეთო. არაფერს.
 ნათია. შენ რას ფიქრობ, რატომაა ასე?
 ქეთო. ცისია ჯურხას დახატვას აპირებს.
 ნათია. მერე?
 ქეთო. ხშირად ერთად არიან.
 ნათია. მარტორი?
 ქეთო. მანანაც მათთან არის, მაგრამ ჯურხას მისდამი უკანებობას უნდა ატყობდეს. (ნათია ჩაუფიქრდა). დედა ნათია, დამბების მწენებლობის სამუშაოთა შემიკრების ბრძანება დავწერ?
 ნათია. დასწორე ბრძანება დამბების მწენებლობის გაუქმების შესახებ. (გავიდინენ. ტატე შემობრძინა, გადასძახა).

ტატე. ეგვი, ხალხნო, აქეთ მოდიო, აქეთ, თქვენს უკრავებოთ.
 მამუკა. (ფერღობის უკანა მხრიდან გადმოვიდა). რაო, ტატე, რა სოქი?
 ტატე. ნათია დედიამ დამბებზე მუშაობა შეაჩერეთო.
 მამუკა. სულ შეაჩერეთო?
 ტატე. ჰო, სულ. (ბარჩა გადაადგო).
 მამუკა. თვითონ გადაწყვიტა ასე, არავის მოთათბირებია!
 ტატე. თვითონ გადაწყვიტა, თუ სხვა დახმარა, რაში გეკითხება?... კარგად კი გადაუწყვეტა და.
 მამუკა. რუამდ, ლლაპო!... შენ რა გესმის სოფლის ავკარგი.
 ტატე. (სიმღერით წაიყვავა). ტამი-ტამი, ბებერო, პარია-ლალო! (ყვევით გავიდა).
 მამუკა. ეგვი, ჭბბუნო!... ვიხარიათ, მაგრამ იცით კი რა ვიხარიათ?! (ბარ-ნიჩბები მხარზე გაიღო. მათე შემოვიდა).
 მათე. ამოდნა ბარ-ნიჩბები სად შევიტრევიბით!
 მამუკა. ახლაგაზრდებმა რომ გაიგეს ნათიამ დამბებზე მწენებლობა შეწყვიტათ, ბარ-ნიჩბები მიმოყარეს და სადაღაც წაივინდნენ.
 მათე. ეს ვერ გამოუვიდა ნათიას.
 მოხუცი. კოლმეკურნე. ეს იცით რაა, მარჯვენათი რომ ააშრეთ და მარცხენაი დაანგრეთო.
 მათე. აგერ, თვითონაც მოდის, შევეკითხობთ რას ფიქრობს ეს დედაკაცი.
 (ნათია შემოვიდა. ჩქარი ნაბიჯით განაგრძობს სელას).
 მათე. საით მიიქარა, შეილო?
 ნათია. (შეჩერდა). ჩემთან გაქვს საქმე?
 მათე. ჰო, სოფელი გაოგნებულია!
 ნათია. სოფელს რა მოუვიდა?
 მათე. დამბებზე მუშაობა რომ შეაჩერე, ჩვენ რატომ არ დავდგვიანებთო.
 ნათია. სოფლის მამონ ვეკითხები, როცა საკითხში ვერ გავჩერებო... შენ ხომ იცი, იქ კომისია მყავდა.
 მათე. ვიცი.
 ნათია. მათ ხალხის თანდასწრებით თქვეს, როგორადაც არ უნდა ადიდდეს წყალი, საშიში არაფერიაო.
 მათე. ჩვენ აქ გავრდილები ვართ, ნათია... მე მასსოფს ხევისწყლით დანიოკებული სოფელი... მას შემდეგ მთაში არაფერი შეცვლილა.
 ნათია. როგორ მოვიქმე, შენ დაევიჯრო თუ სწავლულ ხალხს.
 მათე. ორივეს.
 ნათია. ასეც ვეფიქრობ მოვიქმე... მაგრამ ჯერ ხრიოკის ძნელი და დიდი სამუშაოებია დასამთავრებელი... დამბები დიდგ... ორივეს ერთად ვერ შევძლებთ.
 მათე. მე შეშმის, მაგრამ ხევისწყლიც გავიგვებს ამას?
 ნათია. დავამთავროთ... სხვა საქმეც მაქვს. (მათე და მამუკა გავიდნენ. შემოდის ჯურხა. „ცისიას ღიმილს“ ღლიწინებს).
 ნათია. (ფრთხილად). ასე ნაღვლიანად რად მღერო, შეილო!
 ჯურხა. (გამოერევა). ისე, ჩემთვის, გულს გაყოლობ.
 ნათია. ეს ერთი ხანია საგონებელში გხედავ და არაფერს მიმხელ... მეც გტყუო, დროზე ერთხელაც ვერ მივსულვარ შინ... რიგობად რომ მოგხედო, გასამგზავრებლად მოვამზადო.
 ჯურხა. საით მამგზავრებ, დედაჩემო?
 ნათია. არ იცი, საით?... მამონ თუ დაგაბეროლე, ახლა



ისე შევიწყობ ხელს, სწავლის გარდა არაფერი გე-
 დარდობოდეს.
 ჯ უ რ ხ ა. წელსაც ვეღარ მივიღივარ.
 ნ ა თ ი ა. რატომ?
 ჯ უ რ ხ ა. გამოცდებისათვის მზად არ ვარ.
 ნ ა თ ი ა. ეგ არის მიზეზი?
 ჯ უ რ ხ ა. სხვა რა უნდა იყოს?
 ნ ა თ ი ა. რა ვიცი!.. იქნებ ვინმესთან დაცილებება გინძე-
 დებოდეს... დროც არის. მეც მივირს. ერთი ქალი
 შინ და გარეთ ვერ ვწვილები საქებს.
 ჯ უ რ ხ ა. ხომ არ გგონია, სწავლა გადავიფიქრებ?
 ნ ა თ ი ა. მე ეს არ მითქვამს.
 ჯ უ რ ხ ა. მერე ცოლშვილიანმა როგორ ვისწავლო?
 ნ ა თ ი ა. მამს სასწავლებლის დამთავრებას უნდა ელო-
 დო?.. დრო მიგდის, შვილო... ცოლშვილის ნუ გე-
 დარდება, არ მოვიწყობ... თოლნდ კარგად გამოიძიე,
 შინ ვინ უნდა შემოიყვანოს... ჩვენ ისეთი ქალი გვინ-
 და, ოჯახს გამოადგეს. (ჯურხას ფიქრიანი ჩანს, ნა-
 თიამ გამომცდელად მხეხება, შემდეგ ახლანდაშენს
 მთავლი თვალთ). ნაცამოაზრე კარგად კი ახარე
 ვაზი, მაგრამ მანანაც არ ჩამოგორჩება.
 ჯ უ რ ხ ა. (უსიამოვნოდ შეიძრა). მან თლნდ კარგი მო-
 სავალი მიიღოს და სხვა არაფერი უნდა.
 ნ ა თ ი ა. სხვა ჩვენც არაფერი გვინდა.
 ჯ უ რ ხ ა. (არეუქლად). მე სხვაც მინდა: აქაურობა ნახატს
 ჰგავდეს... და... კიდევ, რა ვიცი... ვერ მითქვამს.
 ნ ა თ ი ა. მანანა ასე ავღვებით რატომ ასხენე!.. ისედაც
 თავისი ღარდი ყოფიხს.
 ჯ უ რ ხ ა. რა მოვიდა?
 ნ ა თ ი ა. რა ვიცი. ალბათ, უკუნებობას გატყობს.
 ჯ უ რ ხ ა. მერე მას რა?
 ნ ა თ ი ა. შენ და მანანას სულ ერთად გესვადენენ. ეგო-
 ნათ, ერთმანეთის საბედობები იყავით, ახლა სხვას ლა-
 პარაკობენ.
 ჯ უ რ ხ ა. ვიცი.
 ნ ა თ ი ა. შენ კიდევ დარდი არ მომიმატო, ბიჭო!
 ჯ უ რ ხ ა. მე და მანანა ხშირად ვიძიავთ ერთად... არ და-
 გინალავ, ისე შევიჩვიეთ ერთმანეთს, უმისოდ მომ-
 წყინდებოდა კიდევ, მაგრამ მე მისგან ვერ ვივარდნი-
 ს, რააც სიყვარული ჰქვია თურმე!..
 ნ ა თ ი ა. რასაც ახლა ამბობ, თავის დაძვრების გაცვეთი-
 ლი ხერხია!.. შენ ასეთი არ იყავი.
 ჯ უ რ ხ ა. თვითონ მას კითხე, ჩვენში საცოლქმრო პირო-
 ბა თუ თქმულა.
 ნ ა თ ი ა. მე შენლი ისე არ გამოზრდიდა, მისი არ მჯერო-
 დეს! თვითონაც ხომ ლაპარაკობ, ერთმანეთის შეგუ-
 ჩვიეთ, უმისოდ მომწყინდებოდათ... სიყვარული მეტი
 რალაა... ადამიანს ვერ უნდა ენდონ?
 ჯ უ რ ხ ა. სიყვარული სხვა ყოფილა თურმე!
 ნ ა თ ი ა. მაშინ სოფელი რად ალაპარაკე, გაუთხოვარი
 ქალს სახელი რად გაუტყებე?
 ჯ უ რ ხ ა. მისი სახელის გატება არასოდეს მიფიქრია.
 ნ ა თ ი ა. მაგრამ ასე ხომ გამოვიდა?.. შენც ხომ მამა უნ-
 და იყო. ქალიშვილი რომ გეყოლოს, ვაჭმა თავი შეა-
 ვყაროს, მერე გუნება შეიცვალოს და მიატოვოს, რაა
 იხამდ?
 ჯ უ რ ხ ა. ძნელი ასატანია.
 ნ ა თ ი ა. მანანას მამამ რად ქნას? ვაჭკაცს საქვეწმოდ
 თავს ჰკრი, მის ქალს სოფელში არ გამოესვლება...
 კაცი რომ გქვია, განა შენთვის კი სახელია ასეთი
 საქვილი... ჩვენს მოგმას სოფელი მუდამ წაისძის-
 ხებს შენს ავკაცობას!
 ჯ უ რ ხ ა. ტყუილა მტყუას, დღეამეში!

ნ ა თ ი ა. (დაყვავებით). ვინა მოდი, ბიჭო!.. სწავლა
 კრავ წმინდა გულს.. მანანასათვი შენ ვერავინ მი-
 კიხვდება... ცოლად, გვირგვინად იგი.
 ჯ უ რ ხ ა. მერე მე ვინდა შემიბაროს! (ხელი ნაბიჯებით
 მოსცილება ნათიას).

განცალკევებით მოწუბობი ნათიას კაბინეტში, კედელთან
 მიმდარ სკამზე ზის მათე, კაბინეტის მორთულობას ათვლი-
 რებს. მამუკამ ფრიხილად შემოაღო კარი. შემოხვდა.

მ ა თ ე. შემოდი, ნუ გეშინია, აქ არ არის.
 მ ა მ უ კ ა. (შემოვიდა). სად წასულა?
 მ ა თ ე. რა ვიცი. დაჯე, დაჯელოდი.
 მ ა მ უ კ ა. (ვერდით მიუქდა). ნათია ისეც ცალკე კაბი-
 ნეტში დანაინჯებულა.
 მ ა თ ე. ახლა მის საქმეს, ალბათ, ასე სჭირდება.
 მ ა მ უ კ ა. ნეტა როგორ გუნებაზეა.
 მ ა თ ე. საიხიზვარი გაქვს?
 მ ა მ უ კ ა. აბა აქ რა ეშმაკი მომიყვანდა!
 მ ა თ ე. ჰოდა, დინჯად გეჭიროს თავი.
 მ ა მ უ კ ა. (დაუდა. ნათიას სავარძელზე ანიშნა). ამ სკა-
 მის ჯაჭირი მჭირს.
 მ ა თ ე. საკმა რას აშავებს?
 მ ა მ უ კ ა. ამ სკამზე დაჯდომამდე ნათია მეზობლებისთვის
 ცეცხლში ჩადგებოდა, ახლა ცეცხლში ჩვენ ვგავდებს!
 ამ სკამზე ფარნაც კი იჯდა, მაგრამ...
 მ ა თ ე. არც ფარნა უქნია ღმერთს... ფარნას იაფანას
 ისევ ნათიას ქარიშხლიანი ცხოვრება მირჩენია: მო-
 ვდა, შეგავაზღვრია, საქმე გაგვიჩინა!
 მ ა მ უ კ ა. უსაქმოდ როდის ვყოფილარო?
 მ ა თ ე. უსაქმოდ ნუ გეშინი ჩემი. ნათია კარგად მიხვდა
 ჩვენს გასაჭირს და გამოსავალიც იპოვა, სოფელი
 მიაღიწიოდა... შევდებურა მალე შორს გაიტანს ჩვენი
 სოფლის სახეს, მაგრამ...
 (ნათია შემოვიდა, ორივე ფეხზე წამოდგა).
 ნ ა თ ი ა. (მადიანს მიუქდა). დასხედით... რაზე გარჯილ-
 ხართ, მეზობლებო?
 მ ა თ ე. მაშინ ერთმანეთს ვაწყენინეთ.
 ნ ა თ ი ა. ახლაც იმიტომ ხომ არ მოსულხარ, რომ მაწყე-
 ნინო?
 მ ა თ ე. ახლა შუამავლად მოვსულვართ, ნათია.
 ნ ა თ ი ა. ძნელი საქმე გიგისრიათ, კარგა ხნის ქვირივი
